

სოციალური დავები პროექტი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2022, № 12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2022, № 12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2022, № 12

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2022, № 12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეპელი

1. შრომითი დავები

რეორგანიზაციის შემთხვევაში მობილობის პროცედურის ჩატარების აუცილებლობა	4
კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნა	27
იძულებითი განაცდურის და ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება	44
განთავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადის გასვლა	79
ან გარდაცვლილი მეუღლის გამოუყენებელი შვებულების დღეების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობა	95

2. სხვა სოციალური დავები

საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭების საფუძველი	116
დეენილის ოჯახის წევრთა პირდაპირი დამავალი შტოს შთამომავლების საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების კანონიერება	143
დეენილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა	161
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახის საცხოვრებლით დაკმაყოფილება	175

1. შრომითი დავები

რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი მოვალეობის პროცედურის ჩატარების აუცილებლობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-654(კ-21)

7 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, მიუღებელი ხელფასის და დაყოფილი ხელფასის 0,07 პროცენტის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 8 თებერვალს ი. კ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელე ი. კ-ა 2005 წლიდან მუშაობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე, ხოლო 2014 წლიდან ი. კ-ა ...ა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ... დეპარტამენტს. 2018 წლის 12 ივლისს განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები და რიგი სამინისტროები გაერთიანდა, რის შესაბამისად აღნიშნული დეპარტამენტის ფუნქციები გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

სარჩელის მიხედვით, სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების დეპარტამენტიდან ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდნენ მოსარჩელეს და დაიბარეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების დეპარტამენტში. მისცეს დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც უნდა წარედგინა. შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების დეპარტამენტში მისცეს მი-

მართვა სამედიცინო შემონმებაზე და ფიზიკური მომზადებისათვის. გაიარა ყველა პროცედურა რაც იყო მოთხოვნილი, კერძოდ: აუღეს თითის ანაბეჭდები, გაიარა სამედიცინო შემონმება, ასევე მოთხოვნილი წესით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დაამონმებინა დიპლომი, რომელიც სხვა, მათ მიერ მოთხოვნილ დოკუმენტებთან ერთად ჩააბარა კადრების დეპარტამენტს.

მოსარჩელის მითითებით, სექტემბრის თვეში შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიბარეს მისი თანამშრომლები და გადასცეს დანიშვნის ბრძანებები, რა პერიოდიდანაც იგი ცდილობდა გაერკვია მისი მდგომარეობა და არაერთხელ მიმართა სამინისტროს. კერძოდ, 2018 წლის 16 ოქტომბერს წერილობით მიმართა სამინისტროს და მოითხოვა ეცნობებინათ მის გადაყვანასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, რაზეც მიიღო შუალედური წერილი, სადაც ატყობინებდნენ, რომ მისი განცხადება იხილებოდა. 2018 წლის 7 დეკემბერს განმეორებით მიმართა სამინისტროს, რაზეც ცვლავ შუალედური წერილით უპასუხეს.

მოსარჩელე მიუთითებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონზე და აღნიშნავს, რომ ...ა დეპარტამენტის ყველა სამტატო ერთეული (მათ შორის მოსარჩელის მიერ დაკავებული პოზიცია) სრულად გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამავე სამინისტროს გადაეცა დეპარტამენტის სამტატო ერთეულებისათვის განკუთვნილი ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო საბიუჯეტო სახსრები (მათ შორის თანამდებობრივი სარგო, სამივლინებო ხარჯები და სხვ.) და დეპარტამენტის საქმიანობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობები. ...ის საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში საჭიროების შემთხვევაში უკონკურსოდ უნდა გადაყვანილიყვნენ შესაბამის თანამდებობაზე უფლებამონაცვლე სამინისტროში და გამოყენებული ყოფილიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესი (რაც გამოიყენა ყველა იმ სამინისტრომ, რომელსაც შეეხო რეორგანიზაციის პროცესი), რომლის თანახმად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას შესაბამისი მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თა-

ნამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით; ხოლო მოხელის მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში იგი მოხელეთა რეზერვში ირიცხება და ეძლევა შესაბამისი კომპენსაცია. მოსარჩელის მითითებით, ზემოაღნიშნული ცვლილებების შესაბამისად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა ემოქმედა კანონის შესაბამისად და უზრუნველყო მოსარჩელის გადაყვანა შესაბამის თანამდებობაზე უკონკურსოდ, სწორედ ისე, როგორც გადაიყვანეს სამინისტროს სხვა თანამშრომლები სხვადასხვა უწყებებში, იმავე დეპარტამენტის სხვა თანამშრომლები კი დასაქმდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

მოსარჩელის განმარტებით, თუკი მისი კანდიდატურა მიუღებელი იქნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ან არ არსებობდა მისი გადაყვანის საჭიროება, უწყებას უნდა მიეღო რაიმე სახის გადაწყვეტილება, რომელიც იქნებოდა სათანადოდ დასაბუთებული, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა კანონმდებლობის შესაბამისად დაეცვა საკუთარი უფლებები. აღნიშნულის მიუხედავად, სამინისტროს მის მიმართ გადაწყვეტილება არ მიუღია. აქვე მოსარჩელე მიუთითებს მის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებაზე.

ამდენად, მოსარჩელემ მოპასუხისთვის ი. კ.-ას შინაგან საქმეთა სამინისტროს ...ის დეპარტამენტის ...ის ან ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ასევე 2018 წლის 12 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 3800 ლარის ოდენობით მიუღებელი ხელფასის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და ხელფასის დაყოვნების ყოველი დღისთვის დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტის ოდენობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. კ.-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ქუთაისი, 5 ივლისი, 2018წ. №...-რს) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი (...ის მიმართულებით) გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაით-

ვალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამოსიან ცვლედ (...ის მიმართულებით) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული უწყებების (მხარჯავი დაწესებულებების) და მათ სისტემებში მოქმედი საბიუჯეტო ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი პროგრამული კოდებით გათვალისწინებული ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილება ენიჭებათ ამ მუხლის პირველ-მე-7 პუნქტებში აღნიშნულ უფლებამოსიან ცვლედ საბიუჯეტო ორგანიზაციებს (მხარჯავ დაწესებულებებს) და მათ სისტემებში შექმნილ საბიუჯეტო ორგანიზაციებს. ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა საქართველოს მთავრობამ საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით უზრუნველყოს „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი პროგრამული კოდებით გათვალისწინებული ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე საბიუჯეტო ორგანიზაციების განსაზღვრა.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელე ი. კ-ა მუშაობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ... დეპარტამენტის ...ად.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ქუთაისი, 5 ივლისი, 2018წ. №...-რს) შესაბამისად, 2018 წლის 12 ივლისს განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები და შესაბამისად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი ...ის მიმართულებით გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებათა ფარგლებში. შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს მითითებით, აღნიშნული კანონის საფუძველზე ი. კ-ა გათავისუფლებული იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ... დეპარტამენტის ...ის თანამდებობიდან.

სასამართლოს მითითებით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ქუთაისი, 5 ივლისი, 2018წ. №...-რს) მე-2 მუხლის მე-13 პუნქტი ადგენს, რომ ამ მუხლის პირველ-მე-7 პუნქტებში აღნიშნულმა უფლებამონაცვლე უწყებებმა და მათ სისტემებში შემავალმა დაწესებულებებმა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ შესაბამის სამინისტროებში და მათ სისტემებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირების შტატიტ დასაქმებულ თანამშრომელთა და შტატგარეშე მომუშავეთა უკონკურსოდ გადაყვანა შესაბამის თანამდებობებზე. ამავე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 3 თვისა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საჯარო მოსამსახურის ბიურომ და ამ მუხლის პირველ-მე-7 პუნქტებში აღნიშნულმა უფლებამონაცვლე უწყებებმა, გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსი, უზრუნველყონ ამ უწყებების სისტემაში (სტრუქტურაში) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ფუნქციონირება ანალიზის საფუძველზე ოპტიმიზაცია, შესაბამისად, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გზით. ხოლო, ამავე მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში დასაქმებული ...ის საჯარო მოსამსახურე და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების შემდეგ სამსახურს გააგრძელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ჩათვლებიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებად და მათი შრომითი სამართლებრივი ურთიერთობები განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობის მიხედვით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს, მათ შორის, ოპტიმიზაციას, განხორციელებს ამ სამინისტროს სისტემაში სამსახურის გავლის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობის გათვალისწინებით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებაზე, ასევე მიუთითა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში

სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებაზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონზე და აღნიშნა, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების პირველი მუხლის 3¹ პუნქტის თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამავე კანონის მოქმედება სამინისტროს მოსამსახურეზე, როგორც სპეციალური ნორმებით მონესრიგებული ურთიერთობის სუბიექტზე, ვრცელდება მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 51-ე, 64-ე, 66-ე და 103-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის სხვა საკითხები წესრიგდება ამ წესით დადგენილი სპეციალური ნორმებით, აგრეთვე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად. სასამართლომ აქვე განმარტა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული, სპეციალური და სამხედრო წოდებების მქონე პირების საქმიანობაზე. ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი კი ადგენს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი პოლიციელებსა და სამინისტროს მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით დადასტურებულ გარემოებებზე და ყურადღება მიაქცია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ქუთაისი, 5 ივლისი, 2018წ. №...-რს) მე-2 მუხლის მე-13 პუნქტზე, რომელიც ადგენს, რომ ამ მუხლის პირველ-მე-7 პუნქტებში აღნიშნულმა უფლებამონაცვლე უწყებებმა და მათ სისტემებში შემავალმა დაწესებულებებმა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ შესაბამის სამინისტროებში და მათ

სისტემებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირების შტატიტ დასაქმებულ თანამშრომელთა და შტატგარეშე მომუშავეთა უკონკურსოდ გადაყვანა შესაბამის თანამდებობებზე. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიანიჭა უფლებამოსილება საჭიროების შემთხვევაში შესაბამის თანამდებობაზე უზრუნველყო ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ შესაბამის სამინისტროებში და მათ სისტემებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების უკონკურსოდ გადაყვანა. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, 2018 წლის 12 ივლისს ი. კ-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და ითხოვა თანხმობა დანიშნულიყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ...ის დეპარტამენტის ...ის თანამდებობაზე, თუმცა მისი აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნა არ განხორციელებულა. სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ მოპასუხე მხარის მიერ არ განხორციელდა ი. კ-ას შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაყვანა, ვინაიდან ამის საჭიროება არ დამდგარა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლომ განმარტა, რომ საკადრო საკითხების – კონკრეტულ თანამდებობაზე პირის დანიშვნის გადანყვეტის საკითხი განეკუთვნება ფართო დისკრეციის საგანს. სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს გადანყვეტილებების შემონგებისას ვრცელდება გადანყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობაზე და არა მიზანშეწონილობის ასპექტებზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირი განსახილველ შემთხვევაში გადანყვეტილების მიღებისას მოქმედებს მისივე დისკრეციის ფარგლებში. შესაბამისად, პირის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხი შედის კონკრეტული თანამდებობის პირის უფლებამოსილებაში, ხოლო სასამართლოს არ გააჩნია კომპეტენცია/უფლებამოსილება სარჩელის საფუძველზე უფლებამოსილი თანამდებობის პირს თანამშრომლის სამსახურში მიღება/გათავისუფლების და ზოგადად საკადრო საკითხების გა-

დანყვეტასთან დაკავშირებული დავალებები მისცეს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლზე და აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგან არ არსებობდა საქართველოს შინაგან სამინისტროსათვის ი. კ-ას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძვლები.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას განაცდურისა და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ვინაიდან საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა აქტის გამოცემის შესახებ მოთხოვნა, შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნებიც არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. კ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის განჩინებით ი. კ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ კადრების საჭიროება გულისხმობს შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დამატების აუცილებლობას. ამდენად, იმის შესამოწმებლად თუ რამდენად კანონშესაბამისად ეთქვა უარი ი. კ-ას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მობილობა/გადაყვანაზე და ხომ არ იქნა დარღვეული მოცემულ შემთხვევაში კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, უნდა დადგინდეს არსებობდა თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ი. კ-ას გადაყვანის საჭიროება.

პალატის მითითებით, როგორც საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 აგვისტოს №... ბრძანებით დასტურდება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ...ის დეპარტამენტის ...ის (ი. კ-ას მიერ დაკავებული თანამდებობის ტოლფასი) თანამდებობრივი რაოდენობა განისაზღვრა ორი საშტატო ერთეულით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 4 ივლისის №... ბრძანების თანახმად, შეტანილ იქნა ცვლილება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ...ის დეპარტამენტის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკი-

ცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 აგვისტოს №... ბრძანებით დამტკიცებულ თანდართულ საშტატო განრიგში, რომლის მიხედვით ...ის დეპარტამენტის ...ის თანამდებობრივ რაოდენობას დაემატა ერთი საშტატო ერთეული. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 14 მარტის MIA 4 18 00597496 ბრძანების თანახმად, შეტანილ იქნა ცვლილება (დანართის შესაბამისად) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ...ის დეპარტამენტის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 აგვისტოს №... ბრძანებით დამტკიცებულ თანდართულ საშტატო განრიგში, რომლის მიხედვით ... ის დეპარტამენტის ...ის თანამდებობრივი რაოდენობა შემცირდა ერთი საშტატო ერთეულით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 3 აგვისტოს MIA 4 1801877549 ბრძანების თანახმად, შეტანილ იქნა ცვლილება (დანართის შესაბამისად) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს... ის დეპარტამენტის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 აგვისტოს №... ბრძანებით დამტკიცებულ თანდართულ საშტატო განრიგში, რომლის მიხედვით ... ის დეპარტამენტის ...ის თანამდებობრივ რაოდენობას დაემატა ერთი საშტატო ერთეული. ბრძანება ამოქმედდა 2018 წლის 12 ივლისიდან.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ი. კ.-ამ სწორედ 2018 წლის 12 ივლისს მიმართა განცხადებით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და ითხოვა თანხმობა, რომ დანიშნულიყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ...ის დეპარტამენტის ...ის თანამდებობაზე და წარადგინა შესაბამისი დოკუმენტები. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის 12 ივლისიდან ...ის დეპარტამენტში შექმნილი იყო, ი. კ.-ას მიერ დაკავებული თანამდებობის ტოლფასი, ...ის დამატებით ერთი საშტატო ერთეული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ი. კ.-ასთვის არ იქნა შეთავაზებული აღნიშნულ თანამდებობაზე გადაყვანა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ თანამშრომელთა დასაქმების საკითხი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებათა რიგს მიეკუთვნება, თუმცა აღნიშნული არ გამოირიცხავს მასზე სასამართლო კონტროლის განხორციელებას. სასამართლო ფლობს დავის გადაწყვეტის სრულ იურისდიქციას, თუმცა სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავდება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული სფეროს რეგულირების ხარისხი, სასამართლო კონტროლის სიმჭიდროვე, ინტენსივობა, შესაბამისად სასამართლოს კონტროლი ამ პირობებში უნდა იყოს სათანა-

დო და თანაზომიერი, დასაცავი ობიექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე არ არის გამორიცხული დისკრეციის მიმართ გამკაცრებული ტესტის გამოყენება (სუსგ 13.02.2013წ. №ბს-448-443(კ-12)). სასამართლოს შეუძლია შეაფასოს გადაწყვეტილების მიღების პროცედურული მხარე, კანონმდებლობით განსაზღვრული დისკრეციული უფლებამოსილების საზღვრების გამოყენების დაცულობა და მიზანთან მისი შესაბამისობის სისწორე, შეფასების საყოველთაოდ მიღებული მასშტაბის, თანასწორობის პრინციპის დაცულობა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შედეგად შერჩეულმა ღონისძიებამ არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებების და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. აღნიშნული უფლებამოსილებით მიღებული გადაწყვეტილება საკმარისად დასაბუთებული უნდა იყოს მისი შინაარსის, საგნის, მიზნისა და მოცულობის მიხედვით. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირს გარკვეულ დონეზე უნდა შეეძლოს მისი განჭვრეტა და გათვლა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით სასამართლოს შეუძლია იქონიოს მსჯელობა სადავო აქტის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხზე ანუ მის კანონიერებაზე, დავის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს კანონმდებლობის მოთხოვნებით და არა მიზანშეწონილობის მოსაზრებებით, რადგან ეს უკანასკნელი მმართველობის სფეროს განეკუთვნება.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსარჩელე მოცემულ დავაში სადავოდ არ ხდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ი. კ-ას მობილობა/გადაყვანაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 11 მარტის №MIA 6 19 00625251 წერილი) და მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ი. კ-ას შინაგან საქმეთა სამინისტროს ... ის დეპარტამენტის ...ის ან ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება – მიუღებელი ხელფასის სახით, ყოველთვიურად 3800 ლარის ოდენობით 2018 წლის 12 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე და ხელფასის დაყოვნების ყოველი დღისთვის დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტის ოდენობით.

სააპელაციო პალატამ დამატებით ყურადღება გაამახვილა ასევე საქმეში წარმოდგენილ საქართველოს სახალხო დამცველის მი-

ერ შედგენილ 21/12/2020 №04-5/12559 რეკომენდაციაზე, რომლის თანახმადაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ადგილი ჰქონდა განმცხადებლის კონსტიტუციით დაცული შრომითი უფლების დარღვევას, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც უფლებამონაცვლე და შესაბამისი ასიგნებების მიმღები უწყება ვალდებული იყო ეხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით უზრუნველყო ი. კ-ას მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვა და კომპენსაციის სახით მისთვის ოდენობით თანამდებობრივი სარგოს გაცემა. რაც შეეხება ი. კ-ას უფლებამონაცვლე საჯარო დაწესებულებაში (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში) მობილობა/გადაყვანაზე უარს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ქუთაისი, 5 ივლისი, 2018წ. №...-რს) მე-2 მუხლის მე-13 პუნქტით შს სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება საჭიროების შემთხვევაში შესაბამის თანამდებობაზე უზრუნველყო ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ შესაბამის სამინისტროებში და მათ სისტემებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების უკონკურსოდ გადაყვანა, ხოლო იმ პირთა შემთხვევაში რომელთა გადაყვანაც არ/ვერ მოხდებოდა უფლებამონაცვლე უწყებაში აღნიშნული საკანონმდებლო აქტით რაიმე სპეციალური რეგულირება მათი შრომითი მოწყობის თაობაზე დადგენილი არ იქნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. კ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არ მიღებას, ადმინისტრაციული წარმოების ჩაუტარებლობასა და არსებითად უთანასწორო მოპყრობას, რამაც არსებითად დააზიანა მისი ინტერესები და საჯარო მოხელე დატოვა ყოველგვარი სარგებლის გარეშე. კასატორის განმარტებით, აღნიშნულით იგი დარჩა სამსახურის გარეშე, ასევე დაკარგა შესაძლებლობა მიეღო სამი თვის კომპენსაცია და ჩარიცხულიყო მოხელეთა რეზერვში, რაზეც უნდა ემსჯელა სააპელაციო სასამართლოს.

კასატორი მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორობის უფლებაზე და აღნიშ-

ნავს, რომ საჯარო სამსახურის ბიუროსათვის გაგზავნილი სიებით, გადანიშნულ თანამშრომელთა მონაცემებით, ცალსახად დგინდება მის მიმართ უთანასწორო მოპყრობა, რომელიც ვითომდა საჭიროების არარსებობის მოტივით არ დაინიშნა შესაბამის მოთხოვნილ თანამდებობაზე. კასატორის მითითებით, სასამართლოს მთავარ ამოცანას წარმოადგენდა დაედგინა სწორედ ამ საჭიროების საკითხი და არსებითად ემსჯელა რამდენად კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა ადმინისტრაციული წარმოება ი. კ-ას მიმართ ან საერთოდ განხორციელდა თუ არა.

კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო თავად მიუთითებს სახალხო დამცველის პოზიციაზე, აღნიშნავს, რომ არ ჩატარებულა წარმოება, არ გამოცემულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მაგრამ ამის მიუხედავად არ ადგენს დარღვევის ფაქტს და სარჩელს არ აკმაყოფილებს.

კასატორის მითითებით, სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს გარემოებათა არასწორ შეფასებაზე მიუთითებს გადანყვეტილებაში აღნიშნული ის გარემოებაც, რომ მოსარჩელე მოცემულ დავაში სადავოდ არ ხდის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ი. კ-ას მობილობაზე/გადაყვანაზე უარის თქმის შესახებ გადანყვეტილებას. კასატორის განმარტებით, აღნიშნული გარემოება არასდროს ყოფილა განხილვის საკითხი და დადასტურებული მოსარჩელე მხარის მიერ, ვინაიდან არ არსებობდა ამგვარი გადანყვეტილება. ადმინისტრაციულ ორგანოს არ მიუღია აქტი ი. კ-ას განცხადებაზე და ამას თავადვე ადასტურებდნენ სასამართლო პროცესზე. გარდა ამისა, კასატორის მოსაზრებით, ამგვარი აქტის არსებობის პირობებშიც, სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე შეტანილი სარჩელი მოიცავს 22-ე მუხლით გათვალისწინებულ ქვემდგომი აქტების ბათილად ცნობასაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და არ საჭიროებს დამატებით სასარჩელო მოთხოვნას. კასატორის განმარტებით, თანამდებობაზე დანიშვნის მოთხოვნა გულისხმობს მანამდე განხორციელებული გადანყვეტილებებისა და ქმედებების უკანონოდ მიჩნევას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 23 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ი. კ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 იანვრის განჩინებით ი. კ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ი. კ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. კ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელე ი. კ-ა სადავოდ ხდის მისი შრომითი უფლებების დარღვევას, რამაც არსებითად დააზიანა მისი ინტერესები და საჯარო მოხელე დატოვა ყოველგვარი სარგებლის გარეშე.

წარმოდგენილი სარჩელის თანახმად, მოსარჩელე ი. კ-ა 2005 წლიდან მუშაობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე, ხოლო 2014 წლიდან ი. კ-ა იკავებდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ... დეპარტამენტის ...ის თანამდებობას. 2018 წელს განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად აღნიშნული დეპარტამენტის ფუნქციები გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონზე (ქუთაისი, 5 ივლისი, 2018წ. №...-რს), რომლის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი (...ის მიმართულებით) გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაითვალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამოსაცვლედ (...ის მიმართულებით) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული უწყებების (მხარჯავი დანესებულებების) და მათ სისტემებში მოქმედი საბიუჯეტო ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი პროგრამული კოდებით გათვალისწინებული ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილება მიენიჭათ ამ მუხლის პირველ-მე-7 პუნქტებში აღნიშნულ უფლებამონაცვლე საბიუჯეტო ორგანიზაციებს (მხარჯავ დაწესებულებებს) და მათ სისტემებში შექმნილ საბიუჯეტო ორგანიზაციებს. ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა საქართველოს მთავრობას საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით უნდა უზრუნველყო „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი პროგრამული კოდებით გათვალისწინებული ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე საბიუჯეტო ორგანიზაციების განსაზღვრა. ხოლო ამავე მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის პირველ-მე-7 პუნქტებში აღნიშნულმა უფლებამონაცვლე უწყებებმა და მათ სისტემებში შემავალმა დაწესებულებებმა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ შესაბამის სამინისტროებში და მათ სისტემებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირების შტატით დასაქმებულ თანამშრომელთა და შტატგარეშე მომუშავეთა უკონკურსოდ გადაყვანა შესაბამის თანამდებობებზე. მე-15 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში დასაქმებული ის საჯარო მოსამსახურე და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების შემდეგ სამსახურს გააგრძელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ჩათვლებიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებად და მათი შრომითი სამართლებრივი ურთიერთობები განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობის მიხედვით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს, მათ შორის, ოპტიმიზაციას, განახორციელებს ამ სამინისტროს სისტემაში სამსახურის გავლის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობის გათვალისწინებით.

ამდენად, განხორციელებული ცვლილებების შედეგად იმ დეპარტამენტის ფუნქციები და უფლებამოსილებანი, რომლის ...ის პოზიციასაც იკავებდა მოსარჩელე ი. კ-ა, შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რის გამოც სამინისტროს დღის წესრიგში დადგა ი. კ-ას მიმართ კანონით დადგენილი პროცედურის განხორციელება.

დადგენილია, რომ 2018 წლის 12 ივლისს ი. კ-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და ითხოვა თანხმობა, რომ დანიშნულიყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ... ის დეპარტამენტის ...ის თანამდებობაზე და წარდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტები.

2018 წლის 10 ოქტომბერს მოსარჩელე ი. კ-ამ წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ითხოვა ეცნობებინათ მისთვის 2018 წლის ივლისის თვეში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მისი გადაყვანის შესახებ მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე. აღნიშნული წერილი 2018 წლის 22 ოქტომბერს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ გადაგზავნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ... ის დეპარტამენტში, ხოლო 2018 წლის 12 დეკემბერს – ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ გადაგზავნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის 2019 წლის 8 იანვრის წერილით შსს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს ეცნობა, რომ ი. კ-ას განცხადებაში მითითებულ საკითხზე რეაგირება სცდებოდა შსს იურიდიული დეპარტამენტის კომპენტენციას. აღნიშნულიდან გამომდინარე 2018 წლის 12 დეკემბრის №2999792 სამსახურებრივ ბარათს მსვლელობა არ მიეცემოდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 11 მარტის №MIA 6 19 00625251 წერილის თანახმად, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ქუთაისი, 5 ივლისი, 2018წ. №...-რს) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი ...ის მიმართულებით გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამავე მუხლის მე-13 პუნქტი შს სამინისტროს ანიჭებდა უფლებამოსილებას (და არა ვალდებულებას) მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში შესაბამის თანამდებობაზე უზრუნველყო ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ შესაბამის სამინისტროებში და მათ სისტემებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების უკონკურსოდ გადაყვანა. ...ის მიმართულებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფუნქციებისა და უფლება-

მოსილებების განმახორციელებლად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განისაზღვრა ამავე სამინისტროს ის დეპარტამენტი, რასთან დაკავშირებითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებაში საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 აგვისტოს №391 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსის დეპარტამენტს ...ა ის დეპარტამენტის ...ი და აღნიშნულ თანამდებობას იკავებდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დანიშნული სამინისტროს მოსამსახურე. შესაბამისად,ის დეპარტამენტის ...ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ის დეპარტამენტის ...ის პოზიციაზე გადაყვანის საჭიროება არ დამდგარა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 31 ივლისის №01/13883 წერილით ი. კ-ას 2019 წლის 29 ივლისის №106408 განცხადების პასუხად ეცნობა, რომ 2018 წელს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლედ – ...ის მიმართულებით. აღნიშნული ფუნქციების შეუფერხებლად შესრულების მიზნით, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი პროგრამული კოდის ასიგნებების განმკარგავების განსაზღვრის თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის №1420 განკარგულებით, პროგრამული კოდის ... „...“ ასიგნებების განმკარგავად განისაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.ის დეპარტამენტის ...ის ... რანგის ...ი სტრუქტურული ერთეულის ...ის თანამდებობრივი სარგო გათვალისწინებულ იქნა ზემოაღნიშნულ პროგრამულ კოდზე.

საჯარო სამსახურის ბიუროს 2019 წლის 22 მაისის №გ4597 წერილის თანახმად, ბიუროს მიერ ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში გადამოწმების შედეგად, ი. კ-ა 06.07.2015 წლიდან 11.07.2018 წლამდე ფიქსირდებოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ... დეპარტამენტის ...ად. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სა-

მინისტრო, ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში აღარ იძებნებოდა, ვინაიდან „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების (№...-რს, 05.07.2018) შესაბამისად, იგი ტექნიკურად დაიხურა 2018 წლის 12 ივლისის თარიღით. საჯარო სამსახურის ბიუროს 2019 წლის 3 ივნისის №გ4800 წერილის მიხედვით, ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში და მოხელეთა რეზერვში ი. კ-ა, როგორც საჯარო მოხელე, იმ დროის მდგომარეობით არ ფიქსირდებოდა. საჯარო სამსახურის ბიუროს 2019 წლის 22 მაისის №გ4592 წერილით დგინდება, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (ყოფილი) მიერ საჯარო სამსახურის ბიუროსთვის მიწოდებულიის დეპარტამენტის თანამშრომლების თავდაპირველი და დაზუსტებული ინფორმაცია ბიუროს მიერ შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ამდენად, საქმის მასალების მიხედვით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წელს განხორციელებულ აღნიშნულ ცვლილებებამდე ი. კ-ა იკავებდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ... დეპარტამენტის ...ის თანამდებობას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 11 მარტის №MIA 6 19 00625251 წერილის თანახმად, ...ის მიმართულებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განმახორციელებლად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განისაზღვრა ამავე სამინისტროს ის დეპარტამენტი, რომელსაც ...ა ის დეპარტამენტის ...ი და აღნიშნულ თანამდებობას იკავებდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დანიშნული სამინისტროს მოსამსახურე, შესაბამისად,ის დეპარტამენტის ...ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ის დეპარტამენტის ...ის პოზიციაზე გადაყვანის საჭიროება არ დამდგარა. ხოლო ი. კ-ა, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში წარდგენილი განცხადებებით, ასევე წარმოდგენილი სარჩელით პრეტენზიას აცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ის დეპარტამენტის ...ის თანამდებობაზე და მიიჩნევს, რომ მის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კა-

ნონით დადგენილი მობილობის წესი და პროცედურა, რაც ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას სათანადოდ არ იქნა შეფასებული. ამასთან, კასატორი სადავოდ ხდის განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად შინაგან საქმეთა სამინისტროს უმოქმედობას, მისი შრომითი მოწყობის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ჩაუტარებლობასა და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარსებობას.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ მართალია, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონით (ქუთაისი, 5 ივლისი, 2018წ. №...-რს) დადგინდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფუნქციებისა და უფლებამოსილებების (...ის მიმართულებით) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემა და აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი საკადრო საკითხები, თუმცა აღნიშნული ნორმატიული მონესრიგების მიუხედავად, საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი ინდივიდუალურად ი. კ.-ას მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, როგორც მის მიმართ შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების გზით, სათანადო პროცედურის გავლის სამართლებრივი შედეგი. ამასთან, წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე სადავოდ ხდის მის მიმართ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მობილობის წესის განუხორციელებლობას, რომლის თანახმად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას შესაბამისი მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას — დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით, ხოლო მოხელის მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში იგი მოხელეთა რეზერვში ირიცხება და ეძლევა შესაბამისი კომპენსაცია („საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 52-ე მუხ.). აღნიშნულის მიუხედავად, განსახილველ შემთხვევაში ი. კ.-ას მიმართ არ განხორციელებულა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი მობილობის პროცედურა, მოსარჩელეს არ უსარგებლია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით მისთვის, როგორც საჯარო მოხელისთვის, მინიჭე-

ბული გარანტიებით.

ადმინისტრაციული ორგანოს აღნიშნულ დარღვევაზე მიუთითებს საქმეზე წარმოდგენილი საქართველოს სახალხო დამცველის 21/12/2020 №04-5/12559 რეკომენდაცია, რომლის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ადგილი ჰქონდა განმცხადებლის კონსტიტუციით დაცული შრომითი უფლების დარღვევას, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც უფლებამონაცვლე და შესაბამისი ასიგნებების მიმღები უწყება ვალდებული იყო ეხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით უზრუნველყო ი. კ-ას მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვა და კომპენსაციის სახით 3 თვის ოდენობით თანამდებობრივი სარგოს გაცემა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ი. კ-ას მობილობის შეუძლებლობის შემთხვევა არ უნდა გამხდარიყო სახელმწიფო უწყების მხრიდან მოხელისთვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური გარანტიის შექმნაზე თავის არიდების საფუძველი, რამდენადაც კანონმდებლობით სწორედ აღნიშნული მიზნით იყო გათვალისწინებული მოხელის რეზერვში ჩარიცხვისა და შესაბამისი კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ი. კ-ას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მითითებულია, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ქუთაისი, 5 ივლისი, 2018წ. №...-რს) მე-2 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება საჭიროების შემთხვევაში შესაბამის თანამდებობაზე უზრუნველყო ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ შესაბამის სამინისტროებში და მათ სისტემებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების უკონკურსოდ გადაყვანა. აღნიშნულ დანაწესზე დაყრდნობით ი. კ-ას დასაქმება შინაგან საქმეთა სამინისტროში სამინისტროს მიხედულებას დაუკავშირდა. ამასთან, მითითება კეთდება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მიმართებაში სპეციალური მონესრიგების არსებობაზე.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ქუთაისი, 5 ივლისი, 2018წ. №...-რს) მე-2 მუხლის მე-13 პუნქტით შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მინიჭე-

ბული უფლებამოსილება – საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყო ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ შესაბამის სამინისტროებში და მათ სისტემებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირების შტატიტ დასაქმებულ თანამშრომელთა და შტატგარეშე მომუშავეთა უკონკურსოდ გადაყვანა შესაბამის თანამდებობებზე, არ შეიძლება გაგებულ იქნეს ი. კ-ას, როგორც საჯარო მოხელის, სამართლებრივი და სოციალური გარანტიების გამოსარიცხად. ი. კ-ას შრომითი უფლებები დაცულია საქართველოს კონსტიტუციითა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით. სპეციალური მოწესრიგების პირობებშიც, ადმინისტრაციული ორგანო არ თავისუფლდება სათანადო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისგან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წარმოების წესები ასევე გამოიყენება სპეციალური რეგულაციის არარსებობის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში სათანადო წარმოების ჩატარების გზით ი. კ-ას მიმართ უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილება არ მიღებულა.

ამასთან, მართალია, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ პირველი მუხლის 3¹ პუნქტის თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამავე კანონის მოქმედება სამინისტროს მოსამსახურეზე, როგორც სპეციალური ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობის სუბიექტზე, ვრცელდება მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 51-ე, 64-ე, 66-ე და 103-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუმცა განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ი. კ-ა განხორციელებულ სტრუქტურულ ცვლილებებამდე იკავებდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ... დეპარტამენტის ...ის თანამდებობას, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ქუთაისი, 5 ივლისი, 2018წ. №...-რს) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი (...ის მიმართუ-

ლებით) გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაითვალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლედ (...ის მიმართულებით) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში; ხოლო საქმეზე დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ აღნიშნული ცვლილებების შედეგად ი. კ-ას გადაყვანა შინაგან საქმეთა სამინისტროში არ განხორციელებულა და იგი არ წარმოადგენდა აღნიშნული უწყების მოსამსახურეს, რომელზეც შესაძლოა გავრცელებულიყო სპეციალური რეგულაცია. ამასთანავე, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონს (ქუთაისი, 5 ივლისი, 2018წ. №...-რს) არ დაუდგენია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონისგან განსხვავებული რეგულაციები საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მის სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმისას განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ. შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლედ (...ის მიმართულებით) და შესაბამისი ასიგნებების მიმღები უწყება, ვალდებული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით უზრუნველყო ი. კ-ა, როგორც საჯარო მოხელე, შესაბამისი სამართლებრივი და სოციალური გარანტიებით, განხორციელებინა მობილობის პროცედურა საჯარო სამსახურის ბიუროს მონაწილეობით, მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში – რეზერვში ჩარიცხვა და კომპენსაციის გაცემა. ი. კ-ა, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მოხელე, შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმების შეუძლებლობის მიუხედავად, იმსახურებდა მობილობის პროცედურის სათანადოდ გავლას საჯარო სამსახურის ბიუროს ჩართულობით და მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვასა და კომპენსაციას, რითაც მას, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მოხელეს უზრუნველყოფდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, რომელმაც საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მის სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმისას სწორედ საჯარო სამსახურის სტაბილურობისა და მოხელეთა უფლებრივი მდგომარეო-

ბის განსამტკიცებლად შემოიტანა მობილობის ინსტიტუტი.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ მოსარჩელე მოცემულ დავაში სადავოდ არ ხდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 11 მარტის №MIA 6 19 00625251 წერილს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოცემული დავის ფარგლებში ი. კ-ა სადავოდ ხდის მის მიმართ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მობილობის პროცედურის განუხორციელებლობას, სათანადო წარმოების ჩაუტარებლობასა და ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობას, რასაც ვერ პასუხობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ...ის, პოლიციის პოლკოვნიკის მიერ ხელმოწერილი აღნიშნული წერილი, რომელიც შედგენილია ი. კ-ას მიერ სარჩელის სასამართლოში წარმოდგენის შემდგომ. საქმეზე არ არის წარმოდგენილი უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება სამინისტროში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ი. კ-ას მიმართ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ; ი. კ-ას მიმართ უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილება არ მიღებულა. წარმოდგენილ სარჩელში მოსარჩელე მიუთითებდა სწორედ იმ გარემოებაზე, რომ მისი არაერთი წერილობითი მიმართვის მიუხედავად, სამინისტროს მის მიმართ გადაწყვეტილება არ მიუღია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დასახელებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 11 მარტის №MIA 6 19 00625251 წერილის გასაჩივრების საკითხი არ არის რელევანტური მოცემული დავის გადაწყვეტისას და მისი გაუსაჩივრებლობა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ი. კ-ას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა დაევალოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის შესაბამისად ი. კ-ას მიმართ განხორციელოს მობილობის პროცედურა საჯარო სამსახურის ბიუროს მონაწილეობით, ხოლო მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში გამოსცეს შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ი. კ-ას მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვისა და მასზე 6 თვის კომპენსაციის გაცემის თაობაზე, რამდენადაც, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჯარო სამსახურის ბიუროს მონაწილეობით ვერ უზრუნველყო ი. კ-ას მიმართ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლით დადგენილი პროცედურის განხორციელება.

რაც შეეხება ი. კ-ას მოთხოვნას მიუღებელი ხელფასის ანაზღა-

ურების ნაწილში, საკასაციო სასამართლო „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ქუთაისი, 5 ივლისი, 2018წ. №...-რს) მე-2 მუხლის მე-13 პუნქტზე მითითებით აღნიშნავს, რომ დასახელებული დანაწესი არ გამორიცხავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებას მის უწყებაში ი. კ-ას დასაქმების შეუძლებლობის მიუხედავად მის მიმართ საჯარო სამსახურის ბიუროს მონაწილეობით უზრუნველყო მობილობის პროცედურის სათანადო განხორციელება და მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში მისი მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვა და კომპენსაციის გაცემა, თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ი. კ-ას უშუალოდ მის უწყებაში დასაქმების ვალდებულება არ გააჩნდა. შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესთან დაკავშირებული სპეციალური რეგულაციების არსებობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც სამართალდამცავი ორგანოს საქმიანობისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული პირობებით არის გათვალისწინებული, რამდენადაც შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახური წარმოადგენს კანონმდებლობით რეგლამენტირებული საქმიანობის განსაკუთრებულ სახეს. შესაბამისად, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს ი. კ-ას უშუალოდ მის უწყებაში დასაქმების ვალდებულება არ გააჩნდა, მოთხოვნა მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების ნაწილში მოცემულ შემთხვევაში არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. კ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. კ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალოს ი. კ-ას მიმართ განახორციელოს მობილობის პროცედურა საჯარო სამსახურის ბიუროს მონაწილეობით, ხოლო მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში გამოსცეს შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ი. კ-ას მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვისა და მასზე 6 თვის კომპენსაციის გაცემის თაობაზე; დანარჩენ ნაწილში ი. კ-ას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ი. კ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალოს ი. კ-ას მიმართ განახორციელოს მობილობის პროცედურა საჯარო სამსახურის ბიუროს მონაწილეობით, ხოლო მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში გამოსცეს შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ი. კ-ას მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვისა და მასზე 6 თვის კომპენსაციის გაცემის თაობაზე;
5. დანარჩენ ნაწილში ი. კ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კადრების განაპარგულებაში ყოფნის პერიოდში მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი ტ ი

№ბს-42(კ-21)

12 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ჩ-მა 2018 წლის 4 ოქტომბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა კადრების განაპარგულებაში მყოფი თავდაცვის სამხედრო

პოლიციის ... ბ. ჩ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 21 სექტემბრის №MOD 1 18 00003249 ბრძანების ბათილად ცნობა; ასევე მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ბ. ჩ-ის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...სა და ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილის ან მის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 25 აგვისტოდან მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...ის უფროსის მოადგილედ, საიდანაც ამავე სამინისტროს გაერთიანებული შტაბის უფროსის 2013 წლის 22 აპრილის №1254 ბრძანებით გათავისუფლდა. მითითებული ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით მიმართა სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, თუმცა ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების შემდგომ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის №3ბ/699-14 გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მისი სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის 2013 წლის 22 აპრილის №1254 ბრძანება ბ. ჩ-ის სამსახურიდან გათავისუფლების ნაწილში. მიუხედავად აღნიშნულისა, თავდაცვის სამინისტრომ არ შეასრულა თბილისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში თავდაცვის სამინისტრომ 2016 წლის 20 იანვარს მიიღო ბ. ჩ-ის 2013 წლის 7 აპრილიდან სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე აბსოლუტურად იგივე №MOD 5 16 00000149 ბრძანება, რაც ასევე გასაჩივრდა სასამართლო წესით, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით, 2016 წლის 20 იანვარს №MOD 5 16 00000149 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 04 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2016 წლის 20 იანვრის №MOD 5 16 00000149 ბრძანება და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ბ. ჩ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის – 72 798 ლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც 2018 წლის 30 იანვრის გან-

ჩინებით დაუშვებლად ცნო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

მოსარჩელის მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 04 ოქტომბრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, 2018 წლის 20 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსგან მიიღო განთავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ შეთავაზება, თუმცა იმის გამო, რომ მოსარჩელის მოსაზრებით შემოთავაზებული თანამდებობები არ იყო შესაბამისი – გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფასი, მოსარჩელის მიერ სამინისტროს შეთავაზებაზე გაეზავნა პასუხი, სადაც მისივე განმარტებით, უარი არ უთქვამს შესაბამის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნაზე და კონსენსუსის გზით სათანადო გადაწყვეტილების მიღების მიზნით გამოთქვამდა კონსულტაციების გავლის მზადყოფნას, რაც არ მომხდარა. მიუხედავად შეთავაზებაზე გაგზავნილი პასუხის შინაარსისა, თავდაცვის სამინისტრომ 2018 წლის 21 სექტემბერს გამოსცა აშკარა უკანონო №MOD 1 18 00003249 ბრძანება დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, შემოთავაზებული თანამდებობის დაკავებაზე უარის თქმის მოტივით.

სარჩელის მიხედვით, ბ. ჩ-ს ეკავა ...ოს უფროსის მოადგილის თანამდებობა, ხოლო თავდაცვის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული თანამდებობები იყო უფროსი ინსპექტორის თანამდებობა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 პრიმა მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი (ცვლილებები შეტანილ იქნა 2017 წლის 21 აგვისტოს №64 ბრძანებით) უკანონოდ განთავისუფლებული მოსამსახურის თანამდებობაზე აღდგენისას თუ შტატის შემცირების გამო აღარ არსებობს ან უკვე დაკომპლექტებულია უკანონოდ განთავისუფლებამდე არსებული თანამდებობა, პირი მისი კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ინიშნება შესაბამის (ტოლფასი) ან მისი თანხმობით – სხვა თანამდებობაზე, ხოლო თუ მოსამსახურე შესაბამის (ტოლფასი) თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით განაცხადებს უარს, იგი გათავისუფლდება. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ უხეშად შეილახა მისი შრომითი უფლებები და ინტერესები, ვინაიდან, სამინისტრომ დაარღვია „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 პრიმა მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები, კერძოდ, შეთავაზებული თანამდებობა არ იყო მოსარჩელის გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფასი, ამდენად ითხოვს

2018 წლის 21 სექტემბრის №MOD 1 18 00003249 ბრძანების ბათილად ცნობასა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...სა და ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილის ან მის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით ბ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 21 სექტემბრის №MOD 1 18 00003249 ბრძანება კადრების განკარგულებაში მყოფი თავდაცვის სამხედრო პოლიციის ... – ბ. ჩ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ბ. ჩ-ის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...სა და ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილის ან მის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული 2017 წლის 4 ოქტომბრის (საქმე №3ბ/2318-16) გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 20 იანვრის №MOD 5 16 00000149 ბრძანება ბ. ჩ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ბ. ჩ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის – 72 798 ლარის ანაზღაურება; ბ. ჩ-ის სარჩელი სამსახურში აღდგენის თაობაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ასევე, დადგენილ გარემოებად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 20 იანვრის №MOD 5 16 00000149 ბრძანების (ბ. ჩ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ) ბათილად ცნობით, აღდგა მოცემული ბრძანების გამოცემამდე არსებული მდგომარეობა – კადრების განკარგულებაში გადაყვანა, რომელიც გათვალისწინებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ხოლო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 21 სექტემბრის №MOD 1 18 00003249 ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი ...სა და ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილე, თავდაცვის სამხედრო პოლიციის ... – ბ. ჩ-ი ჩა-

ითვალა სამსახურიდან გათავისუფლებულად 2013 წლის 8 აპრილიდან.

საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან მოსარჩელის დათხოვნისა და ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების კანონიერების შეფასების მიზნით, სასამართლომ მიუთითა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლზე და არ გაიზიარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითება იმის თაობაზე, რომ „წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კადრების განკარგულებაში გადაყვანილი პირისათვის კონკრეტული თანამდებობის შერჩევა-შეთავაზება წარმოადგენს სამინისტროს დისკრეციულ უფლებამოსილებას. ამასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული მუხლი გულისხმობს თავდაცვის სამინისტროს იმპერატიულ ვალდებულებას დაადგინოს/მოიძიოს/შეარჩიოს კონკრეტული თანამდებობა კადრების განკარგულებაში მყოფი პირისათვის. მხოლოდ ამ პროცედურის გავლის შემდეგ, თუ სამინისტრო დაადგენს, რომ არ არსებობს კადრების განკარგულებაში მყოფი პირის შესაფერისი თანამდებობა, თავდაცვის სამინისტრო უფლებამოსილია დაითხოვოს კადრების განკარგულებაში მყოფი პირი საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 20 აგვისტოს №MOD 7 18 00832885 წერილით ბ. ჩ-ს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შეეთავაზა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დასახელებული თანამდებობები, კერძოდ: 1. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...ის მთავარი სამმართველოს კახეთი, ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს უფროსი ინსპექტორი (საშტატო კატეგორია: „თავდაცვის მაიორი“; შტატის ნომერი: ...); 2. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...ის მთავარი სამმართველოს შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს უფროსი ინსპექტორი (საშტატო კატეგორია: „თავდაცვის მაიორი“; შტატის ნომერი: ...); 3. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...ის მთავარი სამმართველოს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურიისა და ქვემო სვანეთის რე-

გიონალური სამმართველოს უფროსი ინსპექტორი (საშტატო კატეგორია: „თავდაცვის მაიორი“; შტატის ნომერი: ...); 4. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...ის მთავარი სამმართველოს სამეგრელო, ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსი ინსპექტორი (საშტატო კატეგორია: „თავდაცვის მაიორი“; შტატის ნომერი: ...) და აღნიშნული წესის 13¹ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, განემარტა, რომ მხარის მიერ უარის თქმის შემთხვევაში, კადრების განკარგულების ვადის გასვლის გამო სამსახურიდან გათავისუფლდებოდა 2013 წლის 7 აპრილიდან.

საქალაქო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ 2018 წლის 17 სექტემბერს ბ. ჩ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრს, სადაც მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ შეთავაზებული თანამდებობიდან არც ერთი არ წარმოადგენდა გათავისუფლებაზე დაკავებული თანამდებობის – თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში ...ოს უფროსის მოადგილის ტოლფას თანამდებობას. შეთავაზებული თანამდებობებით კი, კვლავ ილახებოდა მისი შრომითი უფლებები და ინტერესები. ამავე განცხადებაში ბ. ჩ-მა მიუთითა, რომ იგი მზად იყო განხილულიყო მისი თავდაცვის სამინისტროდან გათავისუფლების საკითხი და წარედგინა მისი პოზიცია.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 21 სექტემბრის №MOD 1 18 00003249 ბრძანებით, კადრების განკარგულებაში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი ...სა და ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილე, თავდაცვის სამხედრო პოლიციის ... ბ. ჩ-ი ჩაითვალა სამსახურიდან გათავისუფლებულად 2013 წლის 8 აპრილიდან. ამავე ბრძანებაში მიეთითა, რომ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით კადრების განკარგულებაში მყოფ თავდაცვის სამხედრო პოლიციის ... ბ. ჩ-ს შეეთავაზა (№MOD 7 18 00832885 20/08/2018) საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...ის მთავარი სამმართველოს 4 (ოთხი) სხვადასხვა სამმართველოში უფროსი ინსპექტორის (საშტატო კატეგორია: „თავდაცვის მაიორი“) 4 (ოთხი) ვაკანტური თანამდებობა, თუმცა 2018 წლის 17 სექტემბრის №MOD 0 18 00929610 განცხადებით, ბ. ჩ-მა უარი განაცხადა მითითებულ შეთავაზებაზე. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის მიერ დაწერილ განცხადებაში მის მიერ გამოხატულ ნებაზე, სადაც საუბარია, რომ იგი უარს არ ამბობდა შეთავაზებაზე, არამედ მის განმარტებაზე, რომ შეთავაზებული თანამდებობები არ წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ გა-

თავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის (თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...-ის უფროსის მოადგილე) ტოლფას თანამდებობას. ამასთან, განცხადებაში მოსარჩელე მხარე მზადყოფნას გამოთქვამდა მისი პოზიცია დაეფიქსირებინა პირადად სამინისტროში და გაეწეო კონსულტაციები.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 96-ე მუხლის პირველი ნაწილი და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული ყველა შესაძლებლობა, რათა სრულყოფილად დაადგინოს და შეისწავლოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. მხოლოდ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულად შესწავლისა და დადგენის შემდეგ არის შესაძლებელი კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლომ ასევე მოიშველია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის №ბს-246-243(კ-14) განჩინებაში გაკეთებული განმარტება, სადაც ნათქვამია, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილია პროცედურის დაცვა, რამდენადაც მიუყვანო მდგომარეობა, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობა-კანონიერების ხარისხი გაცილებით მაღალია, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წარმოების პროცედურის დაცვა განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს თვით აქტის კანონიერებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამ-

დენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხემ ისე გამოსცა სადავო აქტი, რომლის გამოცემის ერთ-ერთ საფუძვლადაც მიუთითა „მოსარჩელის უარი შეთავაზებულ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით“, რომ არ გამოუკვლევია მოსარჩელის რეალური ნება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბ. ჩ-ის მიერ გამოხატული ნება სამინისტროს მხრიდან არ უნდა შეფასებულიყო უარად და იმ შემთხვევაში, თუ ერთმნიშვნელოვნად არ დგინდებოდა მხარის პოზიცია წარდგენილ შეთავაზებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, რაც ადმინისტრაციულმა ორგანომ არ განახორციელა, შესაბამისად ბ. ჩ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 21 სექტემბრის №MOD 1 18 00003249 ბრძანება სასამართლომ ცნო ბათილად.

თანამდებობაზე აღდგენის შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვინაიდან, განთავისუფლების შესახებ ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი, არსებობდა მოპასუხისათვის ბ. ჩ-ის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...სა და ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილის ან მის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობები, შესაბამისად, მოთხოვნა ამ ნაწილშიც დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 21 თებერვლის განჩინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 აპრილის გადანიშნული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მიღე-

ბული გადაწყვეტილებების სამართლებრივი დასაბუთება და პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის მიერ დაწერილ განცხადებაში გამოხატულ ნებაზე, სადაც იგი უარს არ ამბობდა შეთავაზებაზე, არამედ მის განმარტებაზე, რომ შეთავაზებული თანამდებობები არ წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის (თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...ოს უფროსის მოადგილე) ტოლფას თანამდებობას. ამასთან, განცხადებაში მოსარჩელე მზადყოფნას გამოთქვამდა მისი პოზიცია დაეფიქსირებინა პირადად სამინისტროში და გაეცლო კონსულტაციები, შესაბამისად სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ბ. ჩ-ის მიერ გამოხატული ნება სამინისტროს მხრიდან არ უნდა შეფასებულიყო უარად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 21 თებერვლის განჩინება მისი გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 04 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 20 იანვრის №MOD5 16 00000149 ბრძანება ბ. ჩ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და მოპასუხეს დაავალა ბ. ჩ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის – 72 798 ლარის ანაზღაურება, ხოლო სამსახურში აღდგენის თაობაზე მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...ოს უფროსის მოადგილის თანამდებობა გადაკეთდა მხოლოდ სამხედრო ოფიცრის თანამდებობად „ვიცე-პოლკოვნიკ“-ს ჭერით და ბ. ჩ-ის სასარჩელოს მოთხოვნას წარმოადგენდა სწორედ ამ თანამდებობაზე აღდგენა, იგი ველარ აკმაყოფილებდა ამ თანამდებობისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნას (მითითებულ თანამდებობაზე შესაძლებელია დაინიშნოს მხოლოდ სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მატარებელი პირი, ხოლო ბ. ჩ-ი წარმოადგენდა სპეციალური წოდების მქონე პირს).

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ 13¹ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „უკანონოდ გათავისუფლებული მოსამსახურის თანამდე-

ბოზაზე აღდგენისას, თუ შტატის შემცირების გამო აღარ არსებობს ან უკვე დაკომპლექტებულია უკანონოდ გათავისუფლებამდე არსებული თანამდებობა, პირი, მისი კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ ჩვევების გათვალისწინებით, ინიშნება შესაბამის (ტოლფას) ან მისი თანხმობით სხვა თანამდებობაზე, ხოლო თუ მოსამსახურე შესაბამის (ტოლფას) თანამდებობაზე დანიშნებასთან დაკავშირებით განაცხადებს უარს, იგი გათავისუფლდება სამსახურიდან“. შესაბამისად, მითითებული ჩანაწერი ითვალისწინებს ტოლფასი თანამდებობის შეთავაზებას.

იმ გარემოებიდან გამომდინარე, როდესაც სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 20 იანვრის №MOD 5 16 00000149 ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და ძალაში იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.12.2012 წლის №63455 ბრძანება მისი კადრების განკარგულებაში გადაყვანის თაობაზე, სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების გაბათილებამ გამოიწვია ბ. ჩ-ის კადრების განკარგულებაში დაბრუნება. შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მას შეეთავაზა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...ის მთავარი სამმართველოს 4 სხვადასხვა სამმართველოში უფროსი ინსპექტორის თანამდებობები, სამტატო კატეგორია „თავდაცვის მაიორი“, რაზეც მან უარი განაცხადა.

კასატორის განმარტებით, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში, 2018 წლის 21 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ გამოცემული იქნა №MOD 1 18 00003249 ბრძანება, რომლითაც კადრების განკარგულებაში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი ...სა და ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილე თავდაცვის სამხედრო პოლიციის ... ბ. ჩ-ი ჩაითვალა სამსახურიდან გათავისუფლებულად 2013 წლის 8 აპრილიდან.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობაზე, სადაც სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითება, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კადრების განკარგულებაში გადაყვანილი პირისათვის კონკრეტული თანამდებობის შერჩევა-შეთავაზება წარმოადგენს სამინისტროს დისკრეციულ უფლებამოსილებას და განმარტა, რომ მითითებული მუხლი გულისხმობს თავდაცვის სამი-

ნისტროს იმპერატიულ ვალდებულებას დაადგინოს/მოიძიოს/შე-
არჩიოს კონკრეტული თანამდებობა კადრების განკარგულებაში
მყოფი პირისათვის. მხოლოდ ამ პროცედურის გავლის შემდეგ, თუ
სამინისტრო დაადგენს, რომ არ არსებობს კადრების განკარგულე-
ბაში მყოფი პირის შესაფერისი თანამდებობა, თავდაცვის სამინის-
ტრო უფლებამოსილია დაითხოვოს კადრების განკარგულებაში
მყოფი პირი საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან. აღ-
ნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგოდ კასატორი მიუთითებს, რომ
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 21 სექტემბრის
№MOD1 18 00003249 ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყო-
ფი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის
სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი ...სა და ...ის სამ-
მართველოს უფროსის მოადგილე თავდაცვის სამხედრო პოლიცი-
ის ... ბ. ჩ-ი ჩაითვალა სამსახურიდან გათავისუფლებულად საქარ-
თველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძა-
ნებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამ-
სახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვე-
პუნქტის საფუძველზე, რაც გულისხმობს სტრუქტურულ ქვედა-
ნაყოფში მიმდინარე რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებას,
მათ შორის, შტატით განსაზღვრული თანამდებობის გაუქმებას და
არა „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის
წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძ-
ველზე, როგორც ამას უთითებს თბილისის საქალაქო სასამართლო
თავის მსჯელობაში.

კასატორი აღნიშნავს, რომ თავდაცვის სამინისტროს არც თა-
ვის შესაგებელში და არც სასამართლო სხდომაზე არ მიუთითებია
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582
ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელ-
თა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“
ქვეპუნქტზე და ვერც მიუთითებდა, ვინაიდან აღნიშნული პუნქტი
არ წარმოადგენდა ბ. ჩ-ის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძ-
ველს. ხსენებული მუხლის „ა“ ქვეპუნქტი კი, არ ავალდებულებდა
თავდაცვის სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი მო-
ხელისათვის შეთავაზების ვალდებულებას, რაც სასამართლოს მი-
ერ არასწორად შეფასდა. კასატორის მოსაზრებით, თავდაცვის სა-
მინისტროს მხრიდან გამოხატული შეთავაზება წარმოადგენდა სა-
მინისტროს კეთილ ნებას და მიჩნევს, რომ ბ. ჩ-ის მიერ გამოხატუ-
ლი უარი (მიუხედავად იმ შინაარსისა, რომ იგი მზად იყო მისი პო-
ზიცია დაეფიქსირებინა პირადად მინისტრთან) საკმარისი საფუძ-
ველი იყო თავდაცვის მინისტრის მიერ აქტის გამოსაცემად, მითუ-
მეტეს იმ პირობებში, როცა სამინისტროს შეთავაზების ვალდებუ-

ლება არ გააჩნდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. საკასაციო საჩივარი განხილული იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემომწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 21 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით (საქართველოს კონსტიტუციის 25.1 მუხლი). საქართველოს კონსტიტუციის ზემოხსენებული ნორმით გარანტირებული შრომის უფლება გულისხმობს მოქალაქის უფლებას, გააჩნდეს წვდომა საჯარო სამსახურზე და სახელმწიფოს ვალდებულებას არ დაუშვას პირის საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება. აღსანიშნავია, რომ შრომის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და ექვემდებარება შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. მნიშვნელოვანია, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი უნდა იყოს დამაჯერებლად დასაბუთებული. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ კონკრეტულ ბრძანებას თავისი საფუძველი გააჩნია, რაც ამართლებს ან არ ამართლებს მის გამოცემას. ასეთ დროს, სასამართლოს როლი სწორედ ბრძანების საფუძვლის კანონიერების საკითხის გამორკვევაა, რაც სარჩელის იურიდიული ბედის განმსაზღვრელია. ამდენად, მოცემული დავის გადაწყვეტა საჭიროებს ბ. ჩ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების დადგენას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 14 დეკემბრის №3455 ბრძანებით, სა-

ქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...სა და ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილე (საშტატო კატეგორია – „ვიცე-პოლკოვნიკი“, შტატი – №...) ბ. ჩი, „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილი იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში 2012 წლის 7 დეკემბრიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანება (13.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი) მოსამსახურის შესაბამისი თანამდებობიდან გათავისუფლებასა და კადრების განკარგულებაში გადაყვანას უკავშირებს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მიმდინარე რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებას (მათ შორის, შტატით განსაზღვრული თანამდებობის გაუქმებას).

მითითებული ბრძანების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით მოსამსახურის დათხოვნის/განთავისუფლების შემთხვევაში, მისი კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები. მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გადაყვანა იმავდროულად წარმოადგენს გაფრთხილებას სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის/განთავისუფლების შესახებ.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს. აღნიშნული ვადის ამონურვამდე კადრების განკარგულებაში ყოფნის შემთხვევაში, მოსამსახურე უნდა დაინიშნოს შესაბამის თანამდებობაზე ან დათხოვნილ/განთავისუფლებულ იქნეს სამსახურიდან. თუ აღნიშნული ვადის ამონურვისას მოსამსახურე არ დაინიშნება შესაბამის თანამდებობაზე, სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დათხოვნის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, მოსამსახურე ითვლება დათხოვნილად/განთავისუფლებულად აღნიშნული ვადის ამონურვიდან მეორე დღეს.

მოყვანილი ნორმების ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 14 დეკემბრის №3455 ბრძანების გამოცემა საჯარო დანესებულებაში დანყებული რეორ-

განიზაციის თანმდევ შედეგს წარმოადგენდა, თუმცა აღნიშნული ბრძანება არ წარმოადგენდა ბ. ჩ-თან არსებული სამართლებრივი ურთიერთობის საბოლოოდ შეწყვეტის (სამსახურიდან განთავისუფლების) საფუძველს, რადგანაც მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გადაყვანა იმთავითვე არ გულისხმობს მისი სამსახურიდან უპირობო დათხოვნას. პირის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში ადმინისტრაციულ ორგანოს მოსამსახურის დასაქმების საკითხის გადასაწყვეტად ეკისრება ვალდებულება მოიძიოს მისი კვალიფიკაციის შესაბამისი ვაკანტური თანამდებობა, განსაზღვროს რეორგანიზაციის შემდგომ არსებულ საშტატო ერთეულებზე პირის დანიშვნის წინაპირობების არსებობა და სხვ., რათა კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე, შესაძლებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოს მოხელის შესაბამის თანამდებობაზე აღდგენა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის ამონურვისას მოსამსახურე არ დაინიშნება შესაბამის თანამდებობაზე, გამოიცემა ბრძანება ვადის ამონურვიდან მეორე დღის თარიღით მისი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის და ამავე პალატის 2017 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებებზე, რომლითაც მართალია ბ. ჩ-ის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი, თუმცა მისი სარჩელი სამსახურში აღდგენის შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ამ სახის გადაწყვეტილების დასაბუთებისას, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო მდგომარეობა, როდესაც შეიცვალა მოთხოვნები, რაც საჭირო იყო კონკრეტული თანამდებობის – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...ოს უფროსის მოადგილის დასაკავებლად, რასაც ბ. ჩ-ი ვერ აკმაყოფილებდა.

საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 20 აგვისტოს №MOD 7 18 00832885 წერილზე, რომლითაც ბ. ჩ-ს, როგორც კადრების განკარგულებაში მყოფ პირს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შეეთავაზა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში არსებულ ოთხ ვაკანსიაზე (უფროსი ინსპექტორი,

საშტატო კატეგორია: „თავდაცვის მაიორი“) დანიშვნა, ამასთან განემარტა, რომ უარის თქმის შემთხვევაში, კადრების განკარგულების ვადის გასვლის გამო სამსახურიდან განთავისუფლდებოდა 2013 წლის 7 აპრილიდან.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საკანონმდებლო დანაწესი – კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მოსამსახურის შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, გულისხმობს ადმინისტრაციულ ორგანოს ვალდებულებას, კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე მოიძიოს შესაბამისი ვაკანტური თანამდებობა, რომელიც არსებითად არ ცვლის მოსამსახურის შრომის პირობებს და რომლის განსახორციელებლად საკმარისია ის ცოდნა, კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომელსაც კადრების განკარგულებაში მყოფი მოსამსახურე ახმარდა უწინდელი სამუშაოს შესრულებისას, ამასთან ახალი თანამდებობა საჯარო მოხელეს არსებითად უნდა უნარჩუნებდეს მატერიალურ და სოციალურ სიკეთეს, რაც გააჩნდა უწინდელ თანამდებობაზე მუშაობისას.

საქმეში წარმოდგენილია ბ. ჩ-ის მიერ საქართველოს თავდაცვის მინისტრის სახელზე 2018 წლის 17 სექტემბერს გაგზავნილი განცხადება, რომლის შინაარსიდან ირკვევა, რომ მას არ სურს შეთავაზებულ თანამდებობებზე დანიშვნა, რადგანაც მიაჩნია, რომ აღნიშნული თანამდებობები არ წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობას, ამასთან არ ემსახურებოდა მისი შრომითი უფლებრივი ინტერესების ღირსეულ აღდგენას, რამეთუ შემოთავაზებებით უარესდებოდა მისი შრომითი უფლებრივი ინტერესი (თანამდებობები იყო რეგიონებში და თანაც უფროსი ინსპექტორის საშტატო კატეგორია).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით, რაც გაიზიარა სააპელაციო პალატამაც, ბ. ჩ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობასთან ერთად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაავალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ბ. ჩ-ის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ...სა და ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე, მაშინ როდესაც ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით უკვე არსებობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პა-

ლატის 2017 წლის 4 ოქტომბრის უარყოფითი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია თუ რატომ არ მიიჩნია ქვედა ინსტანციის სასამართლომ ბ. ჩ-ისათვის შეთავაზებული თანამდებობები „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შესაბამის თანამდებობად, რომელთა დანიშვნაზე, წარდგენილი განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, ბ. ჩ-მა უარი განაცხადა. შესაბამისად, საქმის ხელახალი განხილვის შედეგად სააპელაციო სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რატომ არ აკმაყოფილებდა შეთავაზებული თანამდებობები კანონის მოთხოვნას შესაბამის თანამდებობაზე ბ. ჩ-ის დანიშვნის შესახებ, ან ამ პერიოდისთვის არსებობდა თუ არა თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ბ. ჩ-ის კვალიფიკაციის და კომპეტენციის შესატყვისი იმ სახის ვაკანტური თანამდებობა, რაც ადმინისტრაციულმა ორგანომ მხარეს არ შესთავაზა და რა შემთხვევაშიც, ბ. ჩ-ის მატერიალური და სოციალური პირობები გაუთანაბრდებოდა/დაუახლოვდებოდა გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობისთვის დაწესებულ საშეღავათო პირობებს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო პალატა არ არის შეზღუდული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დანაწესით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად აუცილებელი მტკიცებულებები, მათ შორის გამოიკვლიოს ბ. ჩ-ისათვის შეთავაზებული და გათავისუფლებამდე არსებული თანამდებობისთვის განსაზღვრული ფუნქციები, მოახდინოს მათი ურთიერთშედარება, გამოიკვლიოს შეთავაზების პერიოდისთვის სხვა ვაკანტური თანამდებობის არსებობის საკითხი და შესაბამისი შედეგების გათვალისწინებით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გამომდინარეობდეს საკითხის ადეკვატური და თანმხვედრი მტკიცებულებათა ერთობლიობის შეფასებიდან. სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, §59; *Perez v. France*, §80).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის საკმარისად დასაბუთებული, სასამართლომ არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, განჩინება მოკლებულია სათა-

ნადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეუბნის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, აღნიშნული კი თავის მხრივ, სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 21 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იკულავითი განაცდურის და აღმოკატის სარჯების ანაზღაურება

გადანყვებითება საქართველოს სახელით

№ბს-628(2კ-20)

20 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის კანონიერება, ქონებრივი და მორალური ზიანის
ანაზღაურების, თანამდებობაზე აღდგენისა და წოდების მინიჭე-
ბის ვალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ბ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართვე-
ლოს მთავარი პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სა-
მინისტროსა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მი-
მართ. ამავე სასამართლონარმოების ფარგლებში, სასამართლოს
24.07.2018წ. განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-
სის 16.1 მუხლის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქარ-
თველოს ფინანსთა სამინისტრო, სასამართლოს 17.01.2019წ. გან-
ჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის უფლებამონაც-
ვლედ ცნობილ იქნა საქართველოს გენერალური პროკურატურა.

მოსარჩელემ მოითხოვა: 1. 2010 წლის 28 ოქტომბრიდან გ. ბ-ას
თანამდებობიდან გათავისუფლებისა და საქართველოს სამხედრო
ძალების თადარიგში დათხოვნის შესახებ საქართველოს შინაგან
საქმეთა მინისტრის 12.09.2011წ. №1120531 ბრძანების ბათილად
ცნობა; 2. გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლ-
ფას თანამდებობაზე გ. ბ-ას აღდგენისა და მისთვის პოლკოვნიკის
წოდების მინიჭების დავალება საქართველოს უსაფრთხოების სამ-
სახურისთვის; 3. სახელფასო განაცდურის – 2010 წლის 28 ოქტომ-
ბრიდან სამსახურში აღდგენამდე, ყოველთვიურად 3125 ლარისა
და 1322 აშშ დოლარის, ასევე გ. ბ-ას ოჯახის მიერ საპროცესო შე-
თანხმების სანაცვლოდ გადახდილი 50 000 ლარის, საადვოკატო
მომსახურების ხარჯის – 7 000 ლარი და პენიტენციურ დაწესებუ-

ლებაში დახარჯული – 3 700 ლარის, აგრეთვე მორალური ზიანის 100 000 ლარის ოდენობით გ. ბ-ას სასარგებლოდ ანაზღაურების დაკისრება საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის.

მოსარჩელემ აღნიშნა შემდეგი: 2006 წლიდან დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ოფიცრად უსაფრთხოების საკითხებში. სამინისტროს მიერ გ. ბ-ა 2006 წელს წარდგენილი იქნა შპს „...ში“, ასევე 2007 წელს დაევალა გარკვეული ფუნქციების შესრულება შპს „მ...ში“. მისი ხელფასი ყოველთვიურად შეადგენდა შპს „...ში“ 3125 ლარს, ხოლო შპს „მ...ში“ – 1322 აშშ დოლარს. 26.10.2010წ. მოსარჩელე დააკავეს, რის შემდგომაც მას აღნიშნული ხელფასი არ მიუღია, ასევე არ მიუნიჭებიათ მორიგი წოდება. 28.03.2011წ. დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, გ. ბ-ა დამნაშავედ ცნეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩადენაში და ძირითად სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლით, ხოლო დამატებითად – ჯარიმა 50000 ლარის ოდენობით, რაც მსჯავრდებულის სასარგებლოდ გადაიხადა გ. ბ-ამ, ასევე სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ განუელმა ხარჯმა შეადგინა 7000 ლარი. შინაგან საქმეთა მინისტრის 12.09.2011წ. №1120531 ბრძანებით უშიშროების საკითხებში ოფიცერი გ. ბ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2010 წლის 28 ოქტომბრიდან. 2012 წლის 22 ნოემბერს, შეწყალების შედეგად გ. ბ-ა განთავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან, თავისუფლების აღკვეთის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განუელმა ხარჯმა 3700 ლარი შეადგინა. საქართველოს მთავარი პროკურატურის 24.11.2016წ. დადგენილებით დადგინდა მოსარჩელის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში უფლებების არსებითი დარღვევა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 14.03.2018წ. განაჩენით გ. ბ-ა გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში, ცნობილ იქნა უდანაშაულოდ ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო 28.03.2011წ. განაჩენის გადასინჯვის შედეგად, მას განემართა მიყენებული ზიანის სსსკ-ის 92-ე მუხლით დადგენილი წესით ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.02.2019წ. გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელის სასარგებლოდ საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისრა: 1. გ. ბ-ას მიერ 2010 წლის 28 ოქტომბრიდან 2012წ. 5 დეკემბრამდე პერიოდისათვის, სს „...ში“ მისაღები ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს – 3125 ლარის, (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით), 2. მოსარჩელის მი-

ერ დამატებითი სასჯელის – ჯარიმის სახით გადახდილი 50000 ლარისა და 3. მორალური ზიანის 15000 ლარის ოდენობით ანაზღაურება, სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.02.2019წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა როგორც მოსარჩელემ, ასევე მოპასუხემ. გ. ბ-ამ მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ – სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.12.2019წ. განჩინებით, გ. ბ-ასა და საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული 14.03.2018წ. განაჩენი, რომლითაც გ. ბ-ა გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში, წარმოადგენდა მის მარეაბილიტირებელ გარემოებას. სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მიმართ ქონებრივი და მორალური ზიანი გამოიწვია გენერალური პროკურატურის უკანონო საქმიანობამ. ამდენად, სკ-ის 1005.3 მუხლის თანახმად, გ. ბ-ას სასარგებლოდ საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისრა მორალური ზიანის – 15000 ლარის ოდენობით, დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული და მხარის მიერ გადახდილი ჯარიმის – 50000 ლარის და იმ ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს – 3125 ლარის ანაზღაურება, რომელსაც მოსარჩელე მიიღებდა 2010 წლის 28 ოქტომბრიდან 2012წ. 5 დეკემბრამდე პერიოდისათვის სს „...ში“.

მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმების სიმძიმის, ასევე, ევროსასამართლოს პრაქტიკის და უპირველეს ყოვლისა, პატიმრობის ვადის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შეთხვევაში მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული და სამართლიანი თანხაა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.

დამატებითი სასჯელის – ჯარიმის სახით გადახდილ 50000 ლართან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა იმაზე, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 28.03.2011წ. განაჩენი გაუქმებულია, რის გამოც აღნიშნული თანხის გადახდა უნდა დაეკისროს საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს

პრეზიდენტის 27.12.2004წ. №614 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 05.12.2012წ. №1090 ბრძანებულების მიხედვით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები ჩამოყალიბდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის გარეშე. შესაბამისად, მთლიანად, თავისი საშტატო ერთეულებით გაუქმდა ის სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც მოსარჩელე იყო დასაქმებული. გაუქმებულ დეპარტამენტში დასაქმებული პირების ახალ საშტატო ერთეულებზე გადაყვანა განხორციელდა არა ავტომატურად, არამედ აღნიშნული დაკავშირებული იყო სხვადასხვა პროცედურებთან. სასამართლოს მოსაზრებით, არ დასტურდებოდა, რომ ახალ საშტატო ერთეულზე გ. ბ-ა აუცილებლად დაინიშნებოდა. ამდენად, ანაზღაურებას დაექვემდებარა სს „...ში“ მხოლოდ 2012 წლის 5 დეკემბრამდე მიუღებელი თანამდებობრივი სარგო.

შპს „მ...ში“ მიუღებელი ყოველთვიური სარგოს ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე შპს „მ...ში“ დასაქმებული იყო ვადიანი ხელშეკრულებით. მან ფაქტობრივად იმუშავა 2010 წლის ოქტომბრის ჩათვლით და უდავო იყო, რომ მისი მუშაობის პერიოდი – 2010 წლის ოქტომბრის ჩათვლით დამსაქმებელმა სრულად აანაზღაურა. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტი გ. ბ-ას მოსაზრება, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 12.4 მუხლის საფუძველზე გ. ბ-ასა და შპს „მ...სთან“ დადებული იყო უვადო ხელშეკრულება, რადგან 2010 წლის ნოემბრისთვის ვადიანი ხელშეკრულების მიმდევრობით მრავალჯერ დადების შედეგად შრომითი ურთიერთობა აღემატებოდა 30 თვეს. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო პერიოდში მოქმედი შრომის კანონმდებლობა ასეთ ჩანაწერს არ ითვალისწინებდა და მისი გავრცელება დასრულებულ სამართალურთიერთობაზე დაუშვებელია.

სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არსებული მასალებით, ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება, აპელანტის მიერ აღნიშნული თანხის გადახდის ფაქტი, კერძოდ, ის გარემოება, რომ მხარემ მოთხოვნილი ხარჯი გასწია იმ დავასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

სასჯელალსრულების დაწესებულებაში განეული ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმასთან მიმართებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს და აუცილებლობას არ წარმოადგენს თავისუფლებაალკვეთილი პირის მიერ მატერია-

ლური ღირებულების მქონე დამატებითი საგნის შექმნა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 12.09.2011წ. №1120531 ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრძანების გამოცემა არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობას. სადავო ბრძანების გამოცემის მომენტში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 28.03.2011წ. განაჩენი იმყოფებოდა კანონიერ ძალაში და შესაბამისად იგი შესასრულებლად სავალდებულო იყო სამინისტროსთვის. ამასთან, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მოსარჩელის გამამართლებელ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ახალი მტკიცებულება, რაც არ იყო სისხლის სამართლის საქმეში მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას. გ. ბ-ას მიმართ არსებული გამამართლებელი განაჩენი, როგორც ახლად გამოვლენილი გარემოება შეიძლება საფუძვლად დაედოს გასაჩივრებული ბრძანების არა ბათილად ცნობას, არამედ მის ძალადაკარგულად გამოცხადებას.

გ. ბ-ას თანამდებობაზე აღდგენისა და მისთვის პოლიკონიკის ნოდების მინიჭების მოპასუხისთვის დავალებასთან მიმართებით სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა თანამდებობაზე აღდგენასაც და ნოდების მინიჭებასაც უკავშირებს მოსამსახურის გათავისუფლების უკანონობას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამასთან, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 27.12.2004წ. №614 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 05.12.2012წ. №1090 ბრძანებულებით განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღარ არსებობს ის სტრუქტურული ერთეული, რომელშიც დასაქმებული იყო მოსარჩელე.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.12.2019წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა როგორც მოსარჩელემ, ასევე მოპასუხემ. გ. ბ-ამ მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ – სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით.

კასატორი გ. ბ-ას მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებასთან მიმართებით არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და დასაბუთება

იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გ. ბ-ას მიაჩნია, რომ მას უნდა აუნაზღაურდეს სს „მ...ში“ მისაღები ყოველთვიური სარგო არა 2012 წლის 5 დეკემბრამდე, არამედ მისი სამსახურში აღდგენამდე პერიოდისთვის. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 05.12.2012წ. ცვლილებების შემდგომ, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის გაუქმების გამო იგი აღარ იმუშავებდა შესაბამის თანამდებობაზე.

გ. ბ-ა თვლის, რომ მას უნდა აუნაზღაურდეს შპს „მ...ში“ მისაღები ყოველთვიური სარგო მისი სამსახურში აღდგენამდე პერიოდისთვის. შრომის კოდექსის 12.4 მუხლის თანახმად, შპს „მ...სთან“ აკავშირებდა უვადო შრომითი ურთიერთობა, რადგან 2010 წლის ნოემბრისთვის ვადიანი ხელშეკრულების მიმდევრობით მრავალჯერ დადების შედეგად შრომითი ურთიერთობა აღემატებოდა 30 თვეს. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ 29.01.2009წ. №3 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ 01.11.2010წ. შეთანხმებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა მხოლოდ 2010 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

გ. ბ-ას მოსაზრებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 12.09.2011წ. №1120531 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნა საფუძვლიანია. №ბს-95(კ-19) საქმეზე მიღებული 14.03.2019წ. განჩინებაზე მითითებით, იგი აღნიშნავს, რომ მსგავს საქმეზე სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება, ბათილად ცნო პირის გათავისუფლება და დაავალა აღმინისტრაციულ ორგანოს მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენა და მისთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

გ. ბ-ა ასევე არ ეთანხმება სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 05.12.2012წ. განხორციელებული ცვლილებებისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის გარეშე სამინისტროს სტრუქტურის ჩამოყალიბების შემდეგ არ არსებობს მისი თანამდებობაზე დანიშვნის საფუძველი. კასატორი აღნიშნავს, რომ უსაფრთხოების საკითხებში ოფიცრის წარდგენის უფლებამოსილება, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნასთან დაკავშირებით გადამწყვეტია, რომ გ. ბ-ას მიმართ მიღებულია 14.03.2018წ. გამამართლებელი განაჩენი, რაც წარმოადგენს მის მარეაბილიტირებელ გარემოებას.

კასატორი საქართველოს გენერალური პროკურატურის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებასთან მიმართებით არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საქართველოს გენერალური პროკურატურა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმის მარეაბილიტირებელი გარემოებით დასრულების შემთხვევაშიც კი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი არ არსებობს პროკურატურის მიმართ. ერთი მხრივ, შსს-ში დასაქმებული პირების მიერ ადგილი ჰქონდა გ. ბ-ას მიმართ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტს, მეორე მხრივ სასამართლომ საქმეზე 28.03.2011წ. მიიღო გამამტყუნებელი განაჩენი. პროკურატურამ საპროცესო მოქმედებები განახორციელა კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე/განჩინებებზე მითითებით, მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 15000 ლარი არაა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურება, კასატორი ითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმას. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოებები, რომ გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე თავად პროკურატურამ იშუამდგომლა, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო გ. ბ-ას უდანაშაულოდ ცნობას, ამასთან თავისუფლების აღკვეთას არ გამოუწვევია მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მოსაზრებით, დამატებითი სასჯელის – ჯარიმის სახით გადახდილი თანხის მოსარჩელისთვის ანაზღაურების საკითხი განხილულ უნდა იქნეს არა ზიანის როგორც დელიქტის, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების მიხედვით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. ჯარიმის სახით გადახდილი 50000 ლარი გადარიცხულია სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც განიკარგება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ.

კასატორს საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიაჩნია, რომ სს „...ში“ 28.10.2010წ. – 05.12.2012წ. პერიოდისთვის გ. ბ-ას მიერ მიუღებელი შემოსავლის, ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს – 3125 ლარის (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით) ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. არ დასტურდება, რომ იგი სს „...სთან“ შრომით ურთიერთობაში იქნებოდა 2012 წლის 5 დეკემბრამდე და მიიღებდა შემოსავალს. გ. ბ-ას გათა-

ვისუფლება სასამართლომ მიიჩნია კანონიერად, ასევე კანონიერ ძალაშია მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ შპს „...ის“ გენერალური დირექტორის 29.10.2010წ. №699 ბრძანება. ამასთან, მოსარჩელესა და შპს „...ს“ შორის არსებული შრომითი ურთიერთობა არ უნდა შეფასდეს განუსაზღვრელი ვადით დასაქმებად. შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ნებისმიერ დროს შეეძლო გამოეხმო უსაფრთხოების საკითხებში ოფიცერი შპს „...იდან“. ამას გარდა, კასატორის მოსაზრებით, პროკურატურის ქმედებებს არ გამოუნვევია შპს „...სთან“ დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, რადგან შეწყვეტის საფუძვლად მითითებულია არა სისხლის სამართლის საქმის წარმოება, არამედ დასაქმებულის მხრიდან „შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა“. ამასთან, საქმის მასალებში წარმოდგენილი არაა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა 2012წ. 5 დეკემბრამდე შპს „...ში“ შესაბამისი შტატის არსებობას. კასატორმა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აღნიშნა, რომ სასამართლოს გადანყვეტილებით დაუდგენელია ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა და სუბიექტი, რომელმაც იგი უნდა გამოიანგარიშოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერების და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გ. ბ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, 2012 წლის 5 დეკემბრის შემდეგ მიუღებელი თანამდებობრივი სარგოს, ასევე სისხლისა და ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების ფარგლებში ადვოკატის მომსახურების ღირებულების გ. ბ-ასთვის ანაზღაურებაზე უარის თქმის უცვლელად დატოვების ნაწილში უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და გაუქმებულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება, რომლითაც საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისრება გ. ბ-ას მიერ 2010 წლის 28 ოქტომბრიდან 2012 წლის 14 დეკემბრამდე პერიოდისთვის მისაღები ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს – 3125 (სამი ათას ას ოცდახუთი) ლარის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით), ასევე გ. ბ-ასთვის სისხლის სასამართლოწარმოების ფარგლებში ადვოკატის მიერ განუღებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება 2000 (ორი ათასი) ლარის, ხოლო ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების ფარგლებში – 2000

(ორი ათასი) ლარის ოდენობით, დანარჩენ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო: საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ბ-ა 21.11.2006წ. დაინიშნა „...ში“ უსაფრთხოების საკითხებში ოფიცრად. 08.05.2008წ. გ. ბ-ა მიღებულ იქნა სამსახურში განუსაზღვრელი ვადით. გარდა აღნიშნულისა, 2007 წლის 3 დეკემბრიდან 2010 წლის ოქტომბრის ჩათვლით გ. ბ-ას შპს „მ...სთან“ აკავშირებდა შრომითი ურთიერთობა ვადიანი ხელშეკრულების დადების გზით, რომლის მოქმედების ვადა პერიოდულად ხანგრძლივდებოდა მხარეთა შეთანხმებით. დროის თვალსაზრისით ბოლო 01.11.2010წ. შეთანხმების თანახმად, 29.01.2009წ. №3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. 26.10.2010წ. გ. ბ-ა დააკავეს ბრალდებულის სახით, 28.10.2010წ. მას შეეფარდა აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა. დაკავების მომენტში გ. ბ-ას შრომითი ურთიერთობა აკავშირებდა შპს „...სთან“ განუსაზღვრელი ვადით, სადაც მისი ხელფასი 3125 ლარს შეადგენდა და ასევე შპს „მ...სთან“ განსაზღვრული ვადით, სადაც გ. ბ-ას ხელფასი შეადგენდა 1322 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში. შპს „...ის“ გენერალური დირექტორის 29.03.2010წ. №699 ბრძანებით შეწყდა შრომითი ურთიერთობა გ. ბ-ასთან შრომის კოდექსის 37.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. 28.03.2011წ. დამტკიცდა პროკურორისა და გ. ბ-ას შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით, საიდანაც 3 წელი უნდა მოეხადა სასჯელალსრულების დაწესებულებაში, დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა 50000 ლარის ოდენობით. 22.03.2011წ. აღნიშნული თანხა გადახდილ იქნა მოსარჩელის მშობლის მიერ მსჯავრდებულის სასარგებლოდ. შინაგან საქმეთა მინისტრის 12.09.2011წ. №1120531 ბრძანებით უსაფრთხოების საკითხებში ოფიცერი გ. ბ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2010 წლის 28 ოქტომბრიდან. 22.11.2012წ. შეწყალების შედეგად გ. ბ-ა განთავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან. გ. ბ-ამ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და განაცხადა, რომ აიძულეს სისხლის სამართლის საქმეზე მიეცა აღიარებითი ჩვენება. საქართველოს მთავარი პროკურატურის სასამართლონარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორის 24.11.2016წ. დადგენილებით დადგინდა გ. ბ-ას უფლებების არსებითი დარღვევა სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში. ამავე დეპარტამენტის პროკურორმა სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მიმართა შუამდგომლობით და მოითხოვა ახლად გამოვლენილ

გარემოებათა გამო, სასჯელმოხდელ გ. ბ-ას მიმართ მიღებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ 28.03.2011წ. განაჩენის გადასინჯვა. სააპელაციო სასამართლოს 14.03.2018წ. განაჩენით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა, გაუქმდა 28.03.2011წ. განაჩენი, გ. ბ-ა გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში და ცნობილ იქნა უდანაშაულოდ. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში მიეთითა, რომ გ. ბ-ას აქვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. აღნიშნულის შემდგომ გამართლებულმა მიმართა სასამართლოს რეაბილიტაციის მიზნით და მოითხოვა მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ შს მინისტრის 12.09.2011წ. №1120531 ბრძანების ბათილად ცნობა, ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურების, მისი თანამდებობაზე აღდგენისა და მისთვის პოლკოვნიკის წოდების მინიჭების მოპასუხეებისთვის დავალება, ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. ბ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის 12.09.2011წ. №1120531 ბრძანების ბათილად ცნობაზე, მის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენაზე, მისთვის პოლკოვნიკის წოდების მინიჭებაზე, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად განსაზღვრული თანხის ოდენობის გაზრდაზე, შპს „მ...ში“ მიუღებელი შემოსავლისა და სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში განეული ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმის უცვლელად დატოვების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაზე გ. ბ-ას საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და ის არ უნდა დაკმაყოფილდეს. სააპელაციო სასამართლოს განჩინება ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ნორმა, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სწორად განმარტა კანონი, საქმის გარემოებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება. ამდენად, ზემოთ მითითებულ ნაწილში არ არსებობს საკასაციო წესით გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.

საფუძველს მოკლებულია კასატორის მოთხოვნა შინაგან საქმეთა მინისტრის 12.09.2011წ. №1120531 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ. ასკ-ის 32.1 მუხლის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობაა მისი უმართლობა, მართვინააღმდეგობა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას, უნდა დადგინდეს აქტის შესაბამისობა მისი გამოცემისას მოქმედ ნორმატიულ საფუძველთან და ფაქტობრივ გარემოებებთან

(სუსგ №ბს-512-494(კ-13), 29.05.2014წ., №ბს-159(კ-19), 07.05.2019წ.). საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. ბ-ას გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემის მომენტში შეესაბამებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა მინისტრის 12.09.2011წ. №1120531 სადავო ბრძანება გამოიცა „პოლიციის შესახებ“ 27.07.1993წ. კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 17.03.1997წ. №139 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულებების“ შესასრულებლად. „პოლიციის შესახებ“ 27.07.1993წ. კანონის 22.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ იქნეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე. ამავე კანონის 22.2 მუხლის მიხედვით, სამინისტროს მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი. საქართველოს პრეზიდენტის 17.03.1997წ. №139 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების“ მე-60 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებდა თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნას ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მსჯავრდებისათვის, გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას. შინაგან საქმეთა მინისტრის 12.09.2011წ. №1120531 სადავო ბრძანების გამოცემის ერთ-ერთ საფუძველად მითითებულია ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.03.2011წ. განაჩენი, რომლითაც დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და გ. ბ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ. საქართველოს კონსტიტუციის 62.1 მუხლის (სადავო ბრძანების გამოცემის მომენტში მოქმედი რედაქციის 82.2 მუხლის), „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 4.1 მუხლის, სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტები შესასრულებლად სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისთვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამდენად, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ იყო უფლებამოსილი დაეტოვებინა გ. ბ-ა თანამდებობაზე და იგი მოქმედება კანონმდებლობით დადგენილი წესით სადავო ბრძანების გამოცემის მომენტში. შინაგან საქმეთა მინისტრის 12.09.2011წ. №1120531 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნის საფუძველიანობას არ ადასტურებს კასატორ გ. ბ-ას მითითება საკასაციო პალატის 14.03.2019წ. №ბს-95(კ-19) განჩინებაზე საქმის ფაქტობრივი გარემოებების განსხვავების გამო, რაც გავლენას ახდენენ სადავო აქტის კანონიერების შეფასებაზე. №ბს-

95(კ-19) საქმეზე საკასაციო პალატამ განჩინებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემისას კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც შესაძლოა მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი გამხდარიყო, არ არსებობდა, დაკავებული თანამდებობიდან პირი დათხოვნილ იქნა არა მსჯავრდებულის (კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენის საფუძველზე), არამედ ბრალდებულის სტატუსით, რაც სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არ წარმოადგენდა სამსახურიდან დათხოვნისათვის საკმარის ფაქტობრივ მოცემულობას. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება უკანონო იყო. №ბს-95(კ-19) საქმის გარემოებებისგან განსხვავებით, განსახილველ შეთხვევაში გ. ბ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანების გამოცემის მომენტისათვის მოსარჩელის მიმართ უკვე არსებობდა სასამართლოს 28.03.2011წ. გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო იყო ადმინისტრაციული ორგანოსთვის. ამდენად, №ბს-95(კ-19) საქმეზე გამოტანილი 14.03.2019წ. გადაწყვეტილებაზე მითითება არ არის რელევანტური და არ ადასტურებს სადავო აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის საფუძვლიანობას. დამსაქმებლის მიმართ გამართლებულის მოთხოვნა საფუძვლიანია არა მისი თანამდებობიდან გათავისუფლების უკანონობის, არამედ გათავისუფლების შემდგომ მარეაბილიტირებელი გარემოების დადგომის გამო (სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემის შემდგომ სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გამოტანა). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიმართ დამსაქმებელს ეკისრება არა უკანონოდ გათავისუფლებული მოსამსახურის თანამდებობაზე აღდგენის, არამედ გამართლებულის რეაბილიტაციის ვალდებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სადავო ბრძანება გამოიცა კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, რაც ასკ-ის 32.1 მუხლიდან გამომდინარე გამორიცხავს მისი ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამდენად, არ არსებობს აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორ გ. ბ-ას იმ მოსაზრებას, რომ მოცემულ საქმეზე მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გენერალური პროკურატურისთვის დაკისრებული 15000 ლარი არ წარმოადგენს სკ-ის 413.1 მუხლით გათვალისწინებულ „გონივრულ

და სამართლიან ანაზღაურებას“. კასატორმა გ. ბ-ამ მორალური ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისთვის ყურადღება გაამახვილა სხვადასხვა გარემოებაზე, მათ შორის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის ხანგრძლივობაზე, ასევე იმაზე, რომ ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვამდე იგი დასაქმებული იყო მაღალანაზღაურებად სამსახურში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურებაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო და ყოფითი მდგომარეობა, ჯანმრთელობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამონეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს (სუსგ №ბს-972-936(3კ-08), 08.04.2009წ.). მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც, როგორც წესი, მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა, და ა. შ. მოქმედებს ე.წ. მორალური ზიანის პრეზუმფცია და ზიანის მიმყენებლის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებაამდე ივარაუდება, რომ დაზარალებულმა პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა. მორალური ზიანისთვის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება როგორც კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები, ასევე იდენტურ მოთხოვნასთან დაკავშირებით სხვა საქმეებზე მანამდე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილი ოდენობები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან მორალურ ზიანს არ გააჩნია ფულადი ეკვივალენტი, „გონივრული და სამართლიანი“ ანაზღაურების განსაზღვრად გასათვალისწინებელია არამხოლოდ კასატორ გ. ბ-ას მიერ მითითებული გარემოებები, არამედ ასევე სხვა ფაქტორებიც, კერძოდ, ის, რომ გამამტყუნებელი განაჩენის გადა-

სინჯვის თაობაზე თავად პროკურატურამ იშუამდგომლა, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო გ. ბ-ას უდანაშაულოდ ცნობას (სუსგ №ბს-306(2კ-20), 07.10.2020წ.), ამასთან, თავისუფლების აღკვეთას არ გამოუწვევია მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (სუსგ №ბს-890(კ-18), 26.11.2019წ.). რაც შეეხება ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის შემდეგ მაღალანაზღაურებადი სამსახურიდან შემოსავლის მიღების შეწყვეტას, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მიუღებელი შემოსავლის კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურების წინაპირობაა, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურებას სატისფაქციური ფუნქცია აქვს, მას არ აქვს ქონებრივი ზიანის ჩანაცვლების დანიშნულება. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, 15000 ლარის გადახდის მოპასუხისთვის დაკისრება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურებაა, რის გამოც არ არსებობს ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

კასატორი გ. ბ-ა სარჩელით ასევე ითხოვს ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას, მისთვის პოლკოვნიკის წოდების მინიჭებას და იმ მიუღებელი თანხის ანაზღაურებას, რომელსაც იგი მიიღებდა 2012 წლის 5 დეკემბრის შემდეგ, ადგილი რომ არ ჰქონოდა მისი უფლებების დარღვევას. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ერთადერთი მნიშვნელობის მქონე გარემოებაა დაკავებული თანამდებობიდან მოსამსახურის გათავისუფლების შემდეგ სისხლის სამართლის საქმეზე მარეაბილიტირებელი გადაწყვეტილების მიღება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გამართლებული პირის რეაბილიტაცია არ მოიცავს მოთხოვნას დაინტერესებული მხარისთვის იმაზე უკეთესი ფაქტობრივი მდგომარეობის შექმნაზე, რომელშიც იგი იქნებოდა უფლების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში. უნდა დასტურდებოდეს, რომ უკანონო სისხლის სამართლებრივი დევნის გარეშე გამართლებული პირი იქნებოდა მისი სასარჩელო მოთხოვნების თანმხვედრ ფაქტობრივ მდგომარეობაში. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულის სამსახურებრივი ურთიერთობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და მისი კვალიფიკაცია არის მისი დასაქმების მაღალი ალბათობის მაჩვენებელი, მაგრამ არა გარანტი, მუშაობის ფაქტი არ გამორიცხავს სამუშაოდან დათხოვნას, ლიკვიდაციის, რეორგანიზაციისა და სხვა გარემოების გამო. ამდენად, გამართლებული პირის რეაბილიტაციის დროს მნიშვნელობის მქონეა ის გარემოებებიც, რომლებიც წარმოიშობა დაინტერესებული მხარის უფლებების დარღვევის შემდეგ და რომელთაც მოსალოდნელად

გაველენა ექნებოდა მის ფაქტობრივ მდგომარეობაზე. განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოსთან გ. ბ-ას სამსახურებრივ ურთიერთობას უკავშირდება გ. ბ-ას მოთხოვნები მისი ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის, მისთვის პოლკოვნიკის წოდების მინიჭებისა და იმ მიუღებელი თანხის ანაზღაურების შესახებ, რომელსაც იგი მიიღებდა 2012 წლის 5 დეკემბრის ნორმატიული ცვლილებების შემდეგ. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამსახურებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე სასარჩელო მოთხოვნებთან ფაქტობრივი მდგომარეობის თანხვედრა არ დასტურდება უკეთეს დგინდება მოსარჩელის უფლებების დარღვევის (26.10.2010წ.) შემდგომ სამსახურებრივი ურთიერთობის გაგრძელების გამომრიცხავი გარემოების წარმოშობა: შტატების შემცირება, შტატის გაუქმება, თანამდებობის სამუშაო აღწერილობის/ფუნქცია-მოვალეობების ან საკვალიფიკაციო მოთხოვნების არსებითი ცვლილება და ა.შ.

საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსარჩელისთვის 26.10.2010წ. ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის შემდეგ საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდა ორი ძირითადი ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციაში სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ფუნქციის შესრულებასა და შესაბამისად უსაფრთხოების/უშიშროების საკითხებში ოფიცერის წარდგენას. 2012 წლის 5 დეკემბრის ცვლილებებამდე ოფიცერთა საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლს ახორციელებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი. თავდაპირველად, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 27.12.2004წ. №614 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 05.12.2012წ. №1090 ბრძანებულების პირველი პუნქტის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები განისაზღვრა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის გარეშე. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მსგავსად ოფიცერთა საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი დაევალა შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალ სტრუქტურულ ქვედანაყოფს – სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტს). ამავე ბრძანებულების მეორე პუნქტის თანახმად, გადაწყდა, რომ ამ ბრძანებულების შესრულების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა განეხორციელებინა შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები. მოგვიანებით განხორციელდა კიდევ ერთი ცვლილება სხვადასხვა ორგანიზაცი-

აში სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ფუნქციასთან დაკავშირებით, კერძოდ, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ 08.07.2015წ. კანონის 51.1 მუხლით განისაზღვრა 2015 წლის 1-ელ აგვისტომდე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ჩამოყალიბება. მითითებული ფუნქცია შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოდან (დეპარტამენტიდან) (საქართველოს მთავრობის 13.12.2013წ. №337 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების“ მე-10 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის 2015 წლის 1-ელ აგვისტომდე მოქმედი რედაქცია) გადაეცა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს („საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ კანონის 22.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ზემოხსენებული ნორმებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობის/მაღალი რისკის მქონე ორგანიზაციაში სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ფუნქცია შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტიდან გადაეცა ჯერ შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს, შემდეგ შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოდან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. საქმის მასალების მიხედვით, გ. ბ-ა ასრულებდა უსაფრთხოების საკითხებში ოფიცრის ფუნქცია-მოვალეობებს შსს-ს სწორედ იმ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა არაერთი სამართლებრივი ცვლილება მოსარჩელისთვის ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის (26.10.2010წ.) შემდგომ. მოპასუხის – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას აღნიშნა, რომ ახალ საშტატო ერთეულზე მოსამსახურეთა გადაყვანა დაკავშირებული იყო გარკვეული პროცედურების გავლასთან და არ ხდებოდა ავტომატურად. მოსარჩელის მოსაზრებით, ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის შემდგომ უშუალოდ მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, იგი აუცილებლად გააგრძელებდა მუშაობას ჯერ შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოში (დეპარტამენტში), ხოლო მოგვიანებით – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურშიც ტოლფას თანამდებობებზე. ამდენად, საქმეზე სადავო ფაქტობრივ გარემოებაა უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის არარსებობის პირობებში გ. ბ-ას მიერ ჯერ შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოში (დეპარტამენტში), ხოლო მოგვიანებით – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურშიც ტოლფას თანამდებობებზე სამსახურებრივი ურთიერთობების გაგრძელების საკითხი.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სადავო ფაქტობრივი გარემოების გამოკვეთის შემდეგ, საქმის სწორად გადაწყვეტა დამოკიდებულია მტკიცების ტვირთის კანონმდებლობის შესაბამისად გადანაწილებაზე. მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები (ასკ-ის 17.1 მუხ.). ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი (ასკ-ის 17.2 მუხ.). ამასთან, სსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, როგორც წესი, უფლების შემწყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხავი შესაგებლის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს (სუსგ №ას-679-2021, 18.01.2022წ.). მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრება არ ნიშნავს ორგანოს პროცესუალური მონაწილედ გეგმვას – მოსარჩელის გათავისუფლებას სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან. კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი არ გულისხმობს მოსარჩელის გათავისუფლებას სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან, სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს (სუსგ 05.03.2020წ., №ბს-620(კ-19)). განსახილველ შემთხვევაში, გ. ბ-ას მიმართ მარეაბილიტირებელი გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოპასუხე მხარეს ეკისრება მოსარჩელის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის, მისთვის პოლკოვნიკის წოდების მინიჭებისა და მიუღებელი თანხის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების შემწყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხავი გარემოების არსებობის მტკიცების ტვირთი, მოსარჩელე მხარეს კი – იმის მტკიცების ტვირთი, რომ უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის არარსებობის შემთხვევაში იგი აუცილებლად გააგრძელებდა მუშობას ჯერ შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოში (დეპარტამენტში), ხოლო მოგვიანებით – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურშიც ტოლფას თანამდებობებზე. სამსახურებრივი ურთიერთობის გაგრძელების აუცილებლობის საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ასეთი აუცილებლობის არსებობა-არარსებობაზე ზეგავლენას ახდენენ მომხდარი ცვლილებები, მხედველობაშია მისაღები, რომ როგორც ტატების შემცირებისას (სუსგ 14.07.2016წ., №ბს-166-165(კ-16)), ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობის/მაღალი რისკის მქონე ორგანიზაციაში სახელ-

მნიფო უსაფრთხოების დაცვის ფუნქციის განხორციელებისას დამსაქმებელ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია სათანადო კადრის შერჩევის დისკრეცია, თავისუფლება, რადგან გადაწყვეტილების მიღება დაკავშირებულია მოსამსახურეთა უნარ-ჩვევების შეფასების უფლებამოსილებასთან. ამასთან, პერსონალის საიდუმლო კონტროლის ფუნქციის განსაკუთრებულობის გათვალისწინებით ეროვნულ უსაფრთხოებაზე ზეგავლენის სექტორში ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ შეზღუდვები ვერ იქნება ისეთივე ხარისხის როგორც სხვა სფეროებშია (Leander v. Sweden, 26.03.1987w., §51, Series A no. 116). სასამართლო კონტროლს ექვემდებარება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, მაგ. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან თვითნებობის გამორიცხვა, თუმცა სასამართლო ვერ იქცევა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ და თავად ვერ განახორციელებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ვერ შეცვლის ადმინისტრაციულ მიხედულებას სასამართლოს მიხედულებით (სუსგ 20.10.2010წ., №ბს-342-331(კ-10)). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული მიხედულების ჩანაცვლების საფუძველს არ ქმნის 29.11.2021წ. განცხადებაში ასახული მოსარჩელის მითითება იმაზე, რომ ვინაიდან მისი ზიანის ანაზღაურების საკითხი ეხებოდა რამდენიმე სტრუქტურულ ერთეულს და მიმონერები ყველა მათგანთან მოითხოვდა დიდ დროს, გადაწყვიტა სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა. ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციების მთლიანად სასამართლოზე გადაბარების შემთხვევაში, სასამართლო სრულად ჩანაცვლებდა ადმინისტრაციულ ორგანოს და განახორციელებდა საჯარო მმართველობას, რაც დაუშვებელია ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ შეასრულა მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი, დაადასტურა გ. ბ-ასთან 2012 წლის 5 დეკემბრის ცვლილებების შემდეგ სამსახურებრივი ურთიერთობის გაგრძელების გამომრიცხავი გარემოების არსებობა, კერძოდ, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა გ. ბ-ას მიერ დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებით განხორციელებულ არაერთ სამართლებრივ ცვლილებაზე და საქმის პირველი, სააპელაციო და საკასაციო ნესით განხილვის ეტაპზე, სასამართლოს მოთხოვნით, წარმოადგინა სტრუქტურის ფუნქციონალური დატვირთვისა და საკადრო შემადგენლობასთან დაკავშირებით საიდუმლო ინფორმაცია. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოსარჩელე მხარემ ვერ დაადასტურა უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის არარსებობის შემთხვევაში, 05.12.2012წ. ცვლილებების შემდგომ მისი შსს-ს სახელმნიფო უსაფრთხოების სააგენტოში ან მოგვიანებით სახელმნიფო

უსაფრთხოების სამსახურში უცილობლად სამსახურის გაგრძელება. სასამართლო გაცნო გ. ბ-ას მიერ დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ საქმეში დაცულ ღია მასალებს, ასევე ადმინისტრაციული ორგანოდან 30.06.2022წ. საკასაციო ინსტანციაში წარმოდგენილ საიდუმლო ინფორმაციას და თვლის, რომ სამართლებრივი ცვლილებებისა და დამსაქმებლის დისკრეციული უფლებამოსილების გათვალისწინებით არ დასტურდება უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის არარსებობის პირობებში გ. ბ-ას მიერ დაკავებულ თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე სამსახურებრივი ურთიერთობის გაგრძელების აუცილებლობა საქართველოს პრეზიდენტის 05.12.2012წ. №1090 ბრძანებულების ამოქმედების შემდეგ, ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან სტრუქტურულ-ფუნქციურ და საშტატო ცვლილებებს. თავის მხრივ, სამსახურებრივი ურთიერთობის გაგრძელების აუცილებლობის დაუდასტურებლობის გამო, დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება გ. ბ-ას მოთხოვნა მისი ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის, მისთვის პოლკოვნიკის წოდების მინიჭებისა და 2012 წლის 5 დეკემბრის ცვლილებების შემდეგ მიუღებელი თანხის ანაზღაურების შესახებ.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს 24.12.2019წ. განჩინებით უცვლელად დატოვებული საქალაქო სასამართლოს 28.02.2019წ. გადაწყვეტილებით ანაზღაურებას დაქვემდებარებული მიუღებელი შემოსავლის პერიოდი განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის 05.12.2012წ. №1090 ბრძანებულების გამოცემის თარიღის საფუძველზე. საკასაციო პალატა არ ეთანხმება საქართველოს პრეზიდენტის 05.12.2012წ. №1090 ბრძანებულების გამოცემის თარიღის საფუძველზე ანაზღაურებას დაქვემდებარებული მიუღებელი შემოსავლის პერიოდის განსაზღვრას. მიუღებელი შემოსავალი უნდა ანაზღაურდეს არა 05.12.2012წ. №1090 ბრძანებულების გამოცემის (05.12.2012წ.), არამედ ბრძანებულების ამოქმედების თარიღამდე (14.12.2012წ.) პერიოდისთვის. საქართველოს პრეზიდენტის 05.12.2012წ. №1090 ბრძანებულების მე-2 მუხლის მიხედვით, ეს ბრძანებულება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ნორმატიული აქტია, გამოწვევისა ბრძანებულებები, რომლებიც საკადრო და პერსონალურ საკითხებს ეხება („ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 11.3 მუხ.). ნორმატიული აქტის გამოქვეყნებისთანავე ძალაში შესვლა ნიშნავს, რომ ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 საათზე („ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 22.2 მუხ). ოფიციალური გამოცემის

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალური ვებ-გვერდის მონაცემების მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის 05.12.2012წ. №1090 ბრძანებულება გამოქვეყნდა 2012 წლის 13 დეკემბერს. ამდენად, აღნიშნული ბრძანებულება ძალაში შევიდა 2012 წლის 13 დეკემბერს 24 საათზე და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეული, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, რომელშიც დასაქმებული იყო გ. ბ-ა ფიზიკური თავისუფლების აღკვეთამდე, გაუქმდა 2012 წლის 13 დეკემბერს. ანაზღაურებას ექვემდებარება გ. ბ-ას მიერ მიუღებელი შემოსავალი 2010 წლის 28 ოქტომბრიდან 2012 წლის 14 დეკემბრამდე პერიოდისთვის.

შპს „მ...ში“ მიუღებელი თანხის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სკ-ის 411-ე მუხლი ითვალისწინებს ქონებრივი ზიანის ორ სახეს: ფაქტობრივად დამდგარ (რეალურ) ქონებრივ დანაკლისსა და მიუღებელ შემოსავალს. სკ-ის 408.1 მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისკენ. ამდენად, საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ზიანის მოცულობა უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება, პირის იმაზე უკეთეს ქონებრივ მდგომარეობაში აღმოჩენა, ვიდრე იგი იქნებოდა ზიანის გამომწვევი ქმედების არ არსებობის შემთხვევაში (სუსგ №ბს-1031(კ-20), 21.06.2021წ.). სკ-ის 412-ე მუხლიდან გამომდინარე ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო შემოსავლის მიღება (სუსგ №ას-945-895-2015, 14.03.2016წ.) მოვლენათა ნორმალური განვითარების შედეგად. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტორები, მათ შორის ზიანის გამომწვევი ქმედების შემდგომ წარმოშობილი, რომელთაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა შემოსავლის მიღების მოსალოდნელობაზე. ამასთან, მიუღებელი შემოსავალი არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვის გარეშე (სუსგ №ას-848-806-2013წ.).

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ დასტურდება გ. ბ-ას მიერ შპს „მ...ში“ შემოსავლის მიღების მოსალოდნელობა. მოსარჩელის მითითებით, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მას დაევალა „გარკვეული ფუნქციების“ შესრულება შპს „მ...ში“. თავდაპირველად, მასთან ფორმდებოდა ერთთვიანი ვადიანი ხელშეკრულებები და მოგვიანებით, ფიზიკური თავისუფლების აღკვეთამდე (26.10.2010წ.) რამდენიმე თვით ადრე, 2010 წლის პირველ სექტემ-

ბერს მასთან გაფორმდა უვადო შრომითი ხელშეკრულება. გ. ბ-ა აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ შპს „...იდან“ მტკიცებულებათა გამოთხოვის მიუხედავად, ორგანიზაციამ სასამართლოს არ გადასცა 01.09.2010წ. გაფორმებული უვადო ხელშეკრულება და მის ნაცვლად წარმოადგინა ვადიანი (ერთთვიანი), სამი ხელშეკრულება, რომლებზედაც მისი ხელმოწერა გაყალბებულია, კერძოდ, 01.09.2009წ. შეთანხმება (დანართი 16), 01.10.2010წ. შეთანხმება (დანართი 17) და 01.11.2010წ. შეთანხმება (დანართი 18). მოსარჩელემ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს დოკუმენტების გაყალბების ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც ყალბი დოკუმენტის დამზადება და გამოყენება, ასევე პირისთვის ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედებებია (362-ე და 167-ე მუხ.), რის გამოც აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა სცდება ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების ფარგლებს (ასკ-ის მე-2 მუხ.). გ. ბ-ას მოსაზრებით აუცილებელია კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩატარება 01.09.2009წ. (დანართი 16), 01.10.2010წ. (დანართი 17) და 01.11.2010წ. (დანართი 18) შეთანხმებებთან დაკავშირებით. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა „და დამატებების შეტანის შესახებ“ 28.12.2007წ. კანონით შეტანილ იქნა ცვლილება ასკ-ის 162.2 მუხლში და მხარეებს მიეცათ სასამართლოსგან დამოუკიდებლად ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის შესაძლებლობა. გ. ბ-ას საქმის საკასაციო წესით განხილვის დაწყებამდე საქმის მასალებში არ მოიპოვება არც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებებზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება, არც მოსარჩელე მხარის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა და არც შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი აქტი გ. ბ-ას შპს „მ...ში“ განუსაზღვრელი ვადით მივლენის შესახებ, რაც შესაძლოა საფუძვლად დასდებოდა კერძო სამართლის სუბიექტთან უვადო შრომით ხელშეკრულებას. საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალური ფარგლებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ არის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო, დაუშვებელია საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქტების მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა. კასატორი არ უთითებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საპროცესო დარღვევაზე, განუხორციელებელ სავალდებულო საპროცესო მოქმედებაზე, რასაც შედეგად მოყვა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოე-

ბის არასწორად დადგენა. ამდენად, საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის მოსაზრებას 01.09.2010წ. გაფორმებული უვადო ხელშეკრულების საფუძველზე გ. ბ-ასა და შპს „მ...ს“ შორის უვადო შრომითი ურთიერთობის არსებობის შესახებ. საქმის მასალების მიხედვით, გ. ბ-ასა და შპს „მ...ს“ შორის 2007 წლის დეკემბრიდან არაერთგზის გაფორდა ხელშეკრულება, საქმის მასალების მიხედვით ყველა დადებული ხელშეკრულება ვადიანი იყო. მოსარჩელის მოსაზრებით, ვადიანი ხელშეკრულების თანმიმდევრობით მრავალჯერ დადების გამო გ. ბ-ას ხელშეკრულება უვადო შრომით ხელშეკრულებად ითვლება. საკასაციო პალატა, არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ვადიანი შრომითი ხელშეკრულების უვადო შრომით ურთიერთობად მიჩნევის შესაძლებლობა გაითვალისწინა შრომის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 12.06.2013წ. №729-IIIს ორგანული კანონის 1.6 მუხლმა, რომლითაც შრომის კოდექსის მე-6 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 1³ ნაწილი: „თუ შრომითი ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით, ან თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულებების ორჯერ ან მეტჯერ მიმდევრობით დადების შედეგად და მისი ხანგრძლივობა აღემატება 30 თვეს, ჩაითვლება, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება“. ცვლილების შეტანის შესახებ 12.06.2013წ. №729-IIIს ორგანული კანონის 2.2 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, მითითებული ნორმის მოქმედება გავრცელდა მხოლოდ ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დადებულ შრომით ხელშეკრულებაზე. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შპს „მ...სა“ გ. ბ-ას შორის არსებობდა არა უვადო, არამედ ვადიანი შრომითი ურთიერთობა, რომელიც დასრულდა შრომის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 12.06.2013წ. №729-IIIს ორგანული კანონის მიღებამდე. საქმის მასალებში დაცულია შპს „მ...სა“ და გ. ბ-ას შორის დადებული 01.11.2010წ. შეთანხმება 29.01.2009წ. №3 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლითაც 29.01.2009წ. №3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. კასატორი გ. ბ-ა მიუთითებს, რომ 01.11.2010წ. შეთანხმებას იგი ვერ გააფორმებდა, რადგან რამდენიმე დღით ადრე 26.10.2010წ. მას შეუზღუდეს ფიზიკური თავისუფლება. საქმეში დაცული 01.11.2010წ. შეთანხმების მართლზომიერების შემოწმება სცდება ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსით განსაზღვრული დავის საგანს. ამასთან, კასატორის ზემოხსენებულ მითითებაზე დაყრდნობით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. ბ-ასა და შპს „მ...ს“ შორის შრომითი ურთიერთობა ფაქტობრივად დასრულდა 2010 წლის 31 ოქტომბერს. შპს „მ...სა“ და გ. ბ-ას

შორის დადებული 01.10.2010წ. შეთანხმებით შეტანილ იქნა ცვლილება 29.01.2009წ. №3 ხელშეკრულებაში და მისი მოქმედების ვადა 2010 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით განისაზღვრა. დავას არ ინვეს 2010 წლის ოქტომბრის ჩათვლით დამსაქმებლის მიერ გ. ბ-ასთვის ხელფასის სრულად ანაზღაურება. 01.10.2010წ. შეთანხმების გაფორმების მომენტისთვის მოქმედი შრომის კოდექსის 37.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებია შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა. სამართალურთიერთობებში მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმფცია, იგულისხმება, რომ პირმა იცის მოქმედი კანონმდებლობა, იგულისხმება, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პროცედურების დაცვით შემუშავებული, სახელმწიფო ენაზე არაზღაურონად შედგენილი, ოფიციალურად გამოქვეყნებული, გაცნობისათვის ხელმისაწვდომი შესასრულებლად სავალდებულო ქცევის ზოგადი წესის შესახებ ინფორმაცია მოქალაქეთათვის ცნობილია, აღნიშნული დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს, ხოლო ასეთი ნორმის არცოდნაზე მითითება არ ათავისუფლებს პირს სამართლებრივი შედეგებისგან (სუსგ №ბს-638-634(2კ-17), 20.12.2019წ.). აღნიშნულის გათვალისწინებით, გ. ბ-ა წინასწარ იყო ინფორმირებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. ამდენად, არ დასტურდება გ. ბ-ას მიერ შპს „მ...ში“ შემოსავლის მიღების მოსალოდნელობა. საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორი გ. ბ-ას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არსებობს შპს „მ...ში“ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

საფუძველსაა მოკლებული აგრეთვე კასატორ გ. ბ-ას მოსაზრება თავისუფლების აღკვეთის ადგილას ყოფნის პერიოდში განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით. საკასაციო პალატა თვლის, რომ სკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, არ დგინდება უშუალო მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებული ხარჯების განევას შორის. უშუალო კავშირი არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ქმედების გარეშე გამორიცხულია შედეგის (ზიანის) დადგომა (სუსგ №ბს-830-822(კ-16), 12.10.2017წ.). მოცემულ შემთხვევაში, თავისუფლების შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაშიც კი, მოსარჩელეს მიანიც ჰქონდა საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებული ისეთი ხარჯების განევის საჭიროება, რომელიც უკავშირდებოდა მაგალითად კვებას, ტელეფონზე საუბარს და სხვ.. მიზეზობრივი კავშირის არარსებობის გამო, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილე-

ბაზე უარის თქმა გამართლებულია ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 21.07.2017წ. №2/4/735 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22). ამასთან, თავისუფლების აღკვეთის პერიოდისთვის მოქმედი 09.03.2010წ. პატიმრობის კოდექსის 14.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილია სოციალური საჭიროებიდან გამომდინარე სერვისებით: საცხოვრებელი სადგომით, კვებით, პირადი ჰიგიენით, სამედიცინო მომსახურებით, იურიდიული დახმარებით და ა.შ.. მოსარჩელე მხარე სადავოდ არ ხდის აღმინისტრაციული ორგანოს მიერ აღნიშნული ვალდებულების შესრულების საკითხს. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ არსებობს თავისუფლების აღკვეთის ადგილას ყოფნის პერიოდში განეული ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გასაჩივრებულია სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. ბ-ას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაზე გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. სააპელაციო სასამართლოს განჩინება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ნორმა, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სწორად განმარტა კანონი, საქმის გარემოებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება. ამდენად, ზემოთ მითითებულ ნაწილში არ არსებობს საკასაციო წესით გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, ხსენებულ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.

საქართველოს გენერალური პროკურატურა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით არ ეთანხმება მისთვის ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურების დავალებას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გენერალური პროკურატურა საკასაციო საჩივრით სადავოდ ხდის ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქართველოს გენერალური პროკურატურის ვალდებულების არსებობას.

საკასაციო პალატა არ იზიარებს გენერალური პროკურატურის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.12.2019წ. განჩინება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში არ არის საქმარისად იურიდიულად დასაბუთებული და დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საჯარო უფლებამოსილების მქონე ორგანოს/დანესებულების მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დადგენის მიზნით სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე და 207-ე, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დელიქტური ვალდებულებითი ურთიერთობების მომწესრიგებელი კარით გათვალისწინებული მუხლები და მიუთითა მათი გამოყენების მოტივებზე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა იმ მოთხოვნის იურიდიული საფუძველი, რომელიც უკავშირდება დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას და ასევე სწორად გამოიყენა და განმარტა შესაბამისი ნორმები სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების თანახმად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველები ზემოხსენებულ ნაწილში.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ პროკურატურის ბრალეული ქმედების დაუდასტურებლობის პირობებში, დაუშვებელია მისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება. განსახილველ შემთხვევაში, პროკურატურისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად ზიანი ანაზღაურდება ზიანის მიმყენებლის ბრალის მიუხედავად. დაუშვებელია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით (სკ-ის 992, 1005.1 მუხ.) დადგენილი მოთხოვნების გავრცელება სპეციალური ნორმით (სკ-ის 1005.3 მუხ.) მონესრიგებულ კონკრეტულ სამართალურ-თიერთობაზე, რომელსაც ადგილი აქვს უკანონო ბრალდებისა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონო შეფარდების შემთხვევაში. სკ-ის 1005.3 მუხლის თავისებურება ისაა, რომ ზიანი ანაზღაურდება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების საქმარის საფუძველს ქმნის ქმედების უკანონობა და პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა. კანონმდებლობა არ შეიცავს მარეაბილიტირებელი გარემოების ჩამონათვალს, თუმცა უდავოა, რომ ასეთად განეკუთვნება გამამართლებელი განაჩენი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს

14.03.2018წ. განაჩენით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.03.2011წ. გამამტყუნებელი განაჩენი, გ. ბ-ა გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში და იგი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ. დგინდება, რომ განხორციელების მომენტში ფორმალურად კანონიერი საგამოძიებო მოქმედებები: ბრალის წაყენება, პატიმრობის შეფარდება მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე, სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის, მიიჩნევიან უკანონოდ (სუსგ №ბს-485-474(2კ-14), 04.06.2015წ.).

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პროკურატურის მხრიდან ადგილი არ ქონია გ. ბ-ას მიმართ დარღვევას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 9.1 მუხლის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ამავე კოდექსის 25.2 მუხლის მეორე წინადადების მიხედვით, მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეებს ეკისრება. ამავე კოდექსის 3.6 მუხლის თანახმად, ბრალდების მხარეა გამოძიებელი და პროკურორი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პროკურატურას ევალება მხოლოდ კანონიერი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენა, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო მტკიცებულების სასამართლოში გამოყენება ბრალდების მხარის მიერ. განსახილველ შემთხვევაში, გ. ბ-ა 17.03.2015წ. განცხადებით მიუთითებდა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში მას აიძულეს აღიარებითი ჩვენების მიცემა, საკასაციო პალატა თვლის, რომ იმ საპროცესო მექანიზმის გათვალისწინებით, რომლითაც აღჭურვილი იყო პროკურატურა, ბრალდების მხარეს უნდა სცოდნოდა აღნიშნულის შესახებ. სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას (სსსკ-ის 32 მუხ.). გამომძიებელი ვალდებულია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით შეასრულოს პროკურორის მითითება (სსსკ-ის 37.3), თავის მხრივ გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად (სსსკ-ის 37.2 მუხ.). აღნიშნულის საპირისპიროდ, კოდექსის 25.2 მუხლის პირველი წინადადებით, სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა „დამოუკიდებლად როგორც მოპოვება, ასევე გამოკვლევა“. სისხლის სასამართლოწარმოებაში შეჯიბრებითობის პრინ-

ციპის მოქმედებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მხარის მიერ გამოყენებული მტკიცებულების ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბრალდების მხარეს, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე – გენერალური პროკურატურა არ მიუთითებს იმ ეფექტიანი საპროცესო მექანიზმების არსებობაზე, რომელთა სასამართლოს მხრიდან გამოყენებლობას გ. ბ-ას უფლებების დარღვევის გამონვევა შეეძლო. აღნიშნულის საპირისპიროდ, მხოლოდ პროკურატურის კომპეტენციას წარმოადგენდა დანაშაულის (მათ შორის სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების, ცრუ ინფორმაციის მიწოდების, ცრუ ჩვენების მიცემის) გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. ამდენად, მოსარჩელის უფლებები დაარღვია მოპასუხემ – პროკურატურამ გ. ბ-ას მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეში იძულებით მიცემული ჩვენების გამოყენებით. პროკურატურის მიერ მოსარჩელის უფლებების დარღვევას ადასტურებს სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში გ. ბ-ას უფლებების არსებითი დარღვევის შესახებ პროკურორის 24.11.2016წ. დადგენილება. აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმი წარმოადგენს პროკურატურის საქმიანობის კანონიერების თვითკონტროლის საშუალებას, ორგანოების/დანესებულებების მიერ საკუთარი საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა კანონიერების პრინციპიდან გამომდინარეობს, პროკურატურის საქმიანობის კანონიერების თვითკონტროლის სახეა მსჯავრდებულის უფლებების არსებითი დარღვევის შესახებ დადგენილების მიღება. განსახილველ შემთხვევაში, პროკურორის 24.11.2016წ. დადგენილების მიღებით დადასტურებულია გ. ბ-ას უფლებების დარღვევა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არსებობს იმ ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გამოწვეულია უშუალოდ უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნით.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის – გენერალური პროკურატურის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამართლებრივად უსაფუძვლოა სს „...ში“ მოსარჩელის მიერ 2012 წლის 5 დეკემბრის ცვლილებებამდე მისაღები ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს გენერალური პროკურატურისთვის ანაზღაურების დავალების მოთხოვნა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მსგავსი კატეგორიის დავის ფარგლებში სასამართლოების მხრიდან ხორციელდება არა – იძულებითი განაცდური ხელფასის (როგორც ეს ხდება უკანონოდ გათავისუფლებული პირის სამსა-

ხურში აღდგენის შემთხვევაში), არამედ, სარეაბილიტაციო პირისათვის ქონებრივი ზიანის – მიუღებელი შემოსავლის სახით ანაზღაურება. ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის განხილვისას გადამწყვეტია არა თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება-უკანონობის საკითხი, არამედ პროკურატურის მხრიდან გამართლებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის უკანონოდ განხორციელება. განსახილველ შემთხვევაში, გ. ბ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის 12.09.2011წ. №1120531 ბრძანებას საფუძველად დაედო იმ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, სადაც ბრალდების მხარემ გამოიყენა კანონსაწინააღმდეგო მტკიცებულება. ამდენად, მოსარჩელის მიერ შემოსავლის მიუღებლობა გამოიწვია არა სხვა რომელიმე ორგანოს/დანესებულების, არამედ სახელდობრ პროკურატურის უკანონო მოქმედებამ. გარდა ამისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, სზაკ-ის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოწვევების გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული (სუსგ №ბს-648-623(2კ-13), 10.04.2014წ.). სკ-ის 412-ე მუხლიდან გამომდინარე ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება (სუსგ №ას-945-895-2015, 14.03.2016წ.) მოვლენათა ნორმალური განვითარების შედეგად. განსახილველ შემთხვევაში, შპს „...ის“ გენერალური დირექტორის 08.05.2008წ. №1196 ბრძანებით დასტურდება, რომ გ. ბ-ა სამუშაოზე მიღებულ იქნა განუსაზღვრელი ვადით. განუსაზღვრელი ვადით შრომითი ურთიერთობის არსებობას არ გამოირიცხავს საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამინისტროს ნებისმიერ დროს შეეძლო გ. ბ-ას გამოსხმობა შპს „...იდან“. სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ გარემოებების მტკიცების ტვირთი, რომელსაც შესაგებელი ემყარება, მოპასუხეს ეკისრება. სსკ-ის 448.2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. მოცემულ საქმეზე მოპასუხე – გენერალური

პროკურატურა უთითებს არა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებზე, რომლებიც დაადასტურებდნენ 2012 წლის 5 დეკემბრის ცვლილებებამდე გ. ბ-ას შპს „...იდან“ გამოხმობის მოსალოდნელობას, არამედ ასეთის მხოლოდ აბსტრაქტულ შესაძლებლობაზე, რაც არასაკმარისია აღნიშნულ ნაწილში მოთხოვნის გამოსარიცხად. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობას არ ქმნის მისი მითითება სს „...ში“ მოსარჩელის მიერ 2012 წლის 5 დეკემბრის ცვლილებებამდე მისაღები ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების დავალების მოთხოვნის უსაფუძვლობის შესახებ. საკასაციო პალატა არ ეთანხმება გენერალური პროკურატურის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლოს მიერ მითითებული არაა გ. ბ-ასთვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა. მოპასუხეს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას, მოსარჩელის სასარგებლოდ ეკისრება გ. ბ-ას მიერ შესაბამისი პერიოდისათვის მისაღები ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს – 3125 ლარის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით). სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრულია ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული სუბიექტი – საქართველოს გენერალური პროკურატურა, ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ოდენობა – 3125 ლარი და დროის მონაკვეთი – საანგარიშო პერიოდის დასაწყისი და დასასრული თარიღები. ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში, სზაკ-ის 207-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ვადების გამოთვლის საკითხს აწესრიგებენ სამოქალაქო კოდექსის 121-127 მუხლები, ხოლო საშემოსავლო გადასახადის ნაკვეთი დადგენილია საგადასახადო კოდექსით.

კასატორის გენერალური პროკურატურის მოსაზრებით, დამატებითი სასჯელის – ჯარიმის სახით გადახდილი თანხის მოსარჩელისთვის ანაზღაურების საკითხი განხილულ უნდა იქნეს არა დელიქტის, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების მიხედვით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. საკასაციო პალატა არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ საქმის მასალებით დასტურდება ჯარიმის სახით 50000 ლარის მსჯავრდებულის სასარგებლოდ 17.05.2016. სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა. სისხლის სასამართლოწარმოებაში მხარე იყო პროკურატურა, ჯარიმასთან დაკავშირებით გაფორმდა საპროცესო შეთანხმება პროკურორთან, ამასთანავე პროკურატურის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით („პროკურატურის შესახებ“ 21.10.2008წ. კანონის 43.1 მუხ. და ამჟამად მოქმედი 13.12.2018წ. ორგანული კანონის 71.1 მუხ.). ამდენად, მსჯავრდებულის სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადახ-

დილი 50000 ლარის ანაზღაურების დავალების მოთხოვნის უსაფუძ-
ვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნად მიჩნევის შემ-
თხვევაშიც, იგი მიმართული უნდა იყოს არა ფინანსთა სამინის-
ტროს, არამედ პროკურატურის როგორც სისხლის სასამართლო-
ნარმოების მხარის, საპროცესო შეთანხმების მონაწილე და იმავე
სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანოს/დანესებუ-
ლების მიმართ, სადაც გადაირიცხა ზემოხსენებული თანხა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს გენერალური პროკურატურის
მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოცემულ საქმეზე მორალური ზი-
ანის ასანაზღაურებლად გენერალური პროკურატურისთვის დაკის-
რებული 15000 ლარი აღემატება სკ-ის 413.1 მუხლით გათვალისწი-
ნებულ „გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებას“. კასატორმა
საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მორალური ზიანის
ანაზღაურების განსაზღვრისთვის ყურადღება გაამახვილა იმაზე,
რომ გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე იშუამ-
დგომლა თავად პროკურატურამ, რაც შემდგომ საფუძვლად დაე-
დო გ. ბ-ას უდანაშაულოდ ცნობას (სუსგ №ბს-306(2კ-20),
07.10.2020წ.), ამასთან, თავისუფლების აღკვეთას არ გამოუწვევია
მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (სუსგ
№ბს-890(კ-18), 26.11.2019წ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ
ვინაიდან მორალურ ზიანს არ გააჩნია ფულადი ეკვივალენტი და
მისი ანაზღაურება ატარებს სატისფაქციურ ფუნქციას (სუსგ №ბს-
972-936(3კ-08), 08.04.2009წ.), „გონივრული და სამართლიანი“ ანაზ-
ღაურების განსასაზღვრად გასათვალისწინებელია არამხოლოდ გე-
ნერალური პროკურატურის მიერ მითითებული გარემოებები, არა-
მედ ასევე სხვა ფაქტორებიც, კერძოდ, მოსარჩელისთვის ფიზი-
კური თავისუფლების აღკვეთის პერიოდი, მისი უფლების დარღვე-
ვის დადგენამდე განვლილი დრო, ზიანის მიმყენებლის ბრალეუ-
ლობის ხარისხი და სხვ.. საქმის მასალების მიხედვით, გ. ბ-ა დააკა-
ვეს 26.10.2010წ. და თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთა-
ვისუფლდა 22.11.2012წ., თუმცა მის განთავისუფლებას საფუძ-
ვლად დაედო შეწყალების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება და უფლებების დარღვევა დადასტურდა მხოლოდ
მოგვიანებით პროკურორის 24.11.2016წ. დადგენილების საფუძ-
ველზე. ამასთან, ანაზღაურების ოდენობის განსასაზღვრად მნიშ-
ვნელოვანია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული დადგენილების თა-
ნახმად, გ. ბ-ას მიმართ განხორციელებული ფსიქოლოგიური ზე-
მოქმედების შედეგად მას აიძულეს არჩადენილი დანაშაულის აღი-
არების შესახებ ჩვენების მიცემა. ამდენად, მითითებული გარემო-
ებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა არ ეთანხმება გენე-
რალური პროკურატურის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოცე-

მულ საქმეზე მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გენერალური პროკურატურისთვის დაკისრებული 15000 ლარი აღემატება სკ-ის 413.1 მუხლით გათვალისწინებულ „გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებას“.

გ. ბ-ას საკასაციო საჩივრის მიხედვით, კასატორმა გ. ბ-ამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.12.2019წ. განჩინება გაასაჩივრა „სრულად“, ხოლო საკასაციო განაცხადით მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და იმავე ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ამავე კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევის საჭიროება. უკეთეს საქმის წარმოების საფუძველზე დგინდება „საქმისათვის მნიშვნელობის მქონე“ ფაქტები, გადასინჯვას ექვემდებარება მხოლოდ სასამართლოს სამართალშეფასება, რაც საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საკმარის საფუძველს არ ქმნის და სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, აძლევს საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. მოცემულ შემთხვევაში, საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებითი ფაქტები არ საჭიროებენ დამატებით გამოკვლევას. საქმეში დაცული მასალების მიხედვით, პირველი ინსტანციის წესით სასამართლოწარმოების მიმდინარეობისას სასამართლომ სხვადასხვა დაწესებულებებიდან გამოითხოვა არაერთი მტკიცებულება, რომელიც თან დაერთო საქმეს, სასამართლომ ასევე მოიპოვა სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებული საიდუმლო ინფორმაცია/მონაცემები. აღნიშნული ინფორმაცია/მონაცემები, ასევე იქნა გათვალისწინებული საქმის სააპელაციო (03.12.2019წ. ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი) და საკასაციო წესით განხილვისას (საკასაციო სასამართლომ გამოითხოვა და გაეცნო შსს-ს საიდუმლო ინფორმაციას). ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის გადაწყვეტა არ საჭიროებს ახალი ფაქტების დადგენას. საკასაციო საჩივრის გადაწყვეტა დაკავშირებულია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების სამართალშეფასების გადასინჯვასთან, რაც ითვალისწინებს სრულ საკასაციო კონტროლს, მათ შორის სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, გ. ბ-ას საკასაციო საჩივარზე გადაწყვეტილების

მიღების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სისხლის სასამართლონარმოების ფარგლებში ადვოკატის მომსახურების ხარჯების გ. ბ-ასთვის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის უცვლელად დატოვების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, რაც მითითებულ ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღების პირობაა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ადვოკატის მომსახურების ხარჯების გ. ბ-ასთვის ანაზღაურებაზე უარის თქმის უცვლელად დატოვების ნაწილში უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს გენერალურ პროკურატურას გ. ბ-ას სასარგებლოდ დაეკისრება სისხლის სასამართლონარმოების ფარგლებში ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არის დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით სისხლის სასამართლონარმოების ფარგლებში ადვოკატის მომსახურების ხარჯის გენერალური პროკურატურისთვის დაკისრებაზე უარის თქმა. სისხლის სასამართლონარმოების ფარგლებში, შეთანხმებით დაცვის შემთხვევაში, გამართლებულის მიერ ადვოკატისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს ადმინისტრაციული სასამართლონარმოების წესით (სუსგ №ბს-432-429(2კ-17), 07.02.2019წ.). მართალია, ზოგადი წესის მიხედვით ხარჯების განსაზღვრა ხდება სასამართლოში მხარის მიერ წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე, თუმცა ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, იურიდიული მომსახურების ანაზღაურების ამსახველი ქვიტორის, საგადახდო დავალების შესრულების დოკუმენტაციის წარუდგენლობა, არ გამოირიცხავს საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას, უკეთუ აშკარაა, რომ პირის უფლების დაცვის მიზნით წარმომადგენლობითი მომსახურება გაწეულია (სუსგ №ბს-809-805(3კ-17), 17.01.2019წ.; №ბს-432-429(2კ-17), 07.02.2019წ.). სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, იურიდიული მომსახურების შესახებ 27.10.2010წ. ხელშეკრულებით შემსრულებლის – ბ. გ-ას მოვალეობას წარმოადგენდა იურიდიული მომსახურების გაწევა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, მომსახურებისთვის

ადვოკატს უნაზღაურდებოდა 1000 ლარი წინასწარ, ხოლო 7000 ლარი ეტაპობრივად. საქმის მასალებში დაცული თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 28.10.2010წ. განჩინებით დასტურდება, რომ ადვოკატი მონაწილეობდა პროცესში, რომელში გადაწყდა ალკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.03.2011წ. განაჩინით დასტურდება, რომ ადვოკატის იურიდიული დახმარების განევის შემდეგ გ. ბ-ამ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რაზედაც 28.03.2011წ. შედგა საპროცესო შეთანხმება, ადვოკატი მონაწილეობდა აგრეთვე პროცესში, რომელშიც დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სისხლის სასამართლონარმოების ფარგლებში ადვოკატის მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესახებ გ. ბ-ას მოთხოვნა სამართლებრივად საფუძვლიანია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის ხელშეკრულებით შეთანხმებული ანაზღაურების თანხა, აგრეთვე მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლისათვის გადახდილი თანხის ოდენობა განეული მომსახურებისთვის, არ არის სავალდებულო სასამართლოსთვის ადვოკატის მომსახურების განევის თანხის ოდენობის განსაზღვრისთვის. სასამართლომ ადვოკატის მომსახურების ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიიღოს საქმის სირთულე, უფლების დარღვევის აღსაკვეთად წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობა, ხანგრძლივობა, ინსტანციურობა და სხვ.. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს მოპასუხისათვის სასამართლოს მიერ თანხის დაკისრებაზე უარის ან დაკისრებული თანხის ოდენობის დასაბუთებას. აღნიშნული ეხება არა მხოლოდ ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის, არამედ აგრეთვე ისეთ შემთხვევას, როდესაც ადვოკატისათვის გადახდილი ხარჯის ანაზღაურების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული თანხა არაადეკვატურია და აშკარად აღემატება წარმომადგენლის მიერ საქმეზე განეული მომსახურების ღირებულებას. მოცემული საქმის მასალების მიხედვით, ადვოკატი ბ. გ-ა მონაწილეობდა ზეპირ მოსმენაში, რომლის დროსაც დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება გ. ბ-ასა და პროკურორს შორის. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემდეგ, არ განხორციელებულა სისხლის სამართლის საქმის წარმოება გ. ბ-ას მიმართ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში და შესაბამისად მას არ მიუღია იურიდიული მომსახურება. ასეთი მომსახურების ბ. გ-ას მიერ განევა არ დგინდება თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.03.2011წ. განაჩინის გადასინჯვის თაობაზე გამართული სისხლის სასამართლონარმო-

ების დროსაც. ამასთან, სსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელე მხარე არ უთითებს იმ კონკრეტულ ფაქტებზე და გარემოებებზე, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა დამატებით, სხვა იურიდიული მომსახურების ბ. გ-ას მიერ განეწესთან. ხსენებული გარემოებებისა და სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოპასუხეს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას უნდა დაეკისროს სისხლის სასამართლოწარმოების ფარგლებში ადვოკატის მიერ განეწესი იურიდიული მომსახურების ანაზღაურება 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების ფარგლებში ადვოკატის ხარჯებთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში დაცულია იურიდიული მომსახურების განეწესის თაობაზე 01.05.2018წ. ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს კლიენტის მიერ ადვოკატისთვის იურიდიული მომსახურების საფასურის გადახდას 15000 ლარის ოდენობით საქმის წარმოების დამთავრების შემდგომ. გ. ბ-ამ სარჩელით მოითხოვა ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების ფარგლებში განეწესი ადვოკატის ხარჯის მოპასუხისთვის დაკისრება, აღნიშნული წარმოადგენს სარჩელით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მოთხოვნას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.02.2019წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით მოსარჩელეს უარი ეთქვა ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულების მოპასუხისთვის დაკისრებაზე საფასურის გადახდის ფაქტის დაუდგენლობის გამო. გ. ბ-ას სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას შეადგენდა გასაჩივრებული 28.02.2019წ. გადაწყვეტილების სრულად გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. აპელანტის ერთ-ერთ პრეტენზიას შეადგენდა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ სასამართლოწარმოებაში ადვოკატის ხარჯების საკითხზე მსჯელობის არ არსებობა. საკასაციო საჩივრით მოსარჩელე მხარემ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.12.2019წ. განჩინება გაასაჩივრა სრულად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეებმა პროცესის ხარჯების დაბრუნების (მეორე მხარისათვის მათ სასარგებლოდ დაკისრების) შესახებ უნდა მიუთითონ ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ მათ პრეტენზია პროცესების ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩინიათ. ამასთან, მხარეებს არ ეზღუდებათ უფლება პროცესის ხარჯების მოთხოვნის საკითხი დასვან საქმის მომზადების დასრულების შემდგომ ან საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, თუკი ხარჯების საკითხი სწორედ საქმის განხილ-

ვის ამ სტადიაზე წარმოიშვა (სუსგ 14.07.2016წ., №ბს-776-768(2კ-4კს-15)). განსახილველ შემთხვევაში, გ. ბ-ამ ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად მიუთითა ადვოკატის ხარჯების მოპასუხისთვის დაკისრების შესახებ და სრულად გაასაჩივრა როგორც პირველი, ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება/განჩინება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება ადმინისტრაციული სასამართლონარმოების ფარგლებში განეული ადვოკატის მომსახურების ხარჯი. განეული საადვოკატო მომსახურების ინტენსიურობისა და საქმეზე დამდგარი მატერიალურ-სამართლებრივ შედეგის (სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება მოპასუხის – საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ) გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხეს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას უნდა დაეკისროს ადმინისტრაციული სასამართლონარმოების ფარგლებში ადვოკატის მიერ განეული იურიდიული მომსახურების ანაზღაურება 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 411-ე და 410-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. გ. ბ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.12.2019წ. განჩინება გ. ბ-ასთვის 2012 წლის 5 დეკემბრის შემდეგ მიუღებელი თანამდებობრივი სარგოს, სისხლისა და ადმინისტრაციული სასამართლონარმოების ფარგლებში ადვოკატის მომსახურების ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. ბ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. საქართველოს გენერალურ პროკურატურას გ. ბ-ას (პ.ნ. ...) სასარგებლოდ დაეკისროს:

4.1. გ. ბ-ას მიერ 2010 წლის 28 ოქტომბრიდან 2012 წლის 14 დეკემბრამდე პერიოდისათვის მისაღები ყოველთვიური თანამდებობ-

რივი სარგოს – 3125 (სამი ათას ას ოცდახუთი) ლარის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით),

4.2. გ. ბ-ასთვის სისხლის სასამართლოწარმოების ფარგლებში ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება 2000 (ორი ათასი) ლარის, ხოლო ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების ფარგლებში – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

5. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.12.2019წ. განჩინება დარჩეს უცვლელად;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განთავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადის განსვლა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-707(კ-21)

12 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და გაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ა-მა 2017 წლის 7 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ მისი „თანამდებობიდან გათავისუფლების და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 ივლისის №1674681 ბრძანების, „შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 03 დეკემბრის №2700936 ბრძანების ბა-

თილად ცნობის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ...ის ...ის (მთავარი სამმართველოს) ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების ...ის (ან ტოლფას) თანამდებობაზე აღდგენის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და თ. ა-ის სასარგებლოდ, მისი გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისთვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით მიუღებელი იძულებითი განაცდურის (მათ შორის, თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოს, ასევე დანამატის (წელთა ნამსახურობის)) შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურების მოთხოვნით.

სარჩელის მიხედვით, თ. ა-ი 2006 წლის 13 მარტიდან 2015 წლის 2 დეკემბრამდე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებისთვის მუშაობის პერიოდში იგი წახალისებულია არაერთხელ ფულადი პრემიით, მადლობით და ფასიანი საჩუქრით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 ივლისის №1674681 ბრძანებით გათავისუფლდა შსს ...ის ...ის (მთავარი სამმართველო) ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების ...ის თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შსს კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში, ხოლო „შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 13 დეკემბრის №2700936 ბრძანებით, შსს კადრების განკარგულებაში მყოფი მოსარჩელე დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 03 დეკემბრის №2700036 ბრძანება მოსარჩელეს გადაეცა მხოლოდ 2017 წლის 25 თებერვალს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 22 თებერვლის MIA 8 17 00436426 წერილით, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 ივლისის №1674681 ბრძანება ჯერ არ გადასცემია, შესაბამისად, მიიჩნევა, რომ გასაჩივრებული ბრძანებები კანონსაწინააღმდეგოა და ითხოვს ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი თ. ა-ის „თანამდებობიდან გათავისუფლების და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 ივლისის №1674681 ბრძანება, თ. ა-ის „შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 03 დეკემბრის №2700936 ბრძანება;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა თ. ა-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ...ის ...ის (მთავარი სამმართველოს) ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების ...ის (ან ტოლფას) თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა თ. ა-ის გათავისუფლების დღიდან მის სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისთვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით მიუღებელი იძულებითი განაცდურის (მათ შორის, თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოს, ასევე დანამატის (წელთა ნამსახურობის)) შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი სამსახურის გავლის ნუსხითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 21 თებერვლის MIA 4 17 00429862 ცნობით დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ა-ი (პ/ნ...) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მსახურობდა 2006 წლის 13 მარტიდან (შსს-ს დანიშვნის ბრძ. №1670-პშ, 13.03.2006წ.) 2015 წლის 2 დეკემბრამდე (შსს-ს დათხოვნის ბრძ. №2700936, 03.12.2015წ.). შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 ივლისის №069 საშტატო-საორგანიზაციო ბრძანების საფუძველზე, მინისტრის 2015 წლის 31 ივლისის №1674681 ბრძანებით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის I პუნქტის „ბ“ (შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება) ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ე“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, შსს ...ის ...ის (მთავარი სამმართველოს) ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების ..., პოლიციის მაიორი – თ. ა-ი (პ/ნ...) გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შსს კადრების მთავარი სამმართველოს განყოფილებაში 2015 წლის 1 აგვისტოდან, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 3 დეკემბრის №2700936 ბრძანებით, შსს კადრების განყოფილებაში მყოფი, შსს ...ის ...ის (მთავარი სამმართველოს) მონაცემთა განყოფილების ..., პოლიციის მაიორი – თ. ა-ი დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

საქმეში წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 19 ნოემბრის №007300018 დასკვნით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შსს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორის – ზ. ჩ-ის სახელზე, თ. ა-ის სახელით, 2015 წლის 1

დეკემბერს შედგენილი განცხადების ხელნაწერი ტექსტი და ხელმოწერა, რომლითაც განმცხადებელი ითხოვდა ცნობის გაცემას იმის თაობაზე, რომ 2015 წლის 1 დეკემბრიდან აღარ მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, შესრულებული იყო არა თ. ა-ის, არამედ სხვა პირის მიერ.

ამასთან, სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ 2017 წლის 17 თებერვალს, თ. ა-მა განცხადებით მიმართა შსს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორს და სხვა დოკუმენტებთან ერთად მოითხოვა მისი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 3 დეკემბრის №2700936 ბრძანებიდან ამონაწერის გადაცემა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის II სამმართველოს უფროსის 2017 წლის 22 თებერვლის წერილით თ. ა-ს გაეგზავნა ზემოაღნიშნული განცხადებით მოთხოვნილი დოკუმენტები და ჩაჰპარდა პირადად 2017 წლის 25 თებერვალს.

სასამართლომ მიუთითა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტსა და 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტსა და 35-ე, 37-ე მუხლებზე და უკანონოდ მიიჩნია მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ ბრძანება, ასევე, მის საფუძველზე გამოცემული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ ბრძანება, ვინაიდან საქმის მასალების მიხედვით დადასტურდა, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ...ის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 7 დეკემბრის №1658074 ბრძანებით, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 20 მარტის №538605 ბრძანებით ...ის სამმართველოს ...ის განყოფილებაში გათვალისწინებული იყო ...ის 10 საშტატო ერთეული; საშტატო განრიგში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 20 მარტის №538605 ბრძანებით შესული ცვლილებით კი, ...ის რაოდენობა განისაზღვრა 11 საშტატო ერთეულით, ამასთან, ...ში (მთავარი სამმართველო) შემავალ ...ის განყოფილებაში არ მომხდარა საერთოდ შტატების შემცირება და როგორც რეორგანიზაციამდე, ისე რეორგანიზაციის შემდეგაც დარჩა 21 საშტატო ერთეული – ...ის შტატების რაოდენობა კი, საიდანაც განთავისუფლდა მოსარჩელე, პირიქით გაიზარდა და 10-ის ნაცვლად განისაზღვრა 11

ერთეულით, შესაბამისად, განხორციელებულ რეორგანიზაციას, რის საფუძველზეც თ. ა-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, არ მოჰყოლია შტატების შემცირება.

თანამდებობაზე აღდგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად სასამართლომ გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოხელე აღდგენილი უნდა იქნეს გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე.

სასამართლოს მოსაზრებით, ნებისმიერ შემთხვევაში პირის თანამდებობაზე აღდგენა თავისთავში გულისხმობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ანუ პირის იმ თანამდებობაზე დაბრუნებას, საიდანაც ის გათავისუფლდა. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ ბრძანება და მის საფუძველზე გამოცემული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ ბრძანება, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის თ. ა-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ...ის ...ის (მთავარი სამმართველოს) ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების ...ის (ან ტოლფას) თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობები, რაც, თავის მხრივ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, მიჩნეულ იქნა მიუღებელი იძულებითი განაცდურის (მათ შორის თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოს, ასევე დანამატის (წელთა ნამსახურების)) შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურების დაკისრების საფუძველად, მოსარჩელის გათავისუფლების დღიდან მის სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ აქტის გასაჩივრების კანონმდებლობით დადგენილი ვადის გაშვებისა და სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე და განმარტა, რომ კანონმდებლობა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას ვადებით ზღუდავს და ყო-

ველ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით უფლების დაცვის ხანდაზმულობის შესაბამის ვადებს განსაზღვრავს. უფლების დაცვის – სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. ხანდაზმულობის ვადის გასვლა აზრს უკარგავს მოთხოვნის საფუძვლიანობას და პირს ართმევს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რის შედეგადაც განსახილველი უფლების ჭრილში სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ინარჩუნებს. სასამართლომ თავისი მოსაზრების გასამყარებლად მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის №ბს-312-308(კ-14) განჩინებაზე, სადაც განიმარტა, რომ „საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობის მიზნებზე, რაც უმთავრესად სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობასა და პირის უფლებების დროულად განხორციელებაში გამოიხატება. ხანდაზმულობის ვადების არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგებოდა. ხანდაზმულობის ვადების არსებობა კი სამართალურთიერთობის მონაწილეებს აძლევს დროულად იზრუნონ საკუთარი უფლებების განხორციელებასა და დაცვაზე, ხოლო სასამართლოს – შესაძლებლობას აძლევს შედარებით გონივრულ დროში გადაწყვიტოს დავა. ამასთან საყურადღებოა, რომ ხანდაზმულობის ვადების არსებობა გამორიცხავს პირის შესაძლებლობას მისთვის ხელსაყრელ დროს მიმართოს სასამართლოს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადა არ გულისხმობს დროის გაურკვეველ პერიოდს. მას აქვს დასაწყისი და დასასრული. ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისას კი მნიშვნელოვანია მისი დენის დანყების მომენტის განსაზღვრა“.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე, 55-ე მუხლებზე და 58-ე მუხლის პირველი ნაწილის დეფინიციებზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 3 დეკემბრის №2700936 ბრძანებიდან ამონაწერი თ. ა-ს პირადად ჩაჰბარდა 2017 წლის 25 თებერვალს მის მიერ 17 თებერვალს წარდგენილი განცხადების საფუძველზე, ამასთან, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 19 ნოემბრის №007300018 დასკვნის მიხედვით დადგე-

ნილია, რომ შსს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორის – ზ. ჩ-ის სახელზე 2015 წლის 1 დეკემბერს შედგენილი განცხადების ხელნაწერი ტექსტი და ხელმოწერა (თ. ა-ი) შესრულებული იყო არა თ. ა-ის, არამედ სხვა პირის მიერ, არ არსებობდა სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 28 ივლისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 ივლისის №1674681 ბრძანებისა და 2015 წლის 3 დეკემბრის №2700936 ბრძანების ბათილად ცნობის, თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის საფუძველიანად მიჩნევასთან დაკავშირებით, ასევე სარჩელის ხანდაზმულობის არარსებობის თაობაზე. საქალაქო სასამართლოს მსგავსად, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 19 ნოემბრის №007300018 დასკვნასა და იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 3 დეკემბრის №2700936 ბრძანებიდან ამონაწერი თ. ა-ს პირადად ჩაჰბარდა 2017 წლის 25 თებერვალს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე, 55-ე და 58 მუხლებით განსაზღვრული კანონისმიერი მოთხოვნებისა და ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინებაში (საქმე №ბს-312-308(კ-14)) ჩამოყალიბებული განმარტების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის უსაფუძველობის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 28 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

კასატორის განმარტებით, საქმეში არსებული მასალებით და

საქმის განხილვის დროს მხარეების ახსნა-განმარტებებით დადგენილია, რომ თ. ა-ი შინაგან საქმეთა სამინისტროდან გათავისუფლდა 2015 წლის 31 ივლისს, ხოლო დათხოვნილ იქნა შსს რიგებიდან 2015 წლის 3 დეკემბრის ბრძანებით, ამრიგად, მოსარჩელისათვის ცნობილი იყო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, ვინაიდან აღარ დადიოდა სამსახურში, აღარ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, შესაბამისად, ცნობილი იყო, რომ აღარ იმყოფებოდა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში სამინისტროსთან, ამასთან აღარ იღებდა ხელფასს. აქედან გამომდინარე, მოცემულ პირობებში მოსარჩელისათვის სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩაბარებას მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური ხასიათი გააჩნდა.

კასატორის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც თ. ა-მა კადრების განკარგულებაში აყვანის ბრძანება გაასაჩივრა 1 წლის და 8 თვის, ხოლო დათხოვნის ბრძანება 1 წლის 4 თვის შემდეგ, ცალსახად დარღვეულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები, ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 სექტემბრის №ბს-352-348 (კ-15) განჩინებაზე მითითებით, მოითხოვა სარჩელის დასაშვებობის შემოწმება.

კასატორი დამატებით მიუთითებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 6 მარტის განჩინებაზე (საქმე №3გ/150-18), რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დაუშვებლობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლო აღნიშნულ საქმეზე განმარტა, რომ „ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება უკავშირდება როგორც სუბიექტურ მომენტს, როცა პირმა შეიტყო დარღვეული უფლებების შესახებ, ისე ობიექტურ მომენტს, როცა პირს უნდა შეეტყო ასეთის შესახებ; სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ობიექტური მომენტი მოსარჩელესთან მიმართებაში, ვინაიდან მოსარჩელე ნ. ყ-სთვის ცნობილი იყო, რომ იგი ჯერ კადრების განკარგულებაში აიყვანეს, ხოლო შემდგომ დაითხოვეს სამსახურიდან, იგი აღარ დადიოდა სამსახურში, აღარ იღებდა ხელფასს, რაც თავის მხრით მოსარჩელემაც დაადასტურა სხდომაზე. შესაბამისად, მისთვის აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩაბარებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი გააჩნდა. ამასთან, მოსარჩელე ნ. ყ-მა სასამართლოს კადრების განკარგულებაში აყვანიდან ექვს თვეზე მეტი ხნის, ხოლო დათხოვნიდან

ორ თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით მიმართა სასამართლოს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სარჩელი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, ამასთან დამატებით მიუთითებს, რომ ქვემდგომი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი და გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია აბსოლუტურად შეუსაბამო სამართლებრივი ნორმებით და სასამართლო პრაქტიკით არის გამყარებული, რადგან შს მინისტრის სადავო ბრძანებების გამოცემისას არ დარღვეულა ადმინისტრაციული აქტის მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ისინი მიღებულია საქმის ყოველმხრივი შესწავლის, შესაბამისი გარემოებების მოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რაც ადასტურებს, რომ მოსარჩელე სათანადო საფუძველით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, საქმეში კი არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც სანინააღმდეგოს დაადასტურებდა.

კასატორი მიუთითებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არა უმეტეს ოთხი თვისა. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სამინისტროს მოსამსახურეს ორი თვის განმავლობაში უნარჩუნდება ხელფასი (ფულადი სარგო) ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კადრების განკარგულებაში აყვანილი მოსამსახურე განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლება სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მსჯელობისას არ არის დაკონკრეტებული შინაგან საქმეთა სამინისტროს რომელი ქმედება (ან უმოქმედობა) ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ თუ საპროცესო კოდექსს ან რომელი კონკრეტული მტკიცებულებით დასტურდება გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილობისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული დარღვევების არსებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 28 ივლისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დასაშვებობის გადალახვის პირობებში სასარჩელო მოთხოვნის უარყოფა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ

იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. საკასაციო საჩივარი განხილული იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 28 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება თ. ა-ის სარჩელის უარყოფის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლითაც საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით. საქართველოს კონსტიტუციის ზემოხსენებული ნორმით გაართმობიებული შრომის უფლება გულისხმობს მოქალაქის უფლებას, გააჩნდეს წვდომა საჯარო სამსახურზე და სახელმწიფოს ვალდებულებას – არ დაუშვას პირის საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება. აღსანიშნავია, რომ შრომის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და ექვემდებარება შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. მნიშვნელოვანია, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი უნდა იყოს დამაჯერებლად დასაბუთებული. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ კონკრეტულ ბრძანებას თავისი საფუძველი გააჩნია, რაც ამართლებს ან არ ამართლებს მის გამოცემას. ასეთ დროს სასამართლოს როლი სწორედ ბრძანების საფუძვლის კანონიერების გამორკვევაა, რაც სარჩელის იურიდიული ბედის განმსაზღვრელია.

მნიშვნელოვანია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური საფუძველიანობის შემოწმებამდე თავდაპირველად უნდა შეფასდეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, მისი მნიშვნელობა და გავლენა უფლების რეალიზაციაზე, რამეთუ სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევა გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუ-

ციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც ... წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1).

აღსანიშნავია, რომ უფლება სამართლიან სასამართლოზე უპირველესად გულისხმობს პირის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებების სასამართლო წესით გასაჩივრებისა და უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მიუხედავად სამართლიანი სასამართლოს უფლების უდავოდ დიდი მნიშვნელობისა, ის არ არის აბსოლუტური უფლება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება №3/1/531 საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები — თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3).

სასამართლო წესით უფლების დაცვა და განხორციელება განუყოფლად დაკავშირებული ვადების ფაქტორთან; კერძოდ, კანონმდებლობა ვადებით ზღუდავს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას და ყოველ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით განსაზღვრავს უფლების დაცვის ხანდაზმულობის ვადებს. შესაბამისად, უფლება სამართლიან სასამართლოზე დროში შეზღუდული უფლებაა და მისი განხორციელება დამოკიდებულია კანონმდებლობით დადგენილ ხანდაზმულობის ვადებზე. თავის მხრივ, უფლების დაცვის ვადა, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით (სუსგ 25.03.2021 წ. №ბს-1322(კ-19)).

„ვადის უფლებანარმომშობი და უფლებალმკვეთი თვისება გამოკვეთილია არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, არამედ იგი დამახასიათებელია მთელი სამართლისათვის. დრო იწვევს სამართლებრივი სინამდვილის ტრანსფორმაციას, უფლების ნარმომშობას, შეწყვეტას, უფლების სუბიექტის შეცვლას. მხარეთა

სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული... სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ვერ იქნება გაგებული აბსოლუტური სახით, პროცესუალურსამართლებრივი წესრიგის გარეშე, რაც უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის №1/3/161 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

„ზოგადად, ვადებს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობებში წესრიგის შეტანისთვის. დროის ფაქტორი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს პირთა შორის ურთიერთობების სამართლებრივ მოწესრიგებაში. გარკვეული დროის დადგომას ან ვადის გასვლას უკავშირდება კონკრეტული იურიდიული შედეგები – სამართლებრივი ურთიერთობების (შესაბამისად, პირთა უფლებებისა ან/და მოვალეობების) წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16).

ხანდაზმულობის ვადის გასვლას უკავშირდება კონკრეტული იურიდიული შედეგი – სასამართლოს მეშვეობით უფლების იძულებითი განხორციელების შეუძლებლობა. ამასთან, ვინაიდან, ხანდაზმულობა არსებით გავლენას ახდენს პირის უფლება-მოვალეობებზე, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს მისი ათვისების საწყისი, ვინაიდან ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში პირი, მართალია, არ კარგავს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, მაგრამ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობა გამოორიციხავს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 23-ე მუხლებით გათვალისწინებული შეცვლებითი და მავალდებულებელი სარჩელის სასამართლოში აღძვრის უფლებას კანონმდებლობა ზღუდავს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადით (სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ერთი თვის ვადაში), რომლის დენის დაწყებას ადმინისტრაციული სამართალი უკავშირებს უფლებამოსილი პირისთვის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობას. შესაბამისად, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მათ შორის, სამსახურიდან უკანონო გათავისუფლების საკითხებზე წარდგენილი სარჩელის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას, ვალ-

დებულება, შეამოწმოს მითითებული ვადების მხარეთა მიერ დაცვის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს. ამავე კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს მისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნას.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინებაზე (საქმე №ბს-312-308(კ-14)), რომლითაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის ათვისების დასაწყისს კანონმდებლობა უსაფუძვლოდ არ უკავშირებს დაინტერესებული მხარის მიერ აქტის გაცნობის ფაქტს. ბუნებრივია, შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი აქტის გასაჩივრება. აქტის არცოდნა მისი გასაჩივრების შესაძლებლობას გამოიწვევს. თუმცა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაინტერესებული მხარისათვის გაცნობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ამ აქტით მიღებული გადაწყვეტილების მიღების ფაქტისა და გადაწყვეტილების შინაარსის მხარისათვის გაცნობას და არა მარტო იმას, რომ პირმა მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურად ჩაიბაროს გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ აქტის ოფიციალური გაცნობის სამართლებრივი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მხარე ადასტურებს მისი შინაარსის გაცნობას“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადები მხოლოდ ამგვარი გასაჩივრების ფორმალურ წინაპირობებს არ უკავშირდება; კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ფორმალურად არ არის მიბმული მხოლოდ აღნიშნული აქტის ადრესატისათვის ჩაბარების და მისი გაცნობის სა-

კითხზე. მართალია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე და 58-ე მუხლების საფუძველზე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში სწორედ მხარისათვის მისი გაცნობის შედეგად შედის, თუმცა აღსრულებული აქტების გასაჩივრების უფლების რეალიზებისათვის სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხოლოდ ჩაუბარებლობისა და მათი გამოცემისათვის ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის, შემდგომში კი – საჩივრის ავტორისა თუ მოსარჩელის მიუწვეველობის საკითხი, ვერ განაპირობებს მოთხოვნის საფუძველიანობას, რამდენადაც ასეთ ვითარებაში, გასაჩივრების უფლების ხანდაზმულობის შეფასებისას უნდა დადგინდეს, დაინტერესებული პირი რამდენად იყო ან უნდა ყოფილიყო ინფორმირებული სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისა და ამგვარი აღსრულების შედეგების თაობაზე (სუსგ 13.12.2018 წ. №ბს-708-708(კ-18)).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო პერიოდში მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელეს უფლება ჰქონდა კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაესაჩივრებინა სასამართლოში სამსახურებრივი საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება. იმავე მუხლის 2¹ პუნქტის მიხედვით, სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა ათვლებოდა კანონმდებლობით დადგენილი წესით აქტის გაცნობიდან. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში. ამრიგად, კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილია ერთი თვის ვადა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის და მისი ათვლის საწყისად განსაზღვრულია მისი გაცნობა.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სადავო არაა ის გარემოება, რომ თ. ა-ისათვის ცნობილი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში მიმდინარე რეორგანიზაციის შესახებ, რადგანაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის

31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დანაწესი რეორგანიზაციას, რასაც თან სდევს შტატების შემცირება, უკავშირებს პოლიციელის შესაძლო თანამდებობიდან გათავისუფლებას (არა სამსახურიდან დათხოვნას) და არა უმეტეს 4 თვის ვადით კადრების განკარგულებაში აყვანას. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, კადრების განკარგულებაში აყვანილი პოლიციელი კადრების განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლება სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად. მითითებული წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნეს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ აღსრულებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (მაგ. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და სხვ.) თავისთავად იწვევს მისი ადრესატისათვის კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს. შესაბამისად, ამგვარი აქტების თაობაზე ინფორმირებულობის ხარისხი უფრო მაღალია, რაც ცალსახად იწვევს ადრესატისათვის უფლებების დარღვევის ობიექტურად შეცნობას. კონკრეტულ შემთხვევაში კი, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის შესახებ თ. ა-ის ინფორმირებულობა გამოიხატა მასთან სამსახურებრივი ურთიერთობის ფაქტობრივად შეწყვეტით, სახელფასო ანაზღაურების გადაუხდელობით, მოვალეობათა შეუსრულებლობით და სხვ. დასახელებული ფაქტის დასადასტურებლად აღსანიშნავია ისიც, რომ თ. ა-ი იძულებითი განაცდურის მოპასუხისთვის დაკისრების მოთხოვნას უკავშირებს სწორედ იმ გარემოებას, რომ მას შრომის ანაზღაურება მისი გათავისუფლების დღიდან არ მიუღია. მითითებული გარემოება საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი თ. ა-ისთვის არა 2017 წლის 25 თებერვლიდან, არამედ 2015 წლის 3 დეკემბრიდან ცნობილი იყო მისი სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტი, რა დროიდანაც მოსარჩელესა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის სამსახურებრივი ურთიერთობა ფაქტობრივად შეწყდა და მიუხედავად ადრესატისთვის აქტის ჩაუბარებლობისა, მას შეეძლო, საკუთარი დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვა, რაც განახორციელა სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტიდან არაგონივრულ ვადაში – ერთ წელზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ, ამდენად საკასაციო სასამართლო მიიჩნევს,

რომ სარჩელი სასამართლოში წარდგენილია ხანდაზმულობის 1-თვიანი ვადის დარღვევით, 2017 წლის 7 მარტს, აღნიშნული კი, ხანდაზმულობის საფუძველით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

რაც შეეხება დაკავებულ ან მის ტოლფას თანამდებობაზე მოსარჩელის აღდგენისა და განაცდურის მოპასუხეზე დაკისრების შესახებ მოთხოვნის საფუძველიანობას, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მისი დაკმაყოფილების წინაპირობების არსებობის შესახებ, რადგან სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მოხელე ექვემდებარებოდა დაუყოვნებლივ აღდგენას სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში. იმავე კანონის 112-ე მუხლის მიხედვით კი, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილი იყო მოეთხოვა განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძველის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო.

ამრიგად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები მოსამსახურის სამსახურში აღდგენას და მისთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურებას, მხოლოდ მისი გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოს მიერ ბათილად ცნობას უკავშირებს. მოცემულ შემთხვევაში, თ. ა-ის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ აქტი ბათილად არ არის ცნობილი სასამართლოს მიერ, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო მისი უფლების დროული რეალიზება, შესაბამისად, არ არსებობს მოსარჩელის პირვანდელ ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით თანმდევი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რაც ასევე გამორიცხავს განაცდური ხელფასის ანაზღაურების, როგორც უკანონოდ გათავისუფლების თანმდევი შედეგის მოთხოვნის საფუძველიანობას.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 28 ივლისის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე საქმეზე მიღებულ უნდა იქ-

ნეს ახალი გადაწყვეტილება თ. ა-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ხანდაზმულობის საფუძველით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 28 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ანგარდაცვლილი მეუღლის გამოუყენებელი შვებულების დღეების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის სანდაზმულობა

**გადანყვებითიება
საქართველოს სახელით**

№ბს-1020(კ-19)

21 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი

დავის საგანი: გამოუყენებელი შვებულების დღეების თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. მ-მა 02.10.2017წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ. სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ ლ. მ-მა მოითხოვა მოპასუხისთვის მეუღლის გ. ბ-ის 2012 წლის გამოუყენებელი შვებულების დღეების თანხის – 1030 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი ან გარდაცვლილი მეუღლე გ. ბ-ე დასაქმებული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, მას 02.04.2012წ. უსრულდებოდა ნამსახურების ზღვრული ასაკი. საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-9 თავის მე-4 პუნქტის თანახმად, სამხედრო ნაწილის მეთაური ვალდებული იყო გ. ბ-ის ზღვრული ასაკის შესრულების შემდეგ მეთაურისთვის მიემართა წარდგინებით ზღვრული ასაკის გამო სამხედრო სამსახურიდან გ. ბ-ის დათხოვნის შუამდგომლობით. ამავე დებულების მე-6 და მე-8 პუნქტების თანახმად, მეთაურის ვალდებულება იყო აგრეთვე გაეშვა გ. ბ-ე 45-დღიან კუთვნილ შვებულებაში. ეს 45-დღიანი პერიოდი საკმარისი იქნებოდა, რათა თავდაცვის მინისტრს გამოეცა ბრძანება გ. ბ-ის გათავისუფლების შესახებ. სამხედრო ნაწილის მეთაურმა დაარღვია აღნიშნული ნორმატიული წესი, 2012 წლის 01 აპრილიდან გ. ბ-ე მოიხსნა ყველა სახის კმაყოფიდან, ჩამოერთვა სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე შესასვლელი საშვი და განემარტა, რომ გათავისუფლებული იყო შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო, თუმცა რეალურად გ. ბ-ის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება 10.05.2012წ. გამოიცა. ბრძანებაში მიეთითა, რომ გ. ბ-ე სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილად ითვლებოდა 2012 წლის 2 აპრილიდან. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გ. ბ-ეს სამსახურიდან გათავისუფლებისას ეკუთვნოდა 2012 წლის გამოუყენებელი შვებულება 45 დღის ოდენობით, რომლის ანაზღაურება შეადგენდა 1764 ლარს, თუმცა გ. ბ-ეს აუნაზღაურდა მხოლოდ 734 ლარი, შესაბამისად, გ. ბ-ეს მიადგა მატერიალური ზიანი – 1030 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.08.2018წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ლ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მეუღლის – გ. ბ-ის 2012 წლის კუთვნილი შვებულების დღეების თანხის – 1030 ლარის ანაზღაურება. სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ გ. ბ-ე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში და მისი ნამსახურების წლები აღემატებოდა 10 წელს. სამხედრო ნაწილი №...-ის მეთაურის 01.04.2012წ. №64 ბრძანებით, სამხედრო ნაწილი №...-ის ...სა

და ...ის ასეულის ...ის ...სა და ...ის პუნქტის უფროსი, ... გ. ბ-ე მოიხსნა ყველა სახის კმაყოფიდან 2012 წლის 2 აპრილიდან და წარდგენილ იქნა კონტრაქტის შეწყვეტაზე, ზღვრული ასაკის მიღწევის გამო. 05.04.2012წ. ...ის მე-... ქვეითი ბრიგადის ...ის ...ის მეთაურმა მიმართა ...ის მე-... ქვეითი ბრიგადის მეთაურს ზემდგომ ხელმძღვანელობას შუამდგომლობით გ. ბ-ის საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის გამო დათხოვნასთან დაკავშირებით, 2012 წლის 2 აპრილიდან. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 10.05.2012 წ. №1169 ბრძანებით, ...ის სარდლის მ/შ-ის 21.04.2012წ. №4971 შუამდგომლობის საფუძველზე, გ. ბ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილი იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, 2012 წლის 2 აპრილიდან, ზღვრული ასაკის მიღწევის გამო. გ. ბ-ეს ზღვრული ასაკი შეუსრულდა 02.04.2012 წ., რის გამო მეთაურის 01.04.2012წ. №64 ბრძანებით მოხსნილი იქნა ყველა სახის კმაყოფიდან. ამის შემდეგ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ამორიცხვამდე (2012 წლის 10 მაისი) გ. ბ-ე სამხედრო ნაწილში აღარ იმყოფებოდა და არც რაიმე სახის დავალებებს ასრულებდა. 2012 წლის №3 საშვებულებო უწყისის თანახმად, გ. ბ-ეს გამოუყენებელი შვებულების 25 დღის თანხა – 734 ლარი მიღებული აქვს. გ. ბ-ე ...წ. გარდაიცვალა, მის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობა 27.01.2016წ. ვაიცა გ. ბ-ის მეუღლის – ლ. მ-ის სახელზე, რომელმაც 2016წ. სექტემბერსა და ოქტომბერში განცხადებები წარადგინა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 04.11.2016წ. წერილით ლ. მ-ს ეცნობა, რომ მისი მოთხოვნა წარმოადგენდა სასამართლო დავის საგანს და სამინისტრო მოკლებული იყო მისი მოთხოვნის განხილვის შესაძლებლობას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ მე-9 თავის მე-12 პუნქტითა და „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.5 მუხლით დადგენილია ოჯახური მდგომარეობის გამო ან სხვა მიზეზით სამხედრო მოსამსახურისათვის 10 დღემდე ვადით მოკლევადიანი შვებულების მიცემის შესაძლებლობა, მოკლევადიანი შვებულება მორიგი შვებულების ანგარიშში არ ჩაითვლება. ამდენად, კანონმდებელი ერთმანეთისგან განასხვავებს სამხედრო მოსამსახურეების კუთვნილ შვებულებას და მოკლევადიან შვებულებას, რომელიც მორიგი შვებულების ანგარიშში არ ჩაითვლება. საქმეში დაცული სამხედრო ნაწილი №...-ის მეთაურის 18.02.2012 წ. №33 ბრძანებით გ. ბ-ე გაშვებულ იქნა მოკ-

ლევადიან შვებულებში 2012 წლის 18 თებერვლიდან 23 თებერვლამდე. ამდენად, 2012 წლის თებერვალში გ. ბ-ე იმყოფებოდა მოკლევადიან შვებულებში და არა კუთვნილ, მორიგ შვებულებში, რის შესახებაც ბრძანებაში პირდაპირ არის მითითებული. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა სამინისტროს მითითება იმ გარემოებაზე, რომ გ. ბ-ემ 2012 წელს ისარგებლა კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებიდან 5 დღით.

საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ მე-9 თავის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ოფიცერი სამხედრო სამსახურიდან შეიძლება დაითხოვონ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონებით დადგენილ შემთხვევებში, მხოლოდ ხელქვეითობის წესით, ზღვრული ასაკის მიღწევისას. ამავე თავის მე-6 პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურიდან დასათხოვ ოფიცერს ზღვრული ასაკის, ავადმყოფობის გამო, რეორგანიზაციასთან და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით დათხოვნის წინ ეძლევა კუთვნილი შვებულება, რის შემდეგაც იგი იგზავნება სამხედრო-საექიმო კომისიაზე სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის დასადგენად, ხოლო მე-8 პუნქტის მიხედვით, ოფიცერს და საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში ეძლევათ მორიგი კუთვნილი შვებულებები შემდეგი ხანგრძლივობით: ა) რომელმაც იმსახურა სამხედრო ძალებში 10 კალენდარულ წელზე ნაკლები – 30 დღე; ბ) რომელმაც იმსახურა სამხედრო ძალებში 10 კალენდარულ წელს და მეტ ხანს – 45 დღე. სასამართლომ დადგინოდად მიიჩნია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2012 წლის 2 აპრილიდან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო გ. ბ-ის დათხოვნასთან დაკავშირებით უფლებამოსილი პირების მიერ ზემდგომ პირებთან შუამდგომლობებით მიმართვა დაიწყო 2012 წლის 5 აპრილს და საბოლოოდ, დასრულდა 17.05.2012წ. ბრძანების გამოცემით 2012 წლის 2 აპრილიდან გ. ბ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. კანონის იმპერატიული დათქმის მიუხედავად, დათხოვნის წინ გ. ბ-ეს კუთვნილი შვებულება არ მისცემია. „ფასიანი შვებულების შესახებ“ 04.06.1936წ. კონვენციის (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 22.02.1995წ. დადგენილებით) მე-5 მუხლი ერთმნიშვნელოვნად კრძალავს მონაწილე სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი წესებისა და კანონების არსებობას, რომლითაც დასაქმებულმა შესაძლოა დაკარგოს ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება. კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, პირი,

რომელიც გათავისუფლებულია მენარმის მიზეზით, მაგრამ ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის ამ კონვენციის შესაბამისად იღებს გათვალისწინებულ ჯილდოს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 10.12.1948წ. „აღამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (საქართველოში ძალშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 15.09.1991წ. დადგენილებით) 24-ე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება. ამდენად, დამსაქმებლის ინიციატივით გათავისუფლებისას დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს იმ წელს გამოიყენებელი საშვებულებო კომპენსაცია, რადგან დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ურთიერთობის შეწყვეტით დასაქმებულს არ შეიძლება წაერთვას შვებულების უფლება, რომელსაც იგი სავარაუდოდ გამოიყენებდა (სუსგ 26.03.2010წ. №ას-836-1122). სასამართლომ მიუთითა, რომ გათავისუფლებისას გ. ბ-ეს 2012 წლის კუთვნილი გამოიყენებელი შვებულება აუნაზღაურდა 734 ლარის ოდენობით, რაც სამინისტროს მოსაზრებით შეადგენდა 25 დღის თანხას იმ დასაბუთებით, რომ გ. ბ-ეს უფლება ჰქონდა კალენდარული წლის განმავლობაში ესარგებლა 30-დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით, საიდანაც 5 დღე 2012 წლის თებერვალში გამოიყენა, ამდენად, დარჩა ანაზღაურებელი 25 დღე, რაც ანაზღაურდა. სასამართლომ სამინისტროს მოსაზრება არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ მე-9 თავის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ვინაიდან გ. ბ-ეს საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ნამსახურობის წლები აღემატებოდა 10 წელს, 2012 წლის მორიგი შვებულება ეკუთვნოდა 45 დღე და არა 30 დღე. მართალია, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 11.3 მუხლით სამხედრო მოსამსახურის ყოველწლიური კუთვნილი შვებულების ოდენობად მითითებულია 30 კალენდარული დღე, თუმცა საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულება“ ახდენს სამხედრო მოსამსახურეების დიფერენცირებას სტატუსისა და ნამსახურობის წლების მიხედვით, რის გამო სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა ამ უკანასკნელ რეგულაციას და მიიჩნია, რომ სწორედ მისი გამოყენება უნდა მომხდარიყო განსახილველი შემთხვევის გადაწყვეტისას. ამდენად, ნამსახურების სტატუსის გათვალისწინებით გ. ბ-ის კუთვნილი შვებულების ხანგრძლივობა შეადგენდა 45 დღეს, თუმცა 2012 წელს მას მორიგი ანაზღაურებადი შვებულებით არ უსარგებლია. სასამართლოს მოსაზრებით, სამინისტრომ არ შეასრულა კანონის დანაწესი გ. ბ-ის გათავისუფლებამდე მისთვის 45-დღიანი კუთვნილი შვებულების

მიცემის შესახებ, რის გამო წარმოიშვა სამინისტროსათვის გამოუყენებელი შვებულების დღეების თანხის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი. საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ის ... სარდლობის მე-.....ქვეითი ბრიგადის 06.06.2017 წ. ცნობის თანახმად, გ. ბ-ის ხელფასი შეადგენდა 1176 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ გ. ბ-ეს 2012 წლის შვებულებით არ უსარგებლია, ამასთან, მას ეკუთვნოდა 45-დღიანი შვებულება, შესაბამისად, ხელფასის თანხა უნდა გაიყოს 1 თვეზე ანუ 30 დღეზე და გამრავლდეს გამოუყენებელი შვებულების დღეებზე ანუ 45 დღეზე (1176/30*45).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.10.17წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.02.18წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.02.18წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

კასატორმა აღნიშნა, რომ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 11.4 მუხლის თანახმად, სამხედრო სამსახურის გავლისას სამხედრო მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით. ამასთანავე, ოჯახური მდგომარეობის ან სხვა მიზეზით სამხედრო მოსამსახურეს შეიძლება მიეცეს მოკლევადიანი შვებულება 10 დღემდე ვადით, რომელიც არ ითვლება მორიგი შვებულების ანგარიშში. ამდენად, კასატორი თვლის, რომ გ. ბ-ის კუთვნილი შვებულების ხანგრძლივობა იყო 30 და არა 45 დღე, რადგან 45-დღიანი შვებულების მიცემის შესაძლებლობაზე მითითება ხდება საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებულ „დებულებაში“, რომელიც „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის შესაბამისად იერარქიულად საქართველოს კანონზე დაბლა დგას. კასატორმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ გ. ბ-ეს 2012 წლის შვებულებიდან ნასარგებლები აქვს 5 დღით. მოკლევადიანი შვებულება გაიცემა ოჯახური მდგომარეობის გამო, რასაც ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, აღნიშნული 5-დღიანი შვებულება არ წარმოადგენდა მოკლევადიან შვებულებას. კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12.04.2019წ. განჩინების გაუქმებას და მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის

დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე უდავოდ დადგენილად არის მიჩნეული, რომ მოსარჩელის – ლ. მ-ის მეუღლე გ. ბ-ე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, საიდანაც გათავისუფლდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 10.05.2012წ. ბრძანებით 2012 წლის 02 აპრილიდან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო. 2012 წლის საანგარიშო პერიოდში გ. ბ-ემ ისარგებლა კუთვნილი შვებულების 5 დღით, ხოლო 25 დღის გამოუყენებელი შვებულების თანხა, ჯამში – 734 ლარი მიღებული აქვს 2012 წლის №3 საშვებულებო უწყისით. ...ნ. გ. ბ-ე გარდაიცვალა, ნ. მის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონაშობა გაიცა მეუღლის – ლ. მ-ის სახელზე. 2016 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში ლ. მ-მა განცხადებებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მისი ოჯახისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის, მათ შორის, გ. ბ-ის მიერ 2012 წლის შვებულების გამოუყენებელი დღეების ანაზღაურების მოთხოვნით. სამინისტროს მიერ განცხადებების განხილვაზე უარის თქმის შემდგომ – 02.10.2017წ. ლ. მ-მა სარჩელი წარადგინა სასამართლოში და სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ მოითხოვა მეუღლის გ. ბ-ის 2012 წლის გამოუყენებელი შვებულების დღეების თანხის – 1030 ლარის ანაზღაურება. საქმის მასალებით არ დასტურდება გ. ბ-ის მიერ 2012 წლის შვებულების გამოუყენებელი დღეების ანაზღაურების მიღებიდან გარდაცვალებამდე სათანადო წესით რაიმე სახის, სამართლებრივად მნიშვნელობის მქონე პრეტენზიის განცხადება მიღებული თანხის ოდენობასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის თვალსაზრისით რიგ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დროს. დრო იწვევს სამართლებრივი სინამდვილის ტრანსფორმაციას, უფლების წარმოშობას, შეწყვეტას, უფლების სუბიექტის შეცვლას. მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას (საქართველოს საკონ-

სტიტუციო სასამართლოს 30.04.2003წ. №1/3/161 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოლა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III). ვადა დასაწყისითა და დასრულების მომენტით შემოფარგლული განსაზღვრული ან განსაზღვრებადი დროის შუალედია, იგი უთითებს სამართლებრივად მნიშვნელოვან დროის პერიოდზე, რომლის ფარგლებში სამართლებრივი შედეგის წარმომშობი რაიმე ქმედება ან ნების გამოვლენა უნდა განხორციელდეს. დავის გადაწყვეტის მიზნებისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ვადებს შორის ერთ-ერთი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა. გონივრული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების არსებობა უფლების რეალიზაციის აუცილებელი წინაპირობაა, განსაზღვრული დროის გავლის შემდეგ სამართლებრივი სტაბილურობის მოთხოვნა მომეტებულად დაცვის ღირსია (სუსგ 21.06.2022წ. №ას-34-2022, 172 პ.).

მართალია დავის სასამართლოს მიერ განხილვის ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ ასპექტს შეადგენს, თუმცა მას არ აქვს აბსოლუტური ხასიათი და სათანადო შეზღუდვებს ექვემდებარება, რადგან აღნიშნული უფლება თავისი ბუნებით სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირებას გულისხმობს (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 22.10.1996წ. №22083/93; №22095/93 გადაწყვეტილება საქმეზე „Stubbings and others v. the United Kingdom“). სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების ნორმატიულად დადგენა ემსახურება სამართლებრივი განსაზღვრულობის ლეგიტიმურ მიზანს, მათი მეშვეობით ერთი მხრივ ხდება პოტენციური მოპასუხეების დაცვა ვადაგასული მოთხოვნებისგან, ხოლო მეორე მხრივ ხდება სასამართლოს გათავისუფლება ისეთ სასარჩელო მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებისაგან, რომელიც ეფუძნება დროის ფაქტორის გათვალისწინებით არასრულად და ნაკლებ განსაზღვრულად ქცეულ მტკიცებულებებს (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 07.07.2009წ. №1062/07 გადაწყვეტილება საქმეზე „Stagno v. Belgium“). სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება კანონმდებლობის მიერ დადგენილი ზღვრული ვადები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება. სწორედ სასამართლოსათვის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გაადვილების, ვალდებულების შესრულებაზე კონტროლის, მოვალის დაცვის და ბრუნვის მონაწილეთა აქტიურობის სტიმულირების მიზნით კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს. ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობა-

ში უფლებადარღვეულ პირს თავისი უფლების იძულებით განხორციელების ან დაცვის შესაძლებლობა ეძლევა (სუსგ 07.12.2020წ. №ბს-326(კ-19)). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელზე უფლება ორ ნაწილს მოიცავს: სარჩელის აღძვრისა და სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. ვინაიდან სასარჩელო ხანდაზმულობა დარღვეული უფლების იძულებითი განხორციელების ვადაა, ის უკავშირდება სწორედ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას, რის გამო ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს მემკვიდრეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არსებობის მიუხედავად სასამართლო წესით ამ მოთხოვნის იძულებითი განხორციელება არ ხდება (სუსგ 21.06.2022წ. №ას-34-2022, 177, 179 პ.). თავისი ბუნებით ვადა იურიდიული ფაქტია, რომლის დადგომა ან გასვლა იწვევს უფლებისა და ვალდებულების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. სასამართლოსთვის ხანდაზმულობის ვადის გაცდენით მიმართვა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური თვალსაზრისით და ქმნის სარჩელის უარყოფის საფუძველს (სუსგ 13.09.2021წ. №ბს-1320(კ-19)).

ხანდაზმულობის ვადის ხანგრძლივობა დამოკიდებულია პირის მოთხოვნის შინაარსსა და სამართლებრივ ბუნებაზე. კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ზოგად და სპეციალურ ვადებს. ხანდაზმულობის სპეციალური ვადის განსაზღვრა და კონკრეტულ მოთხოვნებზე მისი გავრცელების გამორიცხვა ნორმატიულად ხორციელდება. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას შეადგენს გამოუყენებელი შვებულების დღეების ანაზღაურება. არსებულ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტა მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების გარკვევას საჭიროებს. უკეთუ მოთხოვნილ თანხას თანამდებობრივ სარგოდ მოვიაზრებთ, იმის გათვალისწინებით, რომ გ. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლება და თანხის ანაზღაურება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის მოქმედების პირობებში მოხდა, რომლის 134¹ მუხლი სახელფასო დავალიანების კანონისმიერ აღიარებად იყო მიჩნეული (სუსგ 07.12.2020წ. №ბს-326(კ-19)), შესაძლოა განსახილველი სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დასაქმების პერიოდში – სამსახურში მიღების მომენტიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე, მათ შორის, შვებულებით სარგელობის პერიოდში, პი-

რი იღებს შესაბამის თანამდებობრივ სარგოს. შვებულების დროს პირის სამსახურებრივი უფლებამოსილება ჩერდება, თუმცა მას შესაბამისი თანამდებობრივი სარგო უნარჩუნდება. დასაქმებულის უფლება ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით რეალიზდება დამსაქმებლის ვალდებულებით უზრუნველყოს დასაქმებულის ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა. ამდენად, შრომითი ურთერთობის არსებობისას გამოყენებული საშვებულებო დღეების ანაზღაურება შრომის ანაზღაურების დეფინიციაში ექცევა, თუმცა ვითარება იცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც შრომითი ურთერთობა შეწყვეტილია, პირი სამსახურიდან გათავისუფლებულია და მოთხოვნილია იმ შვებულების დღეების ანაზღაურება, რომლის გამოყენებაც დასაქმების პერიოდში მოსამსახურის მიერ ვერ განხორციელდა. ასეთ შემთხვევაში, სათანადო ნორმატიული წინაპირობების არსებობისას, გათავისუფლებული პირი კვლავ იღებს შვებულების დღეების ანაზღაურებას, რომელიც რაოდენობრივად დასაქმების პერიოდში მიღებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობას ემთხვევა, მაგრამ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სრულად იცვლება გასაცემი თანხის სამართლებრივი ბუნება. გამოუყენებელი შვებულების დღეების ანაზღაურებას ასეთ შემთხვევაში საკომპენსაციო დანიშნულება აქვს, სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ ამ თანხის გაცემით დამსაქმებელი ახდენს არა თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურებას, რომელიც იგულისხმება, რომ დასაქმების სრული პერიოდის განმავლობაში პირს უკვე მიღებული აქვს, არამედ გასაცემს ერთგვარ კომპენსაციას შრომითი ურთერთობის დამსაქმებლის მიერ შეწყვეტის შედეგად დასაქმებულის მხრიდან შვებულების გამოყენების შესაძლებლობის მოსპობის სანაცვლოდ. სწორედ დამსაქმებლის მიერ პირის გათავისუფლების შესახებ ნების გამოვლენა გამორიცხავს დასაქმებულის მიერ მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობას, რაც განაპირობებს დამსაქმებლის მიერ გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების ვალდებულებას. ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება წარმოადგენს დასაქმებულის დასვენების დროს, რომელიც ეძლევა დასაქმებულს ყოველწლიურად სამუშაო ადგილისა და ხელფასის შენარჩუნებით, დასაქმების პერიოდში შვებულების გამოუყენებლობის შემთხვევაში დასაქმებული ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და იღებს შესაბამის ანაზღაურებას, ამიტომ დასაქმების პერიოდში წლის მანძილზე გამოუყენებელი შვებულების ფულადი ანაზღაურებით შეცვლა არ ხდება, თუმცა ვინაიდან დათხოვნილი მუშაკისათვის შვებულების მიცემა უკვე შეუძლებელია, ხდება გამოუყენებელი შვებულებისათ-

ვის კომპენსაციის ანაზღაურება. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ გამოუყენებელი შვებულების დღეების ანაზღაურების თანხა არ ექცევა შრომის ანაზღაურების დეფინიციაში და საკომპენსაციო თანხას შეადგენს, რის გამო გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხასთან მიმართებით არ ვრცელდება შრომის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით არსებული სპეციფიური წესი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების მოთხოვნაზე ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა (მაგ.: სუსგ 06.11.2020წ. №ბს-172(კ-20), 04.03.2021წ. №ბს-1334(კ-19) და სხვ.), ვინაიდან თანხის ანაზღაურებით ხდება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების – ანაზღაურებადი შვებულების გაცემის ჩანაცვლება, შვებულების დღეებით სარგებლობის ნაცვლად, პირს ეძლევა შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. დასაქმებულისათვის ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლება ყოველწლიურად ენიჭება, შრომითი ურთიერთობის სამართლებრივი ბუნება არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოთხოვნის უფლების მქონე პირმა – დასაქმებულმა ერთიანად, წინსწრებით მოითხოვოს დამსაქმებლისგან მომავალში შესასრულებელი ვალდებულებების – ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების გაცემის, შესრულება. ანაზღაურებადი შვებულების გაცემა ყოველწლიურად განმეორებად შესრულებაში გამოიხატება, ეს ვალდებულება დროის სხვადასხვა მონაკვეთში რეგულარულად თავიდან წარმოიშობა და ამდენად, ერთმნიშვნელოვნად პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას შეადგენს. გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება შვებულების გამოუყენებლობით დამდგარ შედეგს აკომპენსირებს და ამდენად, ანაცვლებს შვებულების მოთხოვნის უფლებას, რის გამო გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე სწორედ სკ-ის 129.2 მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადა სამართალურთიერთობის დროში ორგანიზების საშუალებაა და დროის კონკრეტულ მონაკვეთს აღნიშნავს, რომლის ფარგლებში მოთხოვნის უფლების მქონე პირი შეუზღუდავად სარგებლობს თავისი უფლებით, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კი კრედიტორი კარგავს თავისი მოთხოვნის იძულებით დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამდენად, მნიშვნელოვანია ხანდაზმულობის ვადის დენის

დასაწყისისა და დასრულების მომენტის ზუსტი განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის წარმოშობის საფუძველია უფლების დარღვევა, თუმცა ხანდაზმულობის ვადის დენის დანყება უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს, ანუ იმ მომენტს, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლებების დარღვევის შესახებ (სკ-ის 130-ე მუხ.). საერთო წესის თანახმად, ივარაუდება, რომ დაზარალებულმა უფლების დარღვევისთანავე შეიტყო დამდგარი ზიანის შესახებ. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს, რადგან სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას (სუსგ 11.05.2016წ. №ბზ-710-702(2კ-15)). განსახილველ შემთხვევაში საქმეზე უდავოდ დადგენილ გარემოებად არის მიჩნეული, რომ 2012 წლის გამოუყენებელი შვებულების თანხა – 734 ლარი გ. ბ-ეს მიღებული აქვს 2012 წლის №3 საშვებულებო უწყისით. ამასთანავე, საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ გ. ბ-ემ თანხის მიღებისთანავე ან შემდგომ პერიოდში, მის გარდაცვალებამდე, სადავო გახადა მიღებული თანხის ოდენობა. საქმეში დაცულ №3 საშვებულებო უწყისზე მის თარიღად მითითებულია 2012 წლის მაისი. ამასთანავე, ლ. მ-ის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში 2016 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში წარდგენილ განცხადებებში ლ. მ-ი ადასტურებს, რომ მისმა მეუღლემ გ. ბ-ემ 2012 წლის მაისში დაასრულა სამხედრო სამსახური, მასთან განხორციელდა საბოლოო ანგარიშსწორება და 2012 წლის მაისის №3 უწყისით აუნაზღაურდა 2012 წლის შვებულების გამოუყენებელი დღეების თანხა – 734 ლარი. მართალია, საბოლოო ანგარიშსწორებაზე მითითება ხდება იმ კონტექსტში, რომ ანგარიშსწორება განხორციელდა 2012 წლის აპრილის და არა მაისის მდგომარეობით, თუმცა განმსაზღვრელია ის, რომ ლ. მ-ი ადასტურებს საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებას და 2012 წლის მაისის №3 უწყისით გ. ბ-ისათვის 2012 წლის შვებულების გამოუყენებელი დღეების თანხის – 734 ლარის ანაზღაურებას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ლ. მ-ის განცხადებებში, სარჩელში, სააპელაციო თუ საკასაციო შესაგებლებში არ ხდება მითითება იმ გარემოებაზე, რომ გ. ბ-ეს შვებულების გამოუყენებელი დღეების თანხა არა 2012 წლის მაისში, არამედ მოგვიანებით აუნაზღაურდა. ამასთანავე, მსგავსი განმარტების გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა საქმეში დაცული რომელიმე მტკიცებულება, რის გამო, საქმის მასალებისა და ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც სავალდებულოდ ითვლება საკასა-

ციო სასამართლოსთვის, ვინაიდან წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (სსკ-ის 407.2 მუხ.), საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ გ. ბ-ეს 2012 წლის გამოუყენებელი შვებულების დღეების ანაზღაურება მიეცა 2012 წლის მაისში, თანხის კონკრეტული ოდენობა გ. ბ-ის მიერ სათანადო წესით სადავო არ გამხდარა იმის მიუხედავად, რომ 2012 წლის მაისში მას ჰქონდა ინფორმაცია მიღებული თანხის ოდენობის და ანაზღაურების გაცემაზე ვალდებული სუბიექტის შესახებ. ამდენად, სამსახურიდან გათავისუფლების და საშვებულებო კომპენსაციის მიღების შემდეგ, გ. ბ-ეს წარმოეშვა მოთხოვნის უფლება სადავოდ გაეხადა ანგარიშსწორების ხარვეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გ. ბ-ის აღნიშნული მოთხოვნის რეალიზება ექცეოდა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ფარგლებში, რომლის დენაც გ. ბ-ისათვის საშვებულებო კომპენსაციის ანაზღაურების მომენტიდან დაიწყო.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საშვებულებო უწყისზე 2012 წლის მაისის კონკრეტული დღის მიუთითებლობა არ ქმნის ხანდაზმულობის ვადის ათვისების დამაბრკოლებელ გარემოებას, რადგან №3 უწყისზე აღნიშნულია საშვებულებო კომპენსაციის ანაზღაურების წელი და თვე, რაც უთითებს იმ გარემოებაზე, რომ გ. ბ-ესთან ანგარიშსწორება განხორციელდა მისი გათავისუფლებიდან – 10 მაისიდან 01 ივნისამდე პერიოდში, ყველაზე გვიან გ. ბ-ესთვის საშვებულებო თანხის ანაზღაურება შეიძლება მომხდარიყო 2012 წლის მაისის ბოლო დღეს. შესაბამისად, გ. ბ-ეს მოთხოვნის უფლება შესაძლოა წარმოშობილიყო 2012 წლის 11 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდში, რომლის მომდევნო დღიდან დაიწყებოდა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ათვლა (სკ-ის 122-ე მუხ.). სკ-ის 123-ე მუხლის თანახმად, ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, – მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს. ამდენად, ვინაიდან გ. ბ-ეს გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა მაქსიმუმ 2012 წლის 01 ივნისიდან, ხოლო აღნიშნულ მოთხოვნაზე 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება, ხანდაზმულობის ვადის დენა გაგრძელდებოდა 2015 წლის 01 ივნისამდე, თუმცა სარჩელი აღიძრა 2017 წლის ოქტომბერში, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის დარღვევით. აღნიშნულის მიუხედავად სარჩელის ხანდაზმულობა შესაძლოა გამოირიცხოს, რადგან ხანდაზმულობის ვადის ამონურვამდე – ...წ. მოთხოვნის უფლების მქონე პირი – გ. ბ-ე გარ-

დაიცვალა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის გარკვევისას, შეფასებას საჭიროებს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლების არსებობა. როგორც ნესი, ხანდაზმულობის ვადის დენა ჩვეულებრივ მიმდინარეობს და მისი ამონუშრვის თარიღი მისი ათვლის მომენტიდან კონკრეტულად განსაზღვრული პერიოდის გასვლის კალენდარულ თარიღს ემთხვევა, თუმცა არის გარემოებები, რომელთა დადგომა ხანდაზმულობის ვადის დენის შემაფერხებელ ნორმატიულ საფუძვლებს ქმნის. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ერთ-ერთი კანონისმიერი წინაპირობაა განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალის არსებობა, რაც სარჩელის წარდგენას აბრკოლებს (სკ-ის 132-ე მუხ. „ბ“ ქვ.პ.). საკასაციო პალატა თვლის, რომ სკ-ის 132-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალის“ ცნებაში მოაზრებულ უნდა იქნეს არა მხოლოდ სტიქიური თუ საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც არღვევენ ...ის, სასამართლოსა თუ სხვა ორგანოების ნორმალური ფუნქციონირების რეჟიმს, არამედ აგრეთვე მოთხოვნის უფლების მქონე პირის გარდაცვალებაც, რადგან სახეზეა წინასწარ გაუთვალისწინებელი, შეუქცევადი და აუცდენელი გარემოების არსებობა, რაც ობიექტურად ქმნის სარჩელის წარდგენის დამაბრკოლებელ პირობას. ამდენად, ზოგადად კრედიტორის გარდაცვალება შესაძლებელია გახდეს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძველი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირის გარდაცვალება იმთავითვე არ ადასტურებს სამართალურთიერთობიდან გამომდინარე არსებული მოთხოვნის უფლების გაუქმებას. გარდაცვლილი პირის ქონება, რომელიც მათ შორის, მოთხოვნის უფლებებსაც მოიცავს შესაძლოა გადავიდეს მამკვიდრებლის კანონით ან/და ანდერძით მემკვიდრეებზე (სკ-ის 1306-ე მუხ.), რის შედეგად მოთხოვნის უფლებასთან მიმართებით მემკვიდრე მამკვიდრებლის ჩანაცვლებას უზრუნველყოფს. მატერიალური სამართალი ითვალისწინებს ორი სახის უფლებამონაცვლეობას: უნივერსალურს ანუ ზოგად უფლებამონაცვლეობას, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მისი წინამორბედის ყველა უფლება-მოვალეობა და სინგულარულ (კერძო) უფლებამონაცვლეობას, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მხოლოდ ცალკეული უფლება-მოვალეობანი. მემკვიდრეობა უნივერსალურ უფლებამონაცვლეობას ადასტურებს, რადგან ამ დროს მემკვიდრეზე გადადის უფლებრივი წინამორბედის – მამკვიდრებლის სრული ქონებრივი უფლება-მოვალეობანი, გარდა იმ უფლება-მოვალეობებისა, რომელთან მიმართებითაც,

კონკრეტული სამართალურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა. პირის გარდაცვალებით ფაქტობრივად წყდება ყველა ის ურთიერთობა, რომელიც მას აკავშირებდა სხვა პირებთან და ქონებასთან, მაგრამ თავად სამართალურთიერთობა და ქონება აგრძელებს არსებობას. უკეთუ უფლებამონაცვლეობა სამართალურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე დასაშვებია, გარდაცვლილი პირის ნაცვლად ურთიერთობაში ჩნდება მისი უფლებამონაცვლე, რომელიც ანაცვლებს მამკვიდრებელს. მამკვიდრებლის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები მემკვიდრეზე გადადის სრულად და უცვლელად, ისეთივე მდგომარეობაში და იმავე სახით, როგორც ეს მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე იყო. სწორედ ამიტომ, კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას და არა შეწყვეტას. მემკვიდრეობა არ ქმნის მოთხოვნის ახალ უფლებას, ხდება მხოლოდ მოთხოვნის სუბიექტის ჩანაცვლება, რის გამო მამკვიდრებლის სიცოცხლეში აღნიშნულ უფლებასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებები (მათ შორის უმოქმედობა) ძალას ინარჩუნებს და შესაბამის იურიდიულ შედეგს წარმოშობს. უფლების მატარებელი პირის გარდაცვალება არ ქმნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ნორმატიულ საფუძველს, ხანდაზმულობის ვადის ხელახლა ათვლა კი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისას ხორციელდება (სკ-ის 141-ე მუხ.). ამდენად, პირის გარდაცვალება, სკ-ის 132-ე მუხლის გათვალისწინებით, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ზოგად საფუძველს წარმოშობს, თუმცა ხანდაზმულობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩერდება, თუ კრედიტორის გარდაცვალება ხდება ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში (სკ-ის 136.1 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში გ. ბ-ის მოთხოვნის უფლების წარმოშობიდან მის გარდაცვალებამდე გასული იყო სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადიდან დაახლოებით ორი წელი, შესაბამისად, ვადის ამონურვამდე დარჩენილი იყო დაახლოებით 1-წლიანი პერიოდი, ამდენად, უდავოა, რომ სარჩელის წარდგენის დამაბრკოლებელი გარემოება არ წარმოშობილა ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში. თუმცა თუ შემაჩერებელი გარემოება წარმოიშვა ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვს თვემდე, მაგრამ განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაშიც, ხანდაზმულობის დენა მაინც შეჩერდება ვადის ბოლო ექვსი თვის დაწყებისთანავე (სკ-ის 136-ე მუხ.). ამდენად, შეფასებას საჭიროებს არა მხოლოდ სარჩელის წარდგენის დამაბრკოლებელი გარემოების წარმოშობის, არამედ მისი აღმოფხვრის – სარჩელის წარდგენის ობიექტური შესაძლებლობის აღდგენის მომენტიც, რადგან სარ-

ჩელის წარდგენის დამაბრკოლებელი გარემოების აღმოფხვრის მომენტი (მოცემულ შემთხვევაში – სამკვიდროს მიღების დრო) შესაძლოა განმსაზღვრელი იყოს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საკითხის დადგენისას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ გარემოებების შეწყვეტის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას, ხანდაზმულობა 6 თვემდე გრძელდება, უკეთუ ხანდაზმულობის ვადის ამონურვამდე 6 თვეზე ნაკლები პერიოდი იყო დარჩენილი (სკ-ის 136-ე მუხ.).

სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას არ ადასტურებს ის გარემოება, რომ გ. ბ-ის სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მონაწილეობა 27.01.2016წ. გაიცა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამკვიდროს მიღება შესაძლებელია განხორციელდეს არა მხოლოდ სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით, არამედ აგრეთვე – სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით. ამასთანავე, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი (სკ-ის 1421-ე მუხ. მე-2, მე-3 ნაწ.). სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალებით (სკ-ის 1319-ე მუხ.), სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან (სკ-ის 1424 მუხ.). სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული ან თუ თანახმაა სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე (სკ-ის 1426.1 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში, საქმეში დაცულია გ. ბ-ის სამკვიდრო ქონებაზე ნოტარიუსის მიერ 27.01.2016წ. გაცემული №... სამკვიდრო მონაწილეობა, რომლის თანახმად ლ. მ-მა, როგორც გ. ბ-ის პირველი რიგის კანონისმიერმა მემკვიდრემ – მეუღლემ, მიიღო გ. ბ-ის სამკვიდრო სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით (მე-4 პ.). ამასთანავე სანოტარო აქტი არ შეიცავს რაიმე სახის მითითებას სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადის გაშვების და შემდგომში მისი აღდგენის მიზნით განხორციელებული რაიმე ქმედებების შესახებ. ამდენად, საქმეში საწინააღმდეგო მტკიცებულებების არსებობის პირობებში, სამკვიდრო მონაწილის შინაარსის გათვალისწინებით, ვინაიდან ხაზგასმა ხდება სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით მიღებაზე, მიიჩნევა, რომ ლ. მ-მა სამკვიდრო მიიღო კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში – 2014 წლის 19 ნოემბრამდე (გ. ბ-ის გარდაცვალების თარიღი – ...წ.). ამ დროისათვის გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის მოთხოვნის ხანდაზმულობის საწინააღმდეგო ვადის ამონურვამდე – 2015 წლის 01 ივნისამდე, დარჩენილი იყო ექვს თვეზე მეტი. სკ-ის 136.1 მუხლის მიხედვით, ხანდაზ-

მულობის ვადის დენა ჩერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების განმაპირობებელი გარემოებები წარმოიშვა ან განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში, ამასთანავე, ვადის დენის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დღიდან ვადის დენა განახლდება და ხანდაზმულობის დარჩენილი ვადა 6 თვემდე გაგრძელდება (სკ-ის 136.2 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ვადის დენის დამაბრკოლებელი რაიმე გარემოების არსებობა არ დასტურდება, შესაბამისად, გამოირიცხება ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავდაცვის სამინისტროსათვის (23.09.2016წ., 28.10.2016წ.) და სასამართლოსათვის მოთხოვნის წარდგენა (02.10.2017წ.) მოხდა აგრეთვე სამკვიდრო მონუმობის გაცემიდან ექვს თვიანი ვადის გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაშიც კი თუ მიჩნეული იქნება, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდა ლ. მ-ის სახელზე სამკვიდრო მონუმობის გაცემამდე, მოთხოვნა მაინც ხანდაზმულია, რადგან სარჩელის აღძვრა (02.10.2017წ.) მოხდა ხანდაზმულობის ვადის განახლებიდან – სამკვიდრო მონუმობის გაცემიდან (27.10.2016წ.) 6 თვის გასვლის შემდეგ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან არ დასტურდება ხანდაზმულობის ვადის დენის შემაფერხებელი გარემოებები, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის ნორმატიული საფუძვლების არსებობა, საკასაციო პალატა თვლის, რომ ლ. მ-ის მოთხოვნა ხანდაზმულია, რაც მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს ქმნის.

ზემოხსენებულთან ერთად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის შეფასებას არ აბკოლებს სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითების არარსებობა, რადგან დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები ადმინისტრაციულ პროცესში რიგი თავისებურებებით ხასიათდება. აღნიშნული თავისებურებები თავად სამოქალაქო და ადმინისტრაციული მატერიალური სამართლის არსობრივი სხვაობით არის განპირობებული, რადგან სამოქალაქო პროცესში მოქმედი დისპოზიციურობის პრინციპი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მხარეთა ნების ავტონომიის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს და სათანადო მახასიათებლებსაც შეიცავს, ხოლო ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი დისპოზიციურობის პრინციპი ადმინისტრაციულ მატერიალურ სამართალში მოქმედი პრინციპების გათვალისწინებით გარკვეულ თავისებურებებს ავ-

ლენს. ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი კანონიერების პრინციპის შინაარსიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელის ცნობისა და მორიგების უფლებაც კი არ აქვს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საქართველოს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება (სასკ-ის 3.2 მუხ.). ამასთანავე, სათანადო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში სასამართლოსათვის ადმინისტრაციული ორგანოს ნების კორექტირების შესაძლებლობის მიცემა არ უარყოფს ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედ შეჯიბრებითობის პრინციპს, რომელიც მხარეებს აღჭურავს თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები (სასკ-ის მე-4 მუხ., სსკ-ის 4.1 მუხ.). ადმინისტრაციულ პროცესში, ისევე როგორც სამოქალაქო სასამართლო წარმოებისას მხარეთა აქტიურობას, მათ შორის სარჩელისა თუ შესაგებლის დასაბუთებას, სათანადო ფაქტებზე მითითებას, მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებთან მიმართებით მტკიცებულებების წარდგენას და სხვ., არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა სამოქალაქო პროცესისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში მოსამართლე აღჭურვილია თავისი ინიციატივით დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარდგენის საჭიროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების (სასკ-ის მე-4 მუხ.), საკუთარი ინიციატივით ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების შეგროვების უფლებამოსილებით (სასკ-ის 19.1 მუხ.), იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათზე მხარეებს სასამართლო წარმოების ფარგლებში არ მიუთითებიათ. სამოქალაქო პროცესში მხარეების მიერ შეჯიბრებითობის ფარგლებში წარდგენილი ფაქტები ბოჭავს სასამართლოს, ადმინისტრაციული დავებისგან განსხვავებით, სადაც ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით მოსამართლე ბევრად ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს. ხანდაზმულობის ვადა დროის გარკვეულ პერიოდს მოიცავს, რომლის ათვისების დასაწყისისა და დასრულების მომენტები ფაქტის კატეგორიას განეკუთვნება, რის გამო ადმინისტრაციული დავის განმხილველი სასამართლო, ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარის მითითების მიუხედავად, აღჭურვილია მათი დადგენის უფლებამოსილებით. ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის მიზანია ადმინისტრაციული ორგანოს კანონის საფუძველზე უფლებამოსილების განხორციელებისადმი არსებული საჯარო ინტერესის დაცვა. ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი კანონიერების პრინციპი, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის საჭიროება, დავის სამართლებ-

რივი შედეგის მიმართ არსებული საჯარო ინტერესი (სამოქალაქო დავისგან განსხვავებით ადმინისტრაციული დავა შესაძლოა ერთ პირთან მიმართებით გადაწყდეს, თუმცა განსაზღვროს მსგავს სამართლებრივ მდგომარეობაში მყოფი სხვა არაერთი პირის ბედი), ასევე განაპირობებს ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენების საჭიროებას. გადაწყვეტილების მიღება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცვით წარდგენილ მოთხოვნებთან მიმართებით სწორედ საჯარო ინტერესში ექცევა. ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრის მნიშვნელოვან მიზნებს შორის სახელდება: სამართლებრივი უსაფრთხოების ..., სასამართლოსათვის მიმართვის დროის ფარგლების განსაზღვრა, პოტენციური მოპასუხის დაცვა, სასამართლოს მიერ გარკვეული დროის გასვლის გამო არასრულად ქცეულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღების გამორიცხვა და სხვ. (აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 22.10.1996წ. №22083/93; №22095/93 გადაწყვეტილება საქმეზე „Stubbings and others v. the United Kingdom“). სამართლებრივი უსაფრთხოებისა და განსაზღვრულობის უზრუნველყოფა სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებელს შეადგენს. უფლების მუდმივი საეჭვოობის დაშვება მოსპობს თავად უფლების სიცოცხლისუნარიანობას, ხანდაზმულობის ვადების არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნება გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 05.11.2013წ. №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 27-ე პ.). ხანდაზმულობის ვადების არსებობა სამართალური იეროების მონაწილეებს აძულებს დროულად იზრუნონ საკუთარი უფლებების განხორციელებასა და დაცვაზე, ხოლო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს შედარებით გონივრულ დროში გადაწყვიტოს დავა. ხანდაზმულობის ვადების არსებობა გამორიცხავს პირის შესაძლებლობას მისთვის ხელსაყრელ დროს მიმართოს სასამართლოს (სუსგ 30.10.2014წ. №ბს-312-308(კ-14)). ხანდაზმულობის ვადის გასვლა არა მხოლოდ მოპასუხის იძულებით შესრულებისგან გათავისუფლების წინაპირობაა, არამედ, კანონის ცოდნის პრეზუმფციიდან გამომდინარე, კრედიტორის მიერ თავისი მოთხოვნის იძულებით განხორციელებაზე უარის თქმასაც მოიაზრებს. მართალია, ვალდებულების არსებობისას კრედიტორს აქვს ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური მოლოდინი და ასევე იმის ცოდნა, რომ ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისი მოთხოვნა იძულებით განხორციელდება, თუმცა დაცვის ღირსი არ არის კრედიტო-

რის მოლოდინი განუსაზღვრელად, ნებისმიერ დროს, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესახებ, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება სათანადო ნორმატიულ დასაბუთებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართალური თიერთობებში მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმფცია, რის გამო იგულისხმება, რომ პირმა იცის მოქმედი კანონმდებლობა. კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ან/და ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი (სკ-ის 3.2 მუხ.). აღნიშნული დებულება ზოგადი ხასიათისაა და მას რაიმე მხოლოდ სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური დანიშნულება ან ფუნქცია არ აქვს, რის გამო მისი გამოყენება დაიშვება აგრეთვე ადმინისტრაციულ საქმეებთან მიმართებით. სათანადო წესით გამოქვეყნებული, მოქმედი ნორმის გამოყენება არ არის ადრესატების მიერ მის ცოდნაზე დამოკიდებული (სუსგ 20.12.2019წ. №ბს-638-634(2კ-17)). აღნიშნულის გათვალისწინებით, კრედიტორის მიერ სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დარღვევით წარდგენის ნეგატიური შედეგები სწორედ მისი პასუხისმგებლობის სფეროში ექცევა.

საკასაციო პალატა კვლავ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო წესით უფლების დაცვა და განხორციელება განუყოფლადაა დაკავშირებული ვადების ფაქტორთან, უფლება სამართლიან სასამართლოზე დროში შეზღუდული უფლებაა და მისი განხორციელება დამოკიდებულია კანონმდებლობით დადგენილ ხანდაზმულობის ვადებზე. ხანდაზმულობის ვადის გასვლა აზრს უკარგავს მოთხოვნის საფუძვლიანობას და პირს ართმევს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას (სუსგ 16.05.2019წ. №ბს-590-590(კ-18)). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ლ. მ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო. ამასთანავე, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გათვალისწინებით, აღარ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურ საფუძვლიანობასთან მიმართებით მსჯელობის საჭიროება, თუმცა საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ საქმის მასალების თანახმად, გ. ბ-ის გათავისუფლების საფუძველი იყო ნორმატიულად დადგენილი ზოგადი წესი – ზღვრული ასაკის მიღწევა და არა დამსაქმებლის ინიციატივა, ამდენად, კონკრეტული ასაკის მიღწევისას სამსახურიდან გათავისუფლება გ. ბ-ისთვის მოსალოდნელი და განჭვრეტადი შედეგი იყო, სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის ან ავადმყოფობის გამო დათხოვნა არ საჭიროებს მოსამსახურის გაფრთხილებას დათხოვნის

შესახებ (საქართველოს მთავრობის 18.02.2014წ. №238 დადგენილებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის დებულების“ XVII თავის მე-6 პუნქტი), მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ „სამხედრო სამსახურის დებულების“ X თავის მე-4 პუნქტის თანახმად სამხედრო სამსახურიდან დასათხოვ ოფიცერს ზღვრულ ასაკთან დაკავშირებით დათხოვნის წინ შეიძლება მიეცეს კუთვნილი შვებულება, ამდენად ზღვრული ასაკის გამო დათხოვნის წინ შვებულების აღება არის მოსამსახურის უფლება და არა ვალდებულება, საქმის მასალებით არ დასტურება გ. ბ-ის მიერ კუთვნილი შვებულების მოთხოვნა და ხელმძღვანელობის მიერ ამ მოთხოვნაზე უარის თქმა. გ. ბ-ეს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის სურვილი არ გამოუხატავს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.04.2019წ. განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სხვა სოციალური დავები

საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-475(კ-19)

13 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი

დავის საგანი: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის-
თვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუ-
პულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ნ-ამ 20.06.2017წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სა-
სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ
ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიმართ სსიპ ვე-
ტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 11.05.2017წ. ოქმის,
30.05.2017წ. წერილის ბათილად ცნობის, ბ. ბ-ას (გარდაცვლილი
26.09.1993წ.) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თა-
ვისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ პირად აღი-
არების და მოპასუხისთვის მ. ნ-ას ომში დაღუპულის ოჯახის წევ-
რის სტატუსის მინიჭების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთ-
ხოვნით. სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ მ. ნ-ამ მო-
ითხოვა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვე-
ტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონა-
წილეობისა და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამ-
დგენი კომისიის 11.05.2017წ. №174-26 სხდომის ოქმის, სსიპ ვეტე-
რანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 30.05.2017წ. გადანყვე-
ტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მ. ნ-ასთვის საქარ-
თველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და
დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტა-
ტუსის მინიჭების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაცი-
ულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ რეგისტრირებულ ქორწინებაში იმ-ყოფებოდა 1983 წლიდან, ქორწინებაში შეეძინა ორი შვილი (დაბ.: ...ნ. და ...ნ.). სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 24.02.2014წ. წერილით ირკვევა, რომ ქორწინების აქტის ჩანაწერი დაცულია ადმინისტრაციულ ორგანოში, დღეის მდგომარეობით ქორწინება შეწყვეტილია მოსარჩელის მეუღლის ბ. ბ-ას გარდაცვალების გამო, ამასთანავე, მოსარჩელე სხვა ქორწინებაში არ ყოფილა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1992-1993 წლებში ბ. ბ-ა ირიცხებოდა ქ. სოხუმის სამხედრო კომენდატურის სპეცდანიშნულების ბატალიონის რიგებში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომენდატურის მიერ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში. ბ. ბ-ა დაიღუპა 26.09.1993წ. საბრძოლო დავალების შესრულების დროს სოხუმში, სოფელ ...თან, რაც უტყუარად დასტურდება საბრძოლო მოკვლევითა და ბ. ბ-ას გარდაცვალების მოწმობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.02.2018წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ნ-ა და ბ. ბ-ა 01.11.1983წ. დაქორწინდნენ, რის შესახებაც სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო აქტების ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ფიქსირდება ქორწინების აქტის ჩანაწერი, დღევანდელი მდგომარეობით ქორწინება შეწყვეტილია მეუღლის – ბ. ბ-ას გარდაცვალების გამო, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არ ფიქსირდება მ. ნ-ას მიმართ სხვა რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის ფაქტი. 06.06.1994წ. გაცემული გარდაცვალების მოწმობის თანახმად, ბ. ბ-ა 26.09.1993წ. გარდაიცვალა საბრძოლო დავალების შესრულების დროს, სოხუმის რაიონის სოფელ ...ში. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 13.01.2016წ. ცნობის თანახმად, ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის საარქივო მასალებში ბ. ბ-ას შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. 09.03.2017წ. სანოტარო წესით დამოწმებული საბრძოლო მოკვლევის თანახმად, ქ. სოხუმის სამხედრო კომენდატურის სპეცდანიშნულების ბატალიონის მეთაური გ. მ-ი, ამავე ბატალიონის შტაბის უფროსი მ. გ-ა, ამავე ბატალიონის ოცეულის მეთაური რ. ნ-ა ადასტურებენ, რომ ბ-ა ბ., დაბადებული ...ნ., მცხოვრები ...ის რაიონის სოფელ ...აში, ირიცხებოდა ქ. სოხუმის სამხედრო კომენდატურის რიგებში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომენდატურის მიერ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში, იგი 26.09.1993 წ. დაიღუპა სოფელ ...თან. ამასთანავე, 14.03.2014 წ. სანოტარო წესით დამოწმებული საბრძოლო მოკვლევის მიხედვით, ყოფილი ... ბრიგადის მე-6 სატანკო ბატალიონის ათეულის მეთა-

ურმა დ. შ-ამ, ... ბრიგადის მე-6 სატანკო ბატალიონის სერჟანტმა ვ. კ-ამ და ყოფილი ... ბრიგადის მე-6 სატანკო ბატალიონის რიგითმა პ. ხ-ამ დაადასტურეს, რომ რიგითი ბ. ბ-ა (დაბადებული ... წ., რეგისტრირებული მისამართზე: ...ის რაიონი, სოფელი ...) ნამდვილად იყო ... ბრიგადის მე-6 სატანკო ბატალიონის შემადგენლობაში, ირიცხებოდა რიგითად 1992 წლის 25 სექტემბრიდან 1993 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, რომელსაც აწარმოებდა ბატალიონი, დაიღუპა საბრძოლო დავალების შესრულების დროს – 26.09.1993 წ.. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფოს სამსახურის ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისიის 11.05.2017 წ. №174-26 ოქმით, ბ. ბ-ას მეუღლეს – მ. ნ-ას უარი ეთქვა ბ. ბ-ას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა და საბრძოლო მოქმედებების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენაზე იმ საფუძველით, რომ ვერ დადასტურდა ბ. ბ-ას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტი. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა 30.05.2017 წ. №3060/02-03-14/04-01 წერილით მ. ნ-ას წარმომადგენელს აცნობა, რომ „ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისიის“ წევრთა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, იმის გამო, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ინფორმაცია მ. ნ-ას მეუღლის ბ. ბ-ას საბრძოლო ქვედანაყოფში ჩარიცხვა-ამორიცხვის და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ არ მოიპოვება, ასევე იმის გამო, რომ 11.05.2017 წ. გამართულ კომისიის სხდომაზე პასუხისმგებელმა პირმა ვერ დაადასტურა ბ. ბ-ას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტი, უარი ითქვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დადგენაზე, შესაბამისად მ. ნ-ას მოთხოვნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭების შესახებ არ დაკმაყოფილდა. აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება – აფხაზეთის ა/რ არქივის სამმართველოს 13.12.2017 წ. №528/01-18 წერილობითი ინფორმაციის თანახმად, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის სამსახურის (აფხაზეთის ა/რ ადამიანის უფლებათა

დაცვისა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტი, აფხაზეთის ა/რ სახალხო დამცველის აპარატი) საარქივო ფონდში დაცულია გენოციდის მსხვერპლის სია, სადაც რიგით 487-ე ნომრად შეყვანილია ბ-ა ბ., 31 წლის, მცხოვრები სოფელი ...ში, რომელიც 1993 წლის ნოემბერში დახვრიტეს აფხაზმა მებრძოლებმა, გარდაცვალების თარიღად მითითებულია მხოლოდ ნოემბერი. საქართველოს მთავარი პროკურატურის 24.11.2017წ. №13/75972 წერილობითი ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაშია სისხლის სამართლის №074200116801 საქმე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზი სეპარატისტებისა და მათ მიერ დაქირავებული ბანდების მიერ მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65¹ და 65² მუხლებით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1961 წ. რედაქცია), ხსენებულ საქმეში მოიპოვება აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტის 12.03.2015 წ. წერილი, რომელსაც ერთვის ინფორმაცია (სია) „1992-1998 წლებში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის თაობაზე“. დასახელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ...ის რაიონის სოფელ ...ში მცხოვრები, 31 წლის ბ. ბ-ა 1993 წ. ნოემბერში დახვრიტეს აფხაზმა მებრძოლებმა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით მოწვეულმა მ. გ-ამ განმარტა, რომ იყო ქ. სოხუმის სამხედრო კომენდატურის სპეცდანიშნულების ბატალიონის შტაბის უფროსი, ბ. ბ-ა კომენდატურის ერთ-ერთ ბატალიონში (კომენდატურა სამი ბატალიონისაგან შედგებოდა) ირიცხებოდა 1993 წლის აგვისტოს თვემდე, როდესაც გამოცხადდა, რომ საომარი მოქმედებები დასრულდა, მებრძოლები დაიშალნენ, ხოლო ბ. ბ-ა ამოირიცხა კომენდატურიდან. საომარი მოქმედებების განახლების შემდეგ, მოხალისეებმა დაიწყეს კომენდატურაში დაბრუნება, მათ შორის ბ. ბ-აც დაბრუნდა. გ. გ-ამ აღნიშნა, რომ მისთვის უცნობია ბ. ბ-ას გარდაცვალების ადგილი და გარემოებები, ბ. ბ-ას გარდაცვალების შესახებ მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ. საბრძოლო მოკვლევის შედგენის დროს გაიხსენა, რომ ბ. ბ-ა იყო კომენდატურის შემადგენლობაში (ფოტოს საშუალებით, რომელიც მისმა მეუღლემ წარადგინა), ამიტომ მოაწერა ხელი საბრძოლო მოკვლევას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით მოწვეულმა გ. მ-მა განმარტა, რომ იყო ქ. სოხუმის სამხედრო კომენდატურის სპეცდანიშნულების ბატალიონის მეთაური, ბ. ბ-ა იყო სამხედ-

რო კომენდატურის რიგებში, დაიღუპა 26.09.1993წ. ...ის ტერიტორიაზე, საბრძოლო ვითარებაში რამდენიმე პირთან ერთად. ბ. ბ-ას გარდაცვალების უშუალო შემსწრე თვითონ არ ყოფილა, ვინაიდან იბრძოდა სხვა მიმართულებით. ბ. ბ-ა მსახურობდა სამხედრო კომენდატურაში, ბ. ბ-ა მოხვდა მის ბატალიონში რამდენიმე ბატალიონის გაერთიანების დროს, ის მისი მეთაურობის ქვეშ იმყოფებოდა. ბ. ბ-ა ჩართული იყო საბრძოლო ვითარებაში და გაგზავნილი იყო ...ის მიმართულებით. მონმის განმარტებით, სამხედრო კომენდატურაში შემავალი ბატალიონების შემადგენლობის სიებში, რომელიც წარდგენილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ბ. ბ-ა შეყვანილი არ არის, თუმცა სია არ არის სრულყოფილი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 5.2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 26.08.2016წ. №281 ბრძანებით დამტკიცდა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, მონმობების გაცემის, სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის შესახებ ინსტრუქცია, რომლის მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია, რომ ომში დაღუპული ოჯახის წევრის და მარჩენალდაკარგულის მონმობის მაძიებელმა უნდა წარადგინოს: საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი) და საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის მითითებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან; მეუღლის შემთხვევაში – ქორწინების მონმობა (დედანი და სათანადოდ დამონმებული ასლი) და ცნობა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, რომ არ იმყოფება მეორედ ქორწინებაში; გარდაცვალების მონმობა (დედანი და სათანადოდ დამონმებული ასლი); თუ გარდაცვლილი დაჯილდოებულია სახელმწიფო ჯილდოებით – წარმოდგენილ უნდა იქნეს ჯილდოს მონმობა (დედანი და სათანადოდ დამონმებული ასლი); გარდაცვლილის (დაღუპულის, უგზო-უკვლოდ დაკარგულის) ომში მონაწილეობის დამადასტურე-

ბელი ამავე ინსტრუქციის მე-6 მუხლის „ა-დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საბუთები (დედანი და სათანადოდ დამონმებული ასლი); მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში – შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნა ან ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების მიზეზობრივი კავშირი ომთან ან შესაბამისი უწყების გენერალური ინსპექციის დასკვნა გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით; „ვეტერანების სტატუსის მადიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი კომისიის“ ოქმი – ასეთის არსებობის შემთხვევაში. კომისიამ მ. ნ-ას უარი უთხრა მეუღლის – ბ. ბ-ას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა და საბრძოლო მოქმედებების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენაზე იმ საფუძვლით, რომ ვერ დადასტურდა ბ. ბ-ას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტი. სადავო აქტით მ. ნ-ას მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ინფორმაცია არ მოიპოვება ბ. ბ-ას საბრძოლო ქვედანაყოფში ჩარიცხვა-ამორიცხვის და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ, ამასთანავე 11.05.2017წ. გამართულ კომისიის სხდომაზე პასუხისმგებელმა პირმა ვერ დაადასტურა ბ. ბ-ას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტი. სასამართლომ სსკ-ის 4.1, 102-ე, 103-ე, 105-ე, სასკ-ის მე-17 მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ მოსარჩელემ უნდა დამტკიცოს ის გარემოებები, რომელთაც ემყარება მისი მოთხოვნა, მოპასუხეს კი ევალება იმ გარემოებათა დამტკიცება, რომელთაც ეყრდნობა მისი შესაგებელი, ამასთანავე, სასამართლოსთვის არავითარ მტკიცებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, სასამართლო აფასებს მტკიცებულებას თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. საქმეში დაცული საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 13.01.2016 წ. № MOD 11600034166 წერილის, 09.03.2017წ. სანოტარო წესით დამონმებული საბრძოლო მოკვლევის, სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით მონვეული პირების განმარტებების, 14.03.2014წ. სანოტარო წესით დამონმებული საბრძოლო მოკვლევის შინაარსის, აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტის საქვეუნწყებო დაწესებულება – აფხაზეთის ა/რ არქივის სამმართველოსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილობითი ინფორმაციის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ

არ დასტურდება ბ. ბ-ას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტი, რაც წარმოადგენს მ. ნ-ასათვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს. სასამართლოს შეფასებით, მ. ნ-ას მიერ ადმინისტრაციული ორგანოსთვის თავისი მოთხოვნის საფუძლიანობის დადამტკიცებელი მტკიცებულებები წარდგენილი ვერ იქნა, ხოლო რაც შეეხება საბრძოლო მოკვლევის აქტს, იგი წარმოადგენს ერთ-ერთ და არა ერთადერთ დოკუმენტს, რომლითაც შესაძლოა დადასტურდეს პირის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტი. ამასთანავე, საბრძოლო მოკვლევაზე ხელმოწერი პირები ერთმნიშვნელოვად ვერ ადასტურებენ ბ. ბ-ას საომარ მოქმედებებში მონაწილეობის და ომში დაღუპვის ფაქტებს, განსხვავებულად განმარტავენ სამხედრო კომენდატურაში ბ. ბ-ას ჩარიცხვისა და განევრინების გარემოებებს, არ შესწრებიან მის გარდაცვალებას და აღნიშნულის შესახებ სხვა პირებისგან მიიღეს ინფორმაცია ომის დასრულების შემდეგ. გარდა ამისა, მოსარჩელემ სხვადასხვა დროს, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში წარადგინა ორი საბრძოლო მოკვლევა, რომელთა თანახმად, ერთი და იგივე პერიოდში პირი იმყოფებოდა სხვადასხვა დანაყოფში. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელზე დართული საბრძოლო მოკვლევა არ არის საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობისა და ომში დაღუპვის ფაქტობრივი გარემოების დამტკიცებელი დოკუმენტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.02.2018წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.11.2018წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 21.11.2017 წ. №04/72231 წერილის თანახმად, ბ. ბ-ას 1997 წლის 31 მარტიდან დანიშნული ჰქონდა სახელმწიფო კომპენსაცია, თავდაცვის სამინისტროს ხაზით, მარჩენალი მამის – ბ. ბ-ას გარდაცვალების გამო, რომელიც შეუწყდა 2017 წლის პირველი ოქტომბრიდან, სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო

ლოს 29.10.2018 წ. №447/01-18 წერილის შესაბამისად, არქივის სამმართველოში არ არის დაცული ინფორმაცია, ვინ მიმართა აფხაზეთის ა/რ იუსტიციის სამინისტროს გარდაცვალების მოწმობის ასაღებად. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ აფხაზეთის ა/რ არქივის სამმართველოში დაცულია „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის სამსახურის საარქივო ფონდი №49“, რომელშიც ინახება გენოციდის მსხვერპლის მასალები (ომში დაღუპულთა სია). მოცემულ სიაში ბ. ბ-ასთან დაკავშირებით დაცულია შემდეგი სახის ჩანაწერი – „ბ-ა ბ., 31 წლის, მცხოვრები სოფ. ...ა, 1993 წლის დეკემბერში დახვრიტეს აფხაზმა მეზობლებმა“. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 08.11.2018 წ. №01/347642 წერილის შესაბამისად, სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ბ. ბ-ას სახელზე 06.06.1994 წ. №IV-TE ... გარდაცვალების მოწმობის გაცემის ფაქტი არ ფიქსირდება. ამასთან, №IV-TE ... გარდაცვალების მოწმობაში მითითებული №362 გარდაცვალების აქტის ჩანაწერი რეგისტრირებულია სხვა პირის მიმართ. პალატამ აღნიშნა, რომ მ. ნ-ას განმარტების თანახმად, მეუღლის გარდაცვალების თაობაზე მისთვის ცნობილი იყო 1993 წელსვე, თუმცა 2017 წლამდე არ მიუმართავს ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის ან ბ. ბ-ას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა და საბრძოლო მოქმედებების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დასადაგენად. პალატამ აღნიშნა, რომ არსებული ნორმატიული მოწესრიგების გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება იმ ფაქტის დადასტურებას, რომ მისი მეუღლე დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში. ამასთანავე, პირმა უნდა წარადგინოს სადავო ფაქტის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, აუცილებელია, რომ მოთხოვნა წარდგენილი იქნეს კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დაცვით. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით მიუთითა სკ-ის 128-ე, მუხლზე, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. სკ-ის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სკ-ის 131-ე მუხლის მიხედვით, თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზ-

მულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება. დადგენილია, რომ 1993 წლიდან მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მეუღლის გარდაცვალების ფაქტის და გარდაცვალების მიზეზის თაობაზე. სამართალურთიერთობის წარმოშობა – ბ. ბ-ას საბრძოლო დავალებების შესრულების დროს დაღუპვის ფაქტის დადგენის მიზნით უფლებამოსილი ორგანოსათვის მიმართვა – დამოკიდებული იყო მოსარჩელის მოქმედებაზე. მ. ნ-ამ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფოს სამსახურს ბ. ბ-ას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლები-სა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა და საბრძოლო მოქმედებების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენაზე მიმართა მხოლოდ 2017 წლის აპრილში – 20 ნელზე მეტი დროის გასვლის შემდეგ. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები. ამდენად, მ. ნ-ამ უფლებამოსილ ორგანოს სადავო ფაქტის გამოსაცემად მიმართა მოთხოვნის ხანდაზმულობის ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, რაც სარჩელის ხანდაზმულობას ადასტურებს. პალატამ აღნიშნა, რომ სადავო საკითხის გარშემო ხანდაზმულობის ვადის ათვისების მსგავსი მიდგომა არის დაფიქსირებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.06.2018წ. №ბზ-101-100(კ-17) გადაწყვეტილებაში. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს გაცხადებული მოთხოვნა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მისი იძულებითი აღსრულება. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ კი, მართალია, მოთხოვნა არსებობს, მაგრამ მისი შესრულება მეორე პირის სურვილზე ხდება დამოკიდებული და მოთხოვნის აღსრულების იძულებითი მექანიზმები ვერ იქნება გამოყენებული. კონკრეტულ შემთხვევაში მოთხოვნის ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა გასულია, რაც, მართალია, არ ართმევს პირს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, მაგრამ წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.11.2018წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა მ. ნ-ას მიერ.

კასატორი მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით, მხარეთა ახსნა-განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებებით უტყუარად დადასტურდა ბ. ბ-ას მონაწილეობა საომარ მოქმედებებში, რის შედეგადაც გარდაიცვალა. ბ. ბ-ას სახელზე ჯერ კიდევ 1993წ. გაიცა გარდაცვალე-

ბის მოწმობა, სადაც იკითხება, რომ ბ. ბ-ა გარდაიცვალა საბრძოლო დავალებების შესრულების დროს, ამასთანავე, მისი შვილები სრულწლოვან ასაკამდე იღებდნენ თავდაცვის სამინისტროს ხაზით მარჩენალდაკარგულის პენსიას, რაც სასამართლომ სრულად უგულებელყო. უცნობია იმ ინფორმაციის წყარო, რომლის თანახმად, ბ. ბ-ა დახვრიტეს 1993წ. ნოემბერში და არის გენოციდის მსხვერპლი. 14.03.2014წ. საბრძოლო მოკვლევის თანახმად, ყოფილი ... ბრიგადის მე-6 ბატალიონის რიგითი მებრძოლები ადასტურებენ, რომ ბ. ბ-ა მათი ბატალიონის რიგებში ირიცხებოდა და 26.09.1993წ. გარდაიცვალა საბრძოლო მოქმედებების შესრულების დროს. ხსენებული მებრძოლები მართალია ბ. ბ-ას იცნობდნენ, უნახავთ საბრძოლო მოქმედებებში, თუმცა მათ მიერ გაკეთებულია განაცხადი, სადაც ახსნილია თუ რამ განაპირობა საბრძოლო მოკვლევაზე ხელმოწერა, აღნიშნული მტკიცებულებები სასამართლოს საერთოდ არ შეუფასებია. გასათვალისწინებელია, რომ ხსენებულმა პირებმა დანაყოფის სახელწოდებაც არ იცოდნენ სწორად, რადგან ... ბრიგადა არ არსებობდა, იყო ...-ე ბრიგადა. ომის დროს ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მეომრები სხვა ბატალიონის სიებში იყვნენ შეყვანილნი, თუმცა რეალურად სხვა დანაყოფებთან ერთად იბრძოდნენ, მით უფრო 1993 წლის სექტემბერში, როდესაც შეწყვეტილი საომარი მოქმედებები მოულოდნელად განახლდა. საომარი მოქმედებები 1993 წლის 16 სექტემბერს განახლდა და იმავე წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის დაცემით დასრულდა, წარმოუდგენელია, რომ იმ დროისთვის აფხაზეთში მცხოვრებ 31 წლის კაცს მონაწილეობა არ მიელო საბრძოლო მოქმედებებში. კასატორი აღნიშნავს, რომ ქ. სოხუმის სამხედრო კომენდატურის სპეცდანიშნულების ბატალიონის მეთაურის და ხელმძღვანელი პირების მიერ გაცემულია საბრძოლო მოკვლევა. როგორც აღნიშნული მოკვლევით, ასევე სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებებით დასტურდება ბ. ბ-ას მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში, დგინდება აგრეთვე, რომ ბატალიონის სიები იყო არასრულყოფილი, განიმარტა სიებში ბ. ბ-ას მიუთითებლობის შესაძლო მიზეზები. კასატორმა აღნიშნა, რომ 1993 წლის სექტემბერში აფხაზეთში განახლდა საომარი მოქმედებები, მებრძოლები დაბრუნდნენ დანაყოფებში, ქალაქი იზომბებოდა, იყო უკიდურესად მძიმე ვითარება, რის გამო არ იყო ბრძანებების დაწერის დრო, გადარჩენილმა მებრძოლებმა აფხაზეთი დატოვეს ფეხით, კოდორის ხეობის და უღელტეხილის გავლით, რა დროსაც ასევე მრავალი ადამიანი გარდაიცვალა, შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ბატალიონის მებრძოლების სიებისა და ჩანაწერების წამოღება შესაძლებელია ვერ მომხდარიყო. ამჟამად არსებული სიები არასრულია, მასში მხოლოდ

მებრძოლთა ნახევარია დაფიქსირებული.

კასატორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო კომპენსაციის მიღებაზე ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდება, კომპენსაციის გაცემა იწყება მიმართვის შემდეგი თვიდან, კომპენსაციის მისაღებად დაგვიანებით მიმართვის შემთხვევაში, კომპენსაცია გაიცემა შესაბამისი დროიდან. სასამართლოს მითითება ხანდაზმულობის ვადებზე დაუსაბუთებელია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები ვეტერანთა კატეგორიას განეკუთვნებიან. ამავე კანონის მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებებში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები მიეკუთვნებიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს. კანონით დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებები ვრცელდება დალუპული ვეტერანის ოჯახის წევრზე, კერძოდ მეუღლეზე, რომელიც მეორედ არ დაქორწინებულა (16.1 მუხ. „ბ“ ქვ.პ.). ოჯახის შედგავთები ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დადგენილი ერთიანი ნიმუშის მონმობის წარდგენის შემთხვევაში, ოჯახის წევრობის დამადასტურებელი მონმობის ნიმუში დგინდება და გაცემა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით („საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დალუპულ, უგზოუკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-8 მუხ.). საქართველოს მთავრობის 22.08.2014წ. დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერანის მონმობის ნიმუშის“ თანახმად, ვეტერანის მონმობა გაიცემა ომში დალუპულის ოჯახის წევრზე. ოჯახის სოციალური დაცვა მათ შორის ითვალისწინებს საპენსიო უზრუნველყოფას „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის შესაბამისად და სახელმწიფო კომპენსაციის უზრუნველყოფას „სახელმწიფო კომპენსაციისა და

სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის შესაბამისად („საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-7 მუხ. „ბ“, „ბი“ ქვ.პ.). განსახილველ შემთხვევაში მ. ნ-ას ინტერესს შეადგენს საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მოპოვება შემდგომში კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური შეღავათებით სარგებლობის მიზნით. სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია მ. ნ-ას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ისე, რომ არ გაუთვალისწინებია მოსარჩელის რეალური ინტერესი, არ შეუფასებია სააპელაციო საჩივრის საფუძვლები, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთადერთ საფუძვლად მიეთითა ხანდაზმულობა.

სსკ-ის 377.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულება ხორციელდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემონმების გზით, რაც გულისხმობს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებასაც. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს სათანადო დასაბუთებას, საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებას, მათი გაზიარების თუ გაზიარებაზე უარის თქმის საფუძვლებზე მითითებას.

სააპელაციო პალატამ სსკ-ის 128-ე, 130-ე, 131-ე მუხლებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.06.2018წ. №ბს-101-100(კ-17) განჩინებაზე მითითებით მიიჩნია, რომ სარჩელი ხანდაზმულია. საკასაციო პალატა არ იზიარებს გასაჩივრებულ განჩინებაში ასახულ მოსაზრებას სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლო განიხილავს რა კონკრეტულ დავას და ამ დავის ფარგლებში აფასებს რა სამართლებრივ საკითხებს, ახდენს კაზუალურ განმარტებას, ამდენად, გადაწყვეტილებაში ასახული სამართლებრივი მოსაზრებები განმარტებული უნდა იქნეს დავაზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. სწორედ არსებითად მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პირობებში ენიჭება საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ განმარტებებს მნიშვნელობა კონკრეტული საქმის განხილვისათვის. ამდენად, დადგენას საჭიროებს განხილული და განსახილველი დავების ფაქტობრივ გარემოებებს შორის არსებითი მსგავსება. მოცემულ შემთხვევაში განსახილველი დავის და სააპელაციო პალატის მიერ მითითებული დავის ფაქტობრივი გარემოებები მნიშ-

ვნელოვნად განსხვავებულია, რადგან არსობრივად განსხვავდება სასარჩელო მოთხოვნები და მათი სამართლებრივი საფუძვლები. სააპელაციო პალატის მიერ მითითებულ საკასაციო სასამართლოს 05.06.2018წ. №ბს-101-100(კ-17) გადაწყვეტილების მიხედვით მოსარჩელე ითხოვდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის დროს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შვილის გარდაცვალების გამო ერთჯერადი დახმარების ანაზღაურებას „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლეოდა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით. ამდენად, სააპელაციო პალატის მიერ მითითებულ 05.06.2018წ. №ბს-101-100(კ-17) საქმეში გადასაწყვეტი იყო არა პერიოდული გასაცემლის, კომპენსაციის, არამედ ერთჯერადი დახმარების გაცემის საკითხი, ხოლო განსახილველ დავაში საკითხი ეხება საბრძოლო მოქმედებების შესრულებისას დაღუპული პირის ოჯახის წევრის სოციალური უზრუნველყოფის მიღების მიზნით პირისათვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭების საკითხს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულთა ოჯახის წევრები სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე სუბიექტები არიან. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლებამოსილება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს წარმოეშვათ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 27.12.2013წ. №1896-რს კანონით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, რაც გამორიცხავს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის შესაძლებლობას. კომპენსაცია არის პირის ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა („სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 5.2 მუხ. „ა“ ქვ.პ., მე-4 მუხ. „დ“ ქვ.პ.), კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირს კომპენსაციის დასანიშნად მიმართვა შეუძლია აღნიშნული უფლების წარმოშობიდან ნებისმიერ დროს („სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 6.3 მუხ.), რაც ადასტურებს პირის უფლებას ხანდაზმულობის საერთო ვადის მიუხედავად, კომპენსაციის გაცემის საფუძვლების არსებობისას ნებისმიერ დროს მოითხოვოს მისი დანიშვნა. მსგავსი დანაწესი არ არსებობს ერთჯერადი დახმარების გაცემის მოთხოვნის უფლებასთან მიმართებით,

რის გამო მასზე ხანდაზმულობის საერთო ვადა ვრცელდება. პირის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრზე ერთჯერადი კომპენსაციის გაცემა, ისევე როგორც ოჯახის წევრის ყოველთვიური გასაცემლით უზრუნველყოფა, წარმოადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ კანონისმიერ ვალდებულებას, თუმცა აღნიშნული იმთავითვე არ გულისხმობს მათზე ხანდაზმულობის ვადის ერთნაირად ათვლისა და გავრცელების შესაძლებლობას. სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნაზე ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა, ამასთანავე, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს (სკ-ის 128-ე მუხლის 1-ლი, მე-3 ნაწ.), თუმცა არსებული ზოგადი წესიდან გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც კონკრეტულ მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის გავრცელება ნორმატიულად გამოირიცხება. კომპენსაციის დასანიშნად მიმართვის შესაძლებლობას აღნიშნული უფლების მქონე პირს კანონმდებელი ანიჭებს უვადოდ, სამისდღემშიოდ, ერთჯერადი დახმარების გაცემის მოთხოვნის წარდგენისაგან განსხვავებით პერიოდული გასაცემლის გაცემა იწყება მიმართვის შემდეგი თვიდან (სკ-ის 129.2 მუხლის მიხედვით, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა 3 წელია, რის გამო თანხა გაიცემა მოთხოვნის წარდგენიდან უკუსვლით 3 წლის ფარგლებში). ამდენად, ვინაიდან სააპელაციო პალატის მიერ მითითებული საქმის და განსახილველი დავის ფაქტობრივ გარემოებებს, ასევე მოთხოვნათა სამართლებრივ საფუძვლებს შორის არსებითი სხვაობაა, საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველ დავაზე დამდგარი შედეგის დასასაბუთებლად 05.06.2018წ. №ბს-101-100(კ-17) გადაწყვეტილების მითითება და მასში ასახული სამართლებრივი შეფასებების გამოყენება არ არის რელევანტური.

სარჩელის ხანდაზმულობას არ ადასტურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ განსახილველი დავის საგანს შეადგენს არა უშუალოდ კომპენსაციის გაცემა, არამედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭება და შესაბამისად, პირის საბრძოლო მოქმედებების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადასტურებაა, რადგან აღნიშნული გარემოებების გამორკვევა საბოლოოდ სწორედ კომპენსაციის დანიშვნის მიზანს ემსახურება, რასაც მ. ნ-ა არაერთგზის აღნიშნავს (მათ შორის სარჩელში). უკეთუ შესაძლებლად იქნება მიჩნეული ხანდაზმულობის ვადის გავრცელება პირის საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპვის ფაქტის დადასტურების მოთხოვნასთან დაკავშირებით, ხანდაზმულობის ვადის გავრცელება ირიბად მოხდება კომპენსა-

ციის დანიშვნის მოთხოვნის უფლებაზეც, რადგან კომპენსაციის მიღების ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭება და შესაბამისად, პირის საბრძოლო მოქმედებების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადასტურებაა („სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 5.2 მუხლის „ნ“ ქვ.პ., 6.1 მუხ.). დაუშვებელია ნორმათა ისეთი განმარტება, რომელიც ხანდაზმულობის ვადით შეზღუდვას პირის ისეთ უფლებას, რომელზეც ხანდაზმულობის ვადის გავრცელება ნორმატიულად არ არის დაშვებული, რადგან მსგავსი განმარტება მოთხოვნის უფლების მქონე პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესების არაღეგითურ, დაუსაბუთებელ შეზღუდვას გამოიწვევს. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ საქართველოში უკანასკნელი საბრძოლო შეიარაღებული დაპირისპირება 2008 წლის აგვისტოში მოხდა, ამ პერიოდიდან გასულია ათ წელზე მეტი, თუმცა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისიის გაუქმების ან საქმიანობის შეწყვეტის შესახებ რაიმე მონაცემი საქმეში არ მოიპოვება. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა კვლავ ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მოპოვების შესაძლებლობას და განსაზღვრავს სათანადო პროცედურებს, ამასთანავე, რაიმე მითითება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის თარიღთან მიმართებით არ ხდება. სააპელაციო პალატის მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში, საქართველოში უკანასკნელი საბრძოლო მოქმედებებიდან ათ წელზე მეტი ვადის გასვლის გამო ამჟამად (2018 წლის შემდეგ პერიოდში) ომში/საბრძოლო მოქმედებებისას დაღუპული ვერც ერთი პირის ოჯახის წევრი ვეღარ მოითხოვდა კომპენსაციის დანიშვნას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით არ ეფუძნება შესაბამის სამართლებრივ დასაბუთებას და უგულებელყოფს არსებული სამართალურთიერთობის ბუნებას, აუქმებს უფლების მქონე პირის მიერ კომპენსაციის ნებისმიერ დროს მოთხოვნის, ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მოპოვების შესაძლებლობის შესახებ ნორმატიულ დანაწესს. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მ. ნ-ას სასარჩელო მოთხოვნა არ არის ხანდაზმული.

საკაცაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს რაიმე მსჯელობას დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. მართალია, სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ იზიარებს საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და თავადაც დამატებით უთითებს გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებზე, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ გარემოებათა უმეტესობა მოიცავს არა კონკრეტულ ფაქტზე მითითებას, არამედ სხვადასხვა ორგანოებიდან გამოთხოვილი დოკუმენტების შინაარსის აღწერას. მტკიცებულებათა შინაარსის სასამართლო გადანყვეტილებაში ასახვა არ ადასტურებს მათ გამოკვლევასა და შეფასებას, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დადგენას. სასამართლოსთვის არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, ამასთანავე, მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადანყვეტილებაში (სსკ-ის 105-ე მუხ.). განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განჩინება შეიცავს კონკრეტულ მტკიცებულებებსა და მათ შინაარსზე მითითებას, თუმცა სასამართლოს მიერ მათი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა არ იკვეთება. გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს სასამართლოს დასკვნას მტკიცებულებათა შეფასების შედეგად საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

„ვეტერანების სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი კომისიის“ ოქმი იმ დოკუმენტების ჩამონათვალშია მითითებული, რომელიც საჭიროა ომში დაღუპულის ოჯახის წევრის და მარჩინალდაკარგულის სტატუსის მისაღებად („ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ, უგზოუკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, მონაწილეობის გაცემის, სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის შესახებ ინსტრუქციის მე-6 მუხ. „ე.ი“ ქვ.პ.). შესაბამისად, კომისიის სადავო 11.05.2017წ. №174-26 ოქმი და სსიპ ვეტერანების

საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 30.05.2017წ. №3060/02-03-14/04-01 გადაწყვეტილება წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და მათი კანონშესაბამისობა სასამართლომ უნდა შეამოწმოს სზაკ-ით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებთან მიმართებით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ სადავო ოქმისა და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 30.05.2017წ. წერილის კანონიერება უნდა შეამოწმოს არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ფორმალური თვალსაზრისითაც. ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას. აღნიშნული ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას. ადმინისტრაციული წარმოება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე (სზაკ-ის 53-ე, 96-ე მუხ.), რაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის სამართლიანი განხილვის კონსტიტუციური უფლების (საქართველოს კონსტიტუციის 18.1 მუხ.) მნიშვნელოვანი პირობაა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა სათანადო წესით გამოკვლეული ადმინისტრაციული წარმოების დროს. განსახილველ შემთხვევაში საქმეში დაცულია სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ წარდგენილი ორი DVD დისკი, რომელზეც ასახულია სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისიის სხდომის ჩანაწერი, ჩანაწერიდან არ იკვეთება წარმოებაში დაინტერესებული პირის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობა. საქმეში მატერიალური სახით დაცულ 11.05.2017წ. ოქმში ასევე შეუვსებელია გრაფა, რომელშიც სტატუსის მაძიებლის მონაცემები უნდა იყოს მითითებული. სზაკ-ის 101.1 მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არსებულ გარემოებებზე დაყრდნობით ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილი აქვს განმცხადებ-

ლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იგი ვალდებულა მისცეს განმცხადებელს ამ გარემოებასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, უკეთუ: უარი ეფუძნება ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ ან ადმინისტრაციული ორგანოს ხელთ არსებული ინფორმაცია განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისაგან. განსახილველ შემთხვევაში აღნიშნული წინაპირობების არსებობა სადავო არ არის. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოებაში პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაინტერესებული პირის მოლოდინს, რომ მის მიმართ გამოიყენა კანონიერი და დასაბუთებული აქტი, არამედ მის უფლებასაც, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი მომზადების სტადიაზე, რათა ობიექტური შეფასებენა მოახდინოს იმ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დადგეს. განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება, რომ მ. ნ-ას ან მის წარმომადგენელს აღნიშნული შესაძლებლობა მიეცა.

არ დასტურდება აგრეთვე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მონმეთა გამოკითხვის პროცესში მ. ნ-ას ან მისი წარმომადგენლის ჩართულობა. სზაკ-ის 103.1 მუხლის თანახმად, კოლეგიურ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს მარტივი ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად, თუ სპეციალური მოწესრიგებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამავე კოდექსის 97.2 მუხლის მიხედვით, მარტივი ადმინისტრაციული წამოებისას ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა მოწმისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესაძლებლობა, რაც უნდა განხორციელდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად. სამოქალაქო პროცესში მოქმედი ზოგადი წესის მიხედვით, მოწმე უნდა დაიკითხოს ღია სასამართლო სხდომაზე, უკეთუ მისი ავადმყოფობა ან სხვა ობიექტური გარემოებები საჭიროს არ ხდის მოწმის თავისივე ადგილსამყოფელზე დაკითხვას (სსკ-ის 147-ე მუხ.). მოწმის დაკითხვა იწყება მისი პიროვნების გარკვევით, თავდაპირველად მოწმე თავისუფალი თხრობით გადმოსცემს ყოველივეს, რაც მან იცის საქმის გარემოებათა შესახებ, რის შემდეგ მას ეძლევა შეკითხვები. მოწმეს პირველად შეკითხვას აძლევს მხარე, რომლის ინიციატივითაც დაიბარეს მოწმე ან მხარის წარმომადგენელი, ხოლო შემდეგ – მოწინააღმდეგე მხარე და მისი წარმომადგენელი (სსკ-ის 148-ე მუხ. მე-2, მე-3, მე-4 ნაწ.). ამასთანავე, მხარეთა საპროცესო უფლებებს შორის სახელდება მოწმისათვის შეკითხვის დასმის შესაძლებლობა (სსკ-ის 83.1 მუხ.). ამდენად, სზაკ-ის 97.2 მუხლის დანაწესის გათვალისწინებით, ვინაიდან მოწმის დაკითხვის მიზნებისათვის მარტივი ადმინისტრაციული წარმოების მხარისა და სასამართლო პროცესის მონაწილე მხარის უფლებები

გათანაბრებულია, ამიტომ მარტივი ადმინისტრაციული წარმოებისას მხარეს უნდა მიეცეს მოწმის დაკითხვაში მონაწილეობის მიღების და მისთვის შეკითხვების დასმის შესაძლებლობა, ისევე როგორც ეს ხორციელდება სასამართლო წარმოებისას.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ ერთ-ერთ ჩანაწერში სხდომაში მონაწილე ორი პირი გადმოსცემს სხვა პირებთან (მათი მითითებით, ბ. ბ-ას თანასოფლელებთან) პირადი საუბრის შინაარსს, რის შედეგადაც კომისიას დადასტურებულად მიაჩნია, რომ ბ. ბ-ა არ დალუპულა საბრძოლო მოქმედებებისას და იგი დახვრიტეს აფხაზებმა 29 სექტემბერს სოფლის დატოვების დროს. საქმეში არ არის დაცული იმ პირთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემებიც კი, რომელთაგან აღნიშნული განმარტების მიღება მოხდა. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეაგროვოს დამატებითი ცნობები (სზაკ-ის 97-ე მუხ. „ბ“ ქვ.პ.), მათ შორის ჩამოართვას მოწმეს ახსნა-განმარტება, თუმცა ეს უნდა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად (სზაკ-ის 97.2 მუხ.) ან ნორმატიულად განსაზღვრული სხვა სპეციალური წესით და არა ინფორმაციის მქონე პირთან პირადი სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად. განსახილველ შემთხვევაში სადავო ოქმით დამდგარი შედეგი, საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენა დაეყრდნო იმ პირთა განმარტებებს, რომელთა ვინაობა და მიცემული განმარტების ზუსტი შინაარსი უცნობია. კომისიის სხდომაში მონაწილე პირთა მითითება, რომ ბ. ბ-ას თანასოფლელებს ესაუბრნენ და მათ კონკრეტული შინაარსის ინფორმაცია გასცეს, არ დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით. ამასთანავე, არც ადმინისტრაციული წარმოებისას და არც ქვედა ინსტანციის სასამართლოებში აღნიშნული პირები არ გამოკითხულან, მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს არ მისცემია მათთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა.

ადმინისტრაციული წარმოების კანონიერად ჩატარების შეფასების კუთხით მნიშვნელოვანია, რომ სზაკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი კომისიის სხდომის №174-26 ოქმის თანახმად, კომისია შედგება 18 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 9 წევრი. ამდენად, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 30.06.2017წ. №3060/02-03-14/04-01 გადაწყვეტილებაში მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად კომისიის წევრთა ხმათა აბსოლუტურ

რი უმრავლესობით საკითხის გადანყვეტაზე მითითება საფუძველს არის მოკლებული.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სადავო 30.05.2017წ. წერილის მიხედვით, 11.05.2017წ. გამართულ სხდომაზე პასუხისმგებელმა პირმა ვერ დაადასტურა ბ. ბ-ას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა და დაღუპვის ფაქტი, თუმცა საქმეში დაცული კომისიის სხდომის ვიდეორჩანანერის მიხედვით, გამოკითხვისას განიმარტა, რომ ბ. ბ-ა კომენდატურის დაცვის ბატალიონში იყო, 12-15 კაციანი რაზმი წავიდა იმ რაიონში, რომელშიც ბ. ბ-ა დაიღუპა, რაზმის შემადგენლობაში შედიოდა ბ. ბ-აც. სხდომაზე აღნიშნა აგრეთვე, რომ 1993წ. აგვისტოში შერიგების პერიოდში ბატალიონი დაიშალა, თუმცა ომის განახლების-თანავე ბატალიონის წევრები დაბრუნდნენ, მათ შორის იყო ბ. ბ-აც. აღნიშნული განმარტების არასარწმუნოდ მიჩნევა კომისიას სათანადოდ არ დაუსაბუთებია. არ არის დასაბუთებული აგრეთვე აღმინისტრაციულ ორგანოში მ. ნ-ას მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა, მათ შორის გარდაცვალების მოწმობისა და საბრძოლო მოკვლევის გაზიარებაზე უარი, აღნიშნულ მტკიცებულებათა შეფასება ფაქტობრივად არ მომხდარა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში დაცულია სამი საბრძოლო მოკვლევა, რომელთა ერთობლივი თუ ინდივიდუალური შეფასება მათი სარწმუნოებისა და სათანადოობის კუთხით სასამართლოს არ მოუხდენია. გასათვალისწინებელია, რომ სამივე საბრძოლო მოკვლევაში ბ. ბ-ას გარდაცვალების გარემოებები და თარიღი ერთგვაროვნად არის მითითებული, – აღნიშნულია, რომ ბ. ბ-ა 26.09.1993წ. დაიღუპა საბრძოლო მოქმედებების შესრულების დროს. გარდაცვალების თარიღად იგივე დღეა მითითებული საქმეში დაცულ გარდაცვალების მოწმობებშიც, 06.06.1994წ. გაცემულ გარდაცვალების მოწმობაში გარდაცვალების ადგილად მითითებულია სოფელი ..., ხოლო გარდაცვალების მიზეზად აღნიშნულია, რომ ბ. ბ-ა გარდაიცვალა საბრძოლო დავალებების შესრულების დროს. მართალია, საბრძოლო მოკვლევები შეიცავს სხვადასხვა ინფორმაციას იმ ბატალიონთან დაკავშირებით, რომელშიც ბ. ბ-ა მსახურობდა, თუმცა სასამართლოს არ დაუსაბუთებია საბრძოლო მოკვლევებში სხვადასხვა ბატალიონების მითითების გამო იმ გარემოებათა გაზიარებაზე უარი, რომლებიც სამივე მოკვლევაში ერთნაირად არის მითითებული, კერძოდ, გარდაცვალების თარიღი და გარემოებები. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ საქმეში დაცულია მოწმეთა ჩვენებები და წერილობითი ახსნა-განმარტებები საბრძოლო მოკვლევებთან

დაკავშირებით. ერთ-ერთ საბრძოლო მოკვლევაზე ხელმომწერი ორი პირი: ქ. სოხუმის სამხედრო კომენდატურის სპეცდანიშნულების ბატალიონის მეთაური და შტაბის უფროსი დაიკითხნენ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა პირებმა: მ. გ-ამ და გ. მ-მა სასამართლოს წინაშეც დაადასტურეს, რომ ბ. ბ-ა ირიცხებოდა კომენდატურის რიგებში და დაილუპა 26.09.1993წ. სოფ. ...ის ტერიტორიაზე, საბრძოლო ვითარებაში რამდენიმე პირთან ერთად. მათ ასევე აღნიშნეს, რომ 1993 წლის აგვისტოში ე. წ. „შერიგების“ დროს საბრძოლო მოქმედებები შეწყდა, რის გამო ბატალიონი დაიშალა, თუმცა ომის განახლებისთანავე მეზობლები დაბრუნდნენ, მათ დაურიგდათ იარაღი და ისინი ჩაერთვნენ საბრძოლო მოქმედებებში. მონმე გ. მ-ი აღნიშნავს, რომ 16 სექტემბერს, ბრძოლის დაწყების შემდეგ სხვა ქვედანაყოფები მიემაგრა კომენდატურას, კომენდატურაში იყო ორი ძირითადი ბატალიონი და 11-მდე დამხმარე ბატალიონი. ორივე მონმე ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ბ. ბ-ა ნამდვილად ირიცხებოდა კომენდატურის რიგებში, მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში და 26.09.1993წ. სოფ. ...თან დაილუპა. მონმეები უთითებენ აგრეთვე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში წარდგენილი სიები არ იყო სრულყოფილი, სიებიდან ხდებოდა გარდაცვლილი პირების ამოშლა, ასევე ამოიშალნენ ის პირები, ვინც აგვისტოში ე. წ. „შერიგების“ პერიოდში ბატალიონი დატოვეს, შესაბამისად, სიაში მითითებული არ ყოფილა საბრძოლო მოქმედებების ყველა მონაწილე.

რაც შეეხება საქალაქო სასამართლოში წარდგენილ მეორე საბრძოლო მოკვლევას, რომლის მიხედვით ბ. ბ-ა ... სატანკო ბატალიონში მსახურობდა, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული მოკვლევის შემდგენელი პირების: დ. შ-ას და პ. ხ-ას ნოტარიალურად დამოწმებულ, საქალაქო სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში ახსნილია დ. შ-ას და პ. ხ-ას მიერ კონკრეტული შინაარსის საბრძოლო მოკვლევის გაცემის საფუძვლები. განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ ბ. ბ-ა ნამდვილად იღებდა მონაწილეობას აფხაზეთის ომში, საბრძოლო მოქმედებებში, გარკვეული პერიოდი მათთან ერთად იბრძოდა, ხოლო შემდგომ გადავიდა სხვა ბატალიონში, ბ. ბ-ას ხშირად ხედავდნენ საბრძოლო იარაღითა და სამხედრო ფორმით. განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ მართალია, მათ ზუსტად არ იცოდნენ რომელ ბატალიონში ირიცხებოდა ბ. ბ-ა, თუმცა 26.09.1993წ. ქ. სოხუმში, სოფ....თან მათ პირადად დაინახეს ბ. ბ-ა, რომელიც გარდაცვლილი იყო, სწორედ აღნიშნულმა განაპირობა საბრძოლო მოკვლევაზე ხელმოწერა. აღნიშნული მტკიცებულებები სააპელაციო პალატის

მიერ არ შეფასებულა. სააპელაციო პალატის შეფასების მიღმა დარჩა აგრეთვე სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი მესამე საბრძოლო მოკვლევა, რომელშიც გარდაცვალების ადგილიდან ბ. ბ-ას გამოსვენების განმახორციელებელი პირები და დაკრძალვის ადგილიც არის მითითებული, ამასთანავე, საბრძოლო მოკვლევაზე დატანილია ხელმოწერები, ბეჭდები და შტამპი. საკასაციო პალატა თვლის, რომ ბ. ბ-ას გარდაცვალების თარიღის, ადგილისა და გარემოებების დასადგენად, ერთობლივ შეფასებას საჭიროებს აღნიშნული საბრძოლო მოკვლევები, გარკვევას საჭიროებს აგრეთვე ბატალიონის ფორმირების წესი, 1993 წლის სექტემბერში აფხაზეთში განახლებული საომარი მოქმედებების დროს არსებული ვითარება. ის გარემოება, რომ კონკრეტული პირი შესაძლოა უშუალოდ არ შესწრებია ბ. ბ-ას გარდაცვალების ფაქტს, არ გამორიცხავს ბ. ბ-ას საბრძოლო მოქმედებების შედეგად გარდაცვალებას, რადგან უკეთუ დადასტურდება ბ. ბ-ას სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობა და ერთ-ერთი სამხედრო შეტაკების შემდეგ ბ. ბ-ას გარდაცვალება, აღნიშნული იმთავითვე პრეზუმირებს ბ. ბ-ას საბრძოლო მოქმედებების შედეგად გარდაცვალებას, საწინააღმდეგო გარემოების მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება. აფხაზეთში განვითარებული საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების, საომარი ვითარების, აფხაზეთის ოკუპაციის, პირების იძულებით გადაადგილების და სხვ. გარემოებების გათვალისწინებით, ნაკლებსავარაუდოა, რომ მოიპოვებოდეს ბ. ბ-ას კონკრეტულ გარემოებებში გარდაცვალების უტყუარი და ერთმნიშვნელოვანი მტკიცებულება. საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობით, შეაფასოს მათი სათანადოობა, სარწმუნოობა, საჭიროების შემთხვევაში შესთავაზოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, უზრუნველყოს მტკიცებულებათა გამოთხოვა და მათი ურთიერთშეჯერების შედეგად დაადგინოს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 30.05.2017წ. აქტის მიხედვით, მ. ნ-ას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში არ მოიპოვება ინფორმაცია ბ. ბ-ას საბრძოლო ქვედანაყოფებში ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ. ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია აფხაზეთში საომარი მოქმედებების მიმდინარეობის პროცესში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე პირების აღრიცხვის, სამხედრო დანაყოფების ფორმირების: დაყოფის, გაერთიანების, მათში პირების ჩა-

რიცხვისა და ამორიციხვის წესი, არ დადგენილა ამ მიმართებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დაცული მონაცემების სისრულე. მოწმეთა განმარტებით, თავდაცვის სამინისტროსათვის მიწოდებული სიები იყო არასრულყოფილი, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე პირთა გარკვეული რაოდენობა არ ყოფილა სიაში მითითებული. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ სამხედრო დანაყოფების ფორმირება ხდებოდა უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას (დაშლილი ბატალიონები 1993 წლის სექტემბერში, საბრძოლო მოქმედებების განახლების გამო, ხელახლა შეიკრიბნენ, ბატალიონები გაერთიანდა), ხოლო საომარი მოქმედებები განახლებიდან მალევე – 1993 წლის სექტემბერში დასრულდა ოკუპაციით, შეფასებას საჭიროებს მოსარჩელის განმარტება, რომ არსებული ვითარების გათვალისწინებით რიგ შემთხვევებში პირის ბატალიონში ჩარიცხვასთან დაკავშირებით არ ხდებოდა სათანადო ბრძანებების შედგენა, ამასთანავე, ოკუპირებული აფხაზეთის დევნილთა მიერ იძულებითი დატოვების გარემოებების გათვალისწინებით (აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება მოხდა კოდორის ხეობისა და უღელტეხილის ფეხით გავლით), არ იყო შესაძლებელი სათანადო დოკუმენტაციის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოტანა. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ საბრძოლო ქვედანაყოფში ბ. ბ-ას ჩარიცხვა-ამორიციხვის ბრძანება არ მოიპოვება, არ გამორიცხავს ბ. ბ-ას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა და დაღუპვის ფაქტს, მით უფრო, რომ 28.08.2016წ. №281 ბრძანებით დამტკიცებული „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, მონობების გაცემის, სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის შესახებ“ ინსტრუქცია ომში დაღუპულის ოჯახის წევრის მაძიებლისთვის ითვალისწინებს მოხალისეებზე, რომლებზეც არ მოიპოვება ოფიციალურ სამხედრო ფორმირებებში ჩარიცხვის თაობაზე დოკუმენტაცია, ხელთ არსებული რაიმე შესაძლო დოკუმენტების, საბრძოლო მოკვლევის, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს ვეტერანების სტატუსის მქონე იმავე ქვედანაყოფის არანაკლებ სამი პირი, წარდგენის საჭიროებას, რათა ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსი იქნეს მოპოვებული (მე-6 მუხ. „დ.ბ“, „ე.ზ“ ქვ.პ.).

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში დაცულ სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 04.01.2018წ. კორეს-

პოდენციაზე, რომლის თანახმად ბ. ბ-ას ვაჟს სახელმწიფო კომპენსაცია დანიშნული ჰქონდა 1997 წლის 31 მარტიდან თავდაცვის სამინისტროს ხაზით – მარჩენალის გარდაცვალების გამო, კომპენსაცია შეწყდა 2007 წლის 01 ოქტომბრიდან, სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო. კომპენსაციის დანიშვნისას – 31.03.1997წ. მოქმედი „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონი ითვალისწინებდა ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის უზრუნველყოფის გარანტიებს. კანონის მიზნებისთვის ვეტერანებს შორის მოიაზრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები (6.3 მუხ.), კერძოდ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები: საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების მოსამსახურეები და მუშაკები, მათ შორის, თადარიგში დათხოვნილნი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები (9.3 მუხ.). აღნიშნული კანონით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ღონისძიებები ვრცელდებოდა დაღუპული ვეტერანის არასრულწლოვან შვილებზე და ოჯახის სხვა შრომისუუნარო წევრებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ დაღუპული (გარდაცვლილი) პირის კმაყოფაზე (მე-16 მუხ. „გ“ ქვ.პ.). დაღუპულთა (გარდაცვლილთა) ოჯახის წევრებს სოციალური დაცვის მიზნით უწესდებოდათ პენსიის მიღების უფლება (16.1 მუხ.). სოციალური უზრუნველყოფის მიზნით სახსრების გამოყოფა ხდებოდა საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან (1.3 მუხ.). ამდენად, დადგენასა და შეფასებას საჭიროებს ბ. ბ-ას შვილისათვის კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ 21.11.2017წ. ცნობის მიხედვით კომპენსაცია დანიშნული იყო თავდაცვის სამინისტროს ხაზით, მამის – ბ. ბ-ას გარდაცვალების გამო.

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მიუთითეს გენოციდის მსხვერპლთა სიაში ბ. ბ-ასთან დაკავშირებული ჩანაწერის არსებობაზე, თუმცა არ დაუსაბუთებიათ აღნიშნული გარემოების კავშირი სარჩელის უარყოფასთან. უშუალოდ ბ. ბ-ასთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ არ იძებნება გენოციდის მსხვერპლთა სიაში მისი შეყვანის ფაქტობრივი საფუძველი, რის გამო გაურკვეველია ბ. ბ-ას გარდაცვალების თარიღად 1993 წლის ნოემბრის მითითების წინაპირობები, აღნიშნული მონაცემის სარწმუნოობა.

ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სათანადოდ არ შეფასებული აგრეთვე ბ. ბ-ას გარდაცვალების მოწმობები. საქმეში დაცულია ორი გარდაცვალების მოწმობა: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ 06.06.1994წ. გაცემული IV-TE №... გარდაცვალების მოწმობა და თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 24.06.2016წ. გაცემული №... გარდაცვალების მოწმობა. ორივე მათგანში ბ. ბ-ას გარდაცვალების თარიღად მითითებულია 26.09.1993წ., ხოლო გარდაცვალების ადგილად – სოხუმი (სოხუმის რ-ნი). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გარდაცვალების მოწმობა ადასტურებს არა მხოლოდ პირის გარდაცვალების ფაქტს, არამედ ადგენს აგრეთვე პირის გარდაცვალების თარიღსა და ადგილს. ორივე გარდაცვალების მოწმობაში გარდაცვალების იდენტური თარიღისა და ადგილის მითითების მიუხედავად, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დადგენილად არ მიიჩნიეს ბ. ბ-ას გარდაცვალება 26.09.1993წ. სოხუმში (სოხუმის რაიონში). სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რაიმე დასაბუთებას არ შეიცავს. ყურადღების მიღმა არის დატოვებული აგრეთვე ის გარემოება, რომ გენოციდის სიაში არსებული მონაცემის მიხედვით ბ. ბ-ა აფხაზეთის მეტროპოლიტმა დახვრიტეს 1993 წლის ნოემბერში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://scara.gov.ge/ka/2010-07-05-08-39-35/352-2013-01-24-20-35-05.html>) დაცული გენოციდის სიების მიხედვით, ბ. ბ-ას დახვრეტის ადგილად მითითებულია სოფელი ...ა, ...ის რაიონი. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში დაცულ, ძალაში მყოფ ორივე გარდაცვალების მოწმობაში ბ. ბ-ას გარდაცვალების ადგილად მითითებულია სოხუმი, სოხუმის რაიონი და არა ...ის რაიონი, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ყურადღება მაინც გენოციდის მსხვერპლთა სიაში დაცულ მონაცემზე გაამახვილეს, რაც არ ემყარება რაიმე ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ გენოციდის სიაში ბ. ბ-ასთან დაკავშირებით კონკრეტული მონაცემის შეტანის საფუძველი გაურკვეველია.

ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ გაუთვალისწინებიათ აგრეთვე ის გარემოება, რომ 06.06.1994წ. გარდაცვალების მოწმობა გაცემულია 06.06.1994წ. №362 ჩანაწერის საფუძველზე, მმარის ბიუროს (მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი ბიუროს) დასახელებად მითითებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო. მართალია, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 08.11.2018წ. წერილის მიხედვით სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ბ. ბ-ას სახელზე 06.06.1994წ. გაცემული გარდაცვალების მოწმობა არ ფიქსირდება,

თუმცა არ გამოკვლეულა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესახებ დაცული სრული ინფორმაციის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის გადაცემის საკითხი. ამასთანავე, მართალია, სააგენტოს წერილის მიხედვით 06.06.1994წ. გარდაცვალების მოწმობაში მითითებული №362 გარდაცვალების ჩანაწერი ეკუთვნის სხვა პირს, თუმცა არ დადგენილა აფხაზეთის ა/რ იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოებული ჩანაწერების ნუმერაციისა და სააგენტოში დაცული სააქტო ჩანაწერების ნუმერაციის ურთიერთმიმართება, მათი იდენტიფიკაცია. არ არის დადგენილი, რომ აფხაზეთის ა/რ იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციის შესახებ მონაცემები გადაეცა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სრულად და ამავე დროს იმ ნუმერაციით, როგორც ეს სამინისტროში იყო დაცული. აღნიშნული გარემოებების გამოკვლევის გარეშე, მხოლოდ იმ გარემოების მითითება, რომ სააგენტოში დაცული №362 გარდაცვალების აქტის ჩანაწერი სხვა პირს ეკუთვნის, არ ასაბუთებს 06.06.1994წ. გარდაცვალების მოწმობის არასაარწმუნოებას.

გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 08.11.2018წ. №01/347642 წერილის მიხედვით 24.06.2016წ. გარდაცვალების მოწმობა გაიცა 24.06.2016წ., გარდაცვალების აქტის ჩანაწერის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ დარეგისტრირდა თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 21.06.2016წ. №... გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლოების მიერ არ გამოთხოვილა და არ შეფასებულა 24.06.2016წ. გარდაცვალების მოწმობის გაცემის საფუძველები, სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 21.06.2016წ. №... გადაწყვეტილების შინაარსი. 21.06.2016წ. გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედი ნორმატიული მოწესრიგების მიხედვით, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოთა უფლებამოსილებებში შედიოდა არა მხოლოდ პირის გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაცია, არამედ პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის დადგენა და პირის გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა („სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის 21.06.2016წ. მოქმედი რედაქციის 4.2 მუხ. „ა“, „ე.ბ“, „ე.დ“ ქვ.პ.). ამდენად, 24.06.2016წ. გარდაცვალების მოწმობის გაცემის საფუძველად არსებული დოკუმენტაციის შინაარსი შესაძლოა მნიშვნელობის მქონე იყოს განსახილველი დავის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის საკმარისად დასაბუთებული, სასამართლომ არ გა-

მოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. ნ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.11.2018წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო განწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დეჰნილის ოჯახის წევრთა პირდაპირი დამავალი შტოს
შთამომავლების საცხოვრებელი ფართობით
დაკმაყოფილების კანონიერება**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-444(კ-22)

7 ოქტომბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ოქროპირიძე,
ქ. ცინცაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს ლ. ჭ-იმა, ს. ჭ-იმა და ა. ჭ-იმა
მოპასუხის – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყა-
როებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელებმა მოითხოვეს: ა) ბათილად იქნეს ცნობილი „დევ-
ნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველ-
ყოფის შესახებ“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყა-
როებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 28 დეკემბრის
№03-3433/ო ბრძანების დანართი იმ ნაწილში, რომელიც ეხება, მო-
სარჩელე ლ. ჭ-ის; ბ) დაევალოს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და
საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს გამოსცეს ახა-
ლი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მი-
ნიჭებული ქულების მიუხედავად, კრიტერიუმების გარეშე, მოსარ-
ჩელე ლ. ჭ-ის ოჯახის ოროთახიანი ბინით დაკმაყოფილების შესა-
ხებ.

სარჩელის თანახმად, ლ. ჭ-ი არის აფხაზეთიდან იძულებით გა-
დაადგილებული პირი და ცხოვრობს შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთა-
ისი, ...ის ქუჩა №1, შპს „...“ (...). აღნიშნული შენობა მიჩნეულ იქნა
ნგრევად ობიექტად და მოხდა იქ მაცხოვრებელი დევნილების გან-
სახლება. თუმცა ლ. ჭ-ის განსახლება განხორციელდა მისი ინტე-
რესების გათვალისწინების გარეშე, კერძოდ, გარდა იმისა, რომ არ
გათვალისწინეს მოსარჩელის ორი შვილი – ს. ჭ-ი და ა. ჭ-ი, ამას-

თან, იგი დაკმაყოფილებულ იქნა, როგორც მისი ძმის ოჯახის წევრი, თუმცა ისინი არ არიან ერთი ოჯახის წევრები და არ ეწვეიან ერთობლივ სამეურნეო საქმიანობას.

მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2020 წლის 20 ოქტომბერს, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის სხდომის ოქმის (ოქმი №62) შესაბამისად, განხორციელდა მონიტორინგს დაქვემდებარებული 28 ნგრევადი და სიცოცხლისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტის აღწერა, მათში ფაქტობრივად მცხოვრებ დევნილ ოჯახთა განსაზღვრა, შესაბამისი ოქმების შედგენა და ფოტოსაღების მომზადება. ერთ-ერთ ასეთ ობიექტს განეკუთვნებოდა ქალაქ ქუთაისში, ...ის ქ. №1-ში მდებარე ნგრევადი ობიექტი შპს „...“ (...). 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების შესაბამისად, განხორციელდა ზემოაღნიშნულ ობიექტში ფაქტობრივად მცხოვრები დევნილი ოჯახების აღწერა. 2020 წლის 30 ივნისს მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ობიექტზე იქ ფაქტობრივად მცხოვრები დევნილი ოჯახების აღწერის მიზნით. ლ. ჭის ოჯახის წევრების მხოლოდ ნაწილი იყო მისამართზე, სწორედ მათთან შედგა გასაუბრება და შეივსო მონიტორინგის ფორმაც. მონიტორინგის განხორციელების დროს ოჯახის უფროსმა – მ. ჭ-მა ლ. ჭ-ი მიუთითა ოჯახის წევრად და მასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ლ. მეულლესთან – ნ. რ-ესთან ერთად იმყოფებოდა წალკაში, ნ.-ს მშობლებთან. დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ 2020 წლის 20 ოქტომბერს (სხდომის ოქმი №62) იმსჯელა მოსარჩელის და მისი ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხზე და გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა დევნილი ოჯახი კრიტერიუმების მინიჭების გარეშე სულადობის გათვალისწინებით, ერთი ოროთახიანი და ერთი ოთხოთახიანი ბინით ქ. ქუთაისში, ...ის ქუჩაზე. მინისტრის №320 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად, ჩატარდა კენჭისყრა, 2020 წლის 23 ოქტომბერს ოჯახთან გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი №266 და წერილობითი თანხმობა, რომელსაც ოჯახის ყველა წევრმა, მათ შორის, ლ. ჭ-მა ხელი მოაწერა. ის ფაქტი, რომ დევნილ ოჯახს უნდა გადაცემოდა ერთი 2-ოთახიანი და ერთი 4-ოთახიანი ბინა მათ, სადავოდ არ გაუხდიათ. ამას მოწმობს მათ მიერ წერილობით თანხმობაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა. ამრიგად, თანხმობის წერილზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დროს მხარეთათვის ცნობილი იყო მათი ერთ ოჯახად დაკმაყოფილების საკითხი და გადასაცემი საცხოვრებელი ფართის ოთახების ოდენობაც. რაც შეეხება ლ. ჭ-ის მეულლეს და შვილებს, მოსარჩელე თავად აღნიშნავს, რომ

მისი მეუღლე ნ. რ-ე, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე დაკმაყოფილებულია საცხოვრებელი ფართით. შესაგებელს თან ერთვის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია 2016 წლის 25 ოქტომბერს და რომლის თანახმადაც მოხდა ნ. რ-ის დაკმაყოფილება. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც დამავალი შტო, დაკმაყოფილებულად ითვლებიან დედის – ნ. რ-ის სარეგისტრაციო ნომერზე მყოფი შვილებიც – ა. და ს. ჭ-იები. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანებით დამტკიცებული დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის თანახმად, თუ დევნილი ოჯახი უზრუნველყოფილია გრძელვადიანი საცხოვრებელით, სახელმწიფოს ეხსნება დევნილის ან მისი ოჯახის წევრთა პირდაპირი დამავალი შტოს შთამომავლების საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების ვალდებულება, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე. ამრიგად, მოსარჩელის მეუღლე და შვილები სახელმწიფოს მხრიდან ერთხელ უკვე უზრუნველყოფილი არიან საცხოვრებელით და მათ მიმართ ვერ განხორციელდება გრძელვადიანი საცხოვრებელით უზრუნველყოფის ღონისძიებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ჭ-ის, ს. ჭ-ისა და ა. ჭ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 28 დეკემბრის №03-3433/ო ბრძანების დანართი იმ ნაწილში, რომელიც ეხება, მოსარჩელე ლ. ჭ-ის; მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალა, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელეთა ოჯახთან დაკავშირებით კანონით დადგენილ ვადაში.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) მოსარჩელე ლ. ჭ-ი არის იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი. მას ჰყავს მეუღლე – ნ. რ-ე და ორი არასრულწლოვანი შვილი – ს. და ა. ჭ-ი; ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოცია-

ლური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 ოქმის თანახმად, ქ. ქუთაისში, კ. ...ის ქ. №1-ში მდებარე ობიექტი – შპს „...“ (...) განხილულ იქნა, როგორც ნგრევადი და იქ მცხოვრები დევნილი ოჯახების განსახლების საკითხი გადაწყდა კრიტერიუმების მინიჭების გარეშე; გ) საქმეზე წარმოდგენილი მონიტორინგის ჯგუფის 2020 წლის 30 ივნისის ადგილზე აღწერის ფორმით დასტურდება, რომ აღწერის მიზნით მონიტორინგი განხორციელდა ქ. ქუთაისში, კ. ...ის ქ. №1-ში მდებარე ობიექტში – შპს „...“ (...), სადაც ადგილზე დახვდათ მოსარჩელების ოჯახის წევრების ნაწილი, თავად მოსარჩელე ობიექტზე არ იმყოფებოდა. მონიტორინგის განხორციელების დროს, ოჯახის უფროსმა – მ. ჭ-იმა ერთ-ერთ ოჯახის წევრად მიუთითა ლ. ჭ-ი, ამასთან, განმარტა, რომ ლ. მეუღლესთან – ნ. რ-ესთან ერთად იმყოფებოდა წალკაში, ნ.-ს მშობლებთან; დ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 ოქმის თანახმად, მოსარჩელის და მისი ოჯახის საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხი გადაწყდა და მათ, კრიტერიუმების მინიჭების გარეშე, სულაძლისნინებით გადაეცათ ერთი ოროთახიანი და ერთი ოთხოთახიანი ბინა ქ. ქუთაისში, ...ის ქუჩაზე; ე) დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ 2020 წლის 28 დეკემბერს გამოსცა №03-3433/ო ბრძანება მოსარჩელის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ, სადაც ოჯახის წევრებად მითითებული არიან: მ. ჭ-ი, ნ. ქ-ა, ა. ქ-ა, ლ. ქ-ა, არ. ჭ-ი, დ. გ-ე, გ. ჭ-ი, მ. ყ-ი, ალ. ჭ-ი და ი. ჭ-ი; ვ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად ჩატარდა კენჭისყრა, სადაც გამოცხადდა მოსარჩელის ოჯახი, მათ შორის, თავად ლ. ჭ-ი და 2020 წლის 23 ოქტომბერს ოჯახის თერთმეტივე წევრთან გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი №266 და წერილობითი თანხმობა ბინების მიღებაზე, რომელსაც ლ. ჭ-იმაც მოაწერა ხელი. ოჯახის წევრებს გააჩნდათ ორი განსხვავებული სარეგისტრაციო ნომერი, კერძოდ, 6 წევრის სარეგისტრაციო ნომერი იყო – 061-05114, 2 წევრის – 061-05289, ხოლო ორი წევრი არის არადევნილი; ზ) მიღება-ჩაბარების აქტში, მოსარჩელის მეუღლე და არასრულწლოვანი შვილები მითითებული არ არიან ოჯახის წევრებად.

სასამართლომ განმარტა, რომ დევნილი ოჯახის განსაზღვრის ერთ-ერთ კრიტერიუმს პირთა მუდმივად ცხოვრების ფაქტი წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული პირების მოსარჩელის ოჯახის წევრად მიჩნევის საფუძვლად დასახელებულია, მხოლოდ და მხოლოდ ის გარემოება, რომ მას გააჩნია დევნილის იგივე სარეგისტრაციო ნომერი, რაც სხვა ოჯახის წევრებს. აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგება კანონის მიზნებს და იმ ფუნდამენტურ უფლებას, რასაც ერთ ოჯახად ცხოვრების გამო ბინით უზრუნველყოფა წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა შესწავლილი მოსარჩელის ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტი და მხოლოდ სარეგისტრაციო ნომერზე დაყრდნობით, უგულებელყოფილ იქნა ლ. ჭის უფლება – ცალკე ცხოვრების ფაქტის არსებობის პირობებში დაკმაყოფილდეს, როგორც ცალკე ოჯახი. ამასთან, საგულისხმოა, რომ თუ დადასტურდება სადავო აქტის გამოცემის პერიოდში მოსარჩელისა და სხვა პირების ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი, მოპასუხემ უნდა გაითვალისწინოს მოსარჩელის ოჯახის წევრები (მეუღლე და შვილები) პირთა რიცხოვნობის განსაზღვრისას, რადგან მოსარჩელის მეუღლის 2016 წელს ცალკე ოჯახად დაკმაყოფილება არ გულისხმობს მოსარჩელის, როგორც დევნილი პირის დაკმაყოფილების წინაპირობას. ამრიგად, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს მოსარჩელის და მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული პირების ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი, ასევე, მიღება-ჩაბარების აქტში პირთა რიცხოვნობა, მოსარჩელის მეუღლისა და შვილების გათვალისწინებით და სადავო აქტის გამოცემის დროისთვის და მიღებული ინფორმაციის შესწავლის შემდგომ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მოსარჩელეებისთვის კრიტერიუმების მინიჭების გარეშე გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საკითხის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევის, ურთიერთშეჯერებისა და შეფასების შემდეგ, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება – არსებობს თუ არა მოსარჩელეებთან მიმართებით საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის საფუძველი და უშუალოდ მოსარჩელეებთან მიმართებით, კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით, გამოიკვლიოს მათი ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტი, ასევე, მიღება-ჩაბარების აქტში პირთა რიცხოვნობა, მოსარჩელის მეუღლისა და შვილების გათვალისწინებით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხის გადაწყვეტისათვის, რამეთუ შესაძლოა აღნიშნული გახდეს მოსარჩელებისათვის ხელსაყრელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველი.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 9 მარტის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ასევე არ დაკმაყოფილდა ლ. ჭ-ის, ს. ჭ-ის და ა. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, დედას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსარჩელე ლ. ჭ-ი არის იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი, რომელსაც მინიჭებული აქვს დევნილის სტატუსი. მას ჰყავს მეუღლე – ნ. რ-ე და ორი არასრულწლოვანი შვილი – ს. და ა. ჭ-ი. მოცემულ ეტაპზე სასამართლო შეფასების საგანს წარმოადგენს, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, არსებობს თუ არა მოსარჩელეთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ოჯახი არის ერთად მცხოვრებ ადმიანთა ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო ოჯახური ყოფით. ერთად მცხოვრებ პირთა ჯგუფის ოჯახად მიჩნევისთვის განმსაზღვრელია არა ნათესაური კავშირი, არამედ ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის გაძღოლის ფაქტი. საგულისხმოა, რომ ოჯახის ცნებასთან მიმართებაში ამავე განმარტებას ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა შესწავლილი მოსარჩელის ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტი და მხოლოდ სარეგისტრაციო ნომერზე დაყრდნობით, უგულებელყოფილ იქნა ლ. ჭ-ის უფლება – დაკმაყოფილდეს, როგორც ცალკე ოჯახი. თუ დადასტურდება სადავო აქტის გამოცემის პერიოდში მოსარჩელისა და სხვა პირების ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი, მოპასუხემ უნდა გაითვალისწინოს მოსარჩელის ოჯახის წევრები (მეუღლე და შვილები) პირთა რიცხოვნობის განსაზღვრისას, რადგან მოსარჩელის მეუღლის 2016 წელს ცალკე ოჯახად დაკმაყოფი-

ლება არ გულისხმობს მოსარჩელის, როგორც დევნილი პირის დაკმაყოფილების წინაპირობას.

სააპელაციო პალატის განმარტებით, საკითხის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაადგინოს არსებობს თუ არა მოსარჩელებთან მიმართებით საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის საფუძველი და უშუალოდ მოსარჩელებთან მიმართებით, კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით, გამოიკვლიოს მათი ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტი, ასევე, მიღება-ჩაბარების აქტში პირთა რიცხოვნობა, მოსარჩელის მეუღლისა და შვილების გათვალისწინებით და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 9 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ.

კასატორის განმარტებით, სადავო აქტის გამოცემისას სააგენტომ მოსარჩელის ოჯახის საცხოვრებელი უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები სრულყოფილად და ამომწურავად შეისწავლა და მოთხოვნა დააკმაყოფილა იმ მოცემულობით, როგორც ობიექტის აღწერისას მონიტორინგის ფორმაში იყო მითითებული. საყურადღებოა, რომ მოსარჩელის ოჯახი გამოცხადდა კენჭისყრაზე, ხელი მოაწერეს თანხმობის წერილს და მიღება-ჩაბარების აქტს. ამდენად, ფართის გადაცემის არც ერთ ეტაპზე ოჯახის არც ერთ წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს შემადგენლობასთან დაკავშირებით. მხოლოდ სააგენტოს დირექტორის მიერ აქტის გამოცემის შემდეგ გახდა ლ. ჭ-იმა დაკმაყოფილების თაობაზე ბრძანება სადავო. მოსარჩელე და ბრძანების დანართში, ასევე მონიტორინგის ოქმში მითითებული პირები რეალურად ცხოვრობდნენ ერთად, ერთ მისამართზე და ერთ სარეგისტრაციო ნომერზე. კანონი მიზნებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთი სარეგისტრაციო ნომრის არსებობა, არამედ ნათესაური ან თუნდაც არანათესაური კავშირის მქონე პირების მუდმივად ერთად ცხოვრება და შინასამეურნეო საქმიანობის ერთად განხორციელების ფაქტის არსებობა. ოჯახის წევრებად უნდა ჩაითვალოს ის პირები, რომლებიც ერთ ფართში ცხოვრობენ და ერთად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას. ამრიგად, სადავოდ გამხდარი ბრძანებით მოხდა ორ განსხვავებულ სარეგისტრაციო ნომერზე მყოფი და ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების დაკმაყოფილება. სულადობის გათვალისწინებით მათზე მოხდა ერთი 2-ოთახიანი და ერთი 4-ოთახიანი ბინის გადაცემა. ლ. ჭ-ის, როგორც ერთ-ერთ სარეგისტრაციო ნომერზე (061-05114) მყოფ პირს, ოჯახის წევრებთან ერთად გადაეცა

საცხოვრებელი. ასევე, გაუგებარია სასამართლოს მითითება, რომ კომპენსირებული ჰირების გათვალისწინება მოხდეს მხარის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხის ხელახლა განხილვისას. მოსარჩელის მეუღლე და შესაბამისად, დამავალი შტოს წარმომადგენლები შვილები – ა. და ს. ჭ-იები სახელმწიფოსგან ერთხელ უკვე არიან საცხოვრებლით უზრუნველყოფილი და მათი დაკმაყოფილების საკითხის ხელახლა განხილვა ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს და მიზნებს.

კასატორის განმარტებით, 2020 წლის 20 ოქტომბერს, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის სხდომის ოქმის (ოქმი №62) შესაბამისად, განხორციელდა მონიტორინგს დაქვემდებარებული 28 ნგრევადი და სიცოცხლისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტის აღწერა, მათში ფაქტობრივად მცხოვრებ დევნილ ოჯახთა განსაზღვრა, შესაბამისი ოქმების შედგენა და ფოტომასალის მომზადება. ერთ-ერთ ასეთ ობიექტს განეკუთვნებოდა ქალაქ ქუთაისში, ...ის ქ. №1-ში მდებარე ნგრევადი ობიექტი შპს „...“ (...). 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების შესაბამისად (დღეს მოქმედი 2021 წლის 8 აპრილის 01-30/5 ბრძანება), განხორციელდა აღნიშნულ ობიექტში ფაქტობრივად მცხოვრები დევნილი ოჯახების აღწერა. 2002 წლის 30 ივნისს მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ზემოაღნიშნულ ობიექტზე იქ ფაქტობრივად მცხოვრები დევნილი ოჯახების აღწერის მიზნით. მოსარჩელის ოჯახის წევრების მხოლოდ ნაწილი იყო მისამართზე, სწორედ მათთან შედგა გასაუბრება და შეივსო მონიტორინგის ფორმაც. მონიტორინგის განხორციელების დროს ლ. ჭ-ი ოჯახის უფროსმა – მ. ჭ-იმა მიუთითა ოჯახის წევრად და მასთან დაკავშირება განმარტა, რომ ლ. მეუღლესთან – ნ. რ-ესთან ერთად იმყოფებოდა ნალკაში, ნ.-ს მშობლებთან. დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ 2020 წლის 20 ოქტომბერს (სხდომის ოქმი №52) იმსჯელა მოსარჩელის და მისი ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხზე და გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა დევნილი ოჯახი კრიტერიუმების მინიჭების გარეშე სულადობის გათვალისწინებით, ერთი ორთახიანი და ერთი ოთხოთახიანი ბინით ქ. ქუთაისში, ...ის ქუჩაზე. მინისტრის №320 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად ჩატარდა კენჭისყრა, ოჯახი გამოცხადდა კენჭისყრაზე და 2020 წლის 23 ოქტომბერს ოჯახთან გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი №266 და წერილობითი თანხმობა, რომელსაც ოჯახის ყველა წევრმა, მათ შორის, ლ. ჭ-იმა ხელი მოაწერა. ის ფაქტი, რომ დევნილ ოჯახს უნდა გადაცემოდა ერთი 2-ოთახიანი და ერთი 4-ოთახიანი ბინა, მათ სადავოდ არ გაუხდიათ. ამას მოწმობს მათ მიერ წერილობით თანხმობაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე

ხელმონერა. შესაბამისად, დევნილი ოჯახისთვის ცნობილი იყო, რომ სააგენტომ მათ გადასცა ბინა (ოროთახიანი და ოთხოთახიანი), რაც შეესაბამებოდა ნორმატიული აქტით დადგენილ სტანდარტებს.

კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის და მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული პირების ერთ ოჯახად ცხოვრება დგინდება საქმეში წარმოდგენილი მონიტორინგის ოქმის მიხედვით. მხარეები არიან ქმედუნარიანი, სრულწლოვანი პირები და ზემოაღნიშნულ დოკუმენტებზე ხელმონერის დროს გამოხატეს თავისუფალი ნება და თანხმობა საცხოვრებელ ფართის მიღებაზე შეთავაზებული პირობებით. ამასთან, მხარე თავად აღნიშნავდა, რომ მისი მეუღლე ნ. რ-ე, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე დაკმაყოფილებულია საცხოვრებელი ბინით. შესაგებელს თან ერთვოდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია 2016 წლის 25 ოქტომბერს და რომლის თანახმადაც მოხდა ნ. რ-ეის დაკმაყოფილება. კანონის, მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც დამავალი შტო, დაკმაყოფილებულად ითვლებიან დედის – ნ. რ-ეის სარეგისტრაციო ნომერზე მყოფი შვილებიც – ა. და ს. ჭ-იები. ამდენად, ასეთი მოცემულობის პირობებში სასამართლომ არასწორად დაავალა სააგენტოს, რომ საკითხის ხელახლა განხილვისას კომპენსირებული პირებიც განხილოს ოჯახის შემადგენლობაში.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ივლისის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი არსებითად განხილული იქნებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ

შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) მოსარჩელე – ლ. ჭ-ი არის იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი. მას ჰყავს მეუღლე – ნ. რ-ე და ორი არასრულწლოვანი შვილი – ს. და ა. ჭ-იები; ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 ოქმის თანახმად, ქ. ქუთაისში, კ. ...ის ქ. №1-ში მდებარე ობიექტი – შპს „...“ (...) განხილულ იქნა, როგორც ნგრევადი და იქმცხოვრები დევნილი ოჯახების განსახლების საკითხი გადაწყდა კრიტიკული მინიჭების გარეშე; გ) საქმეზე წარმოდგენილი მონიტორინგის ჯგუფის 2020 წლის 30 ივნისის ადგილზე აღწერის ფორმით დასტურდება, რომ აღწერის მიზნით მონიტორინგი განხორციელდა ქ. ქუთაისში, კ. ...ის ქ. №1-ში მდებარე ობიექტში – შპს „...ში“ (...), სადაც დახვდათ მოსარჩელები ოჯახის წევრების ნაწილი, თავად მოსარჩელე ობიექტზე არ იმყოფებოდა. მონიტორინგის განხორციელების დროს ოჯახის უფროსმა მ. ჭ-მა ერთ-ერთ ოჯახის წევრად მიუთითა ლ. ჭ-ი, ამასთან, განმარტა, რომ ლ. მეუღლესთან – ნ. რ-ესთან ერთად იმყოფებოდა წალკაში, ნ.-ს მშობლებთან; დ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 ოქმის თანახმად, მოსარჩელის და მისი ოჯახის საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხი გადაწყდა და მათ, კრიტიკულ მინიჭების გარეშე, სულადობის გათვალისწინებით გადაეცათ ერთი ოროთახიანი და ერთი ოთხოთახიანი ბინა ქ. ქუთაისში, ...ის ქუჩაზე; ე) დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ 2020 წლის 28 დეკემბერს გამოსცა №03-3433/ო ბრძანება მოსარჩელის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ, სადაც ოჯახის წევრებად მითითებული არიან: მ. ჭ-ი, ნ. ქ-ა, ა. ქ-ა, ლ. ქ-ა, არ. ჭ-ი, დ. გ-ე, გ. ჭ-ი, მ. ყ-ი, ალ. ჭ-ი და ი. ჭ-ი; ვ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად, ჩატარდა კენჭისყრა, სადაც გამოცხადდა მოსარჩელის ოჯახი, მათ შორის, თავად ლ. ჭ-ი და 2020 წლის 23 ოქტომბერს ოჯახის თერთმეტივე წევრთან გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი №266 და წერილობითი თანხმობა ბინების მიღებაზე, რომელსაც ლ. ჭ-იმაც მოაწერა ხელი. ოჯახის წევრებს გააჩნდათ ორი განსხვავებული სარეგისტრაციო ნომერი, კერძოდ, 6 ნევრის სარეგისტრაცი-

ციო ნომერი იყო – 061-05114, 2 ნევრის – 061-05289, ხოლო ორი ნევრი არის არადევნილი; ზ) მიღება-ჩაბარების აქტში, მოსარჩელის მეუღლე და არასრულწლოვანი შვილები მითითებული არ არიან ოჯახის ნევრებად; თ) ლ. ჭ-იმა 2021 წლის 25 მარტს განცხადებით მიმართა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს და განმარტა, რომ განსახლების პროცესში მისი ოჯახი შეუერთდა ძმის ოჯახს, რასაც არ ეთანხმება და ითხოვს დაკმაყოფილდეს საცხოვრებელი ბინით, როგორც ცალკე ოჯახი; ი) სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 8 აპრილის მიმართვით ლ. ჭ-ის ეცნობა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის სხდომის №62 ოქმის შესაბამისად, ლ. ჭ-ის ოჯახს გადაეცა 4+2 ოთახიანი საცხოვრებელი ფართი. აღნიშნულიდან გამომდინარე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას ხელახლა განიხილოს მისი ოჯახის საცხოვრებელი პირობები.

მოცემულ შემთხვევაში დავის არსს და სასამართლოს მსჯელობის ძირითად საგანს სწორედ „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 28 დეკემბრის №03-3433/ო ბრძანების – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასება წარმოადგენს, კერძოდ, რამდენად ობიექტურად იქნა გათვალისწინებული ლ. ჭ-ის და მისი შვილების – ს. ჭ-ის და ა. ჭ-ის ინტერესები აღნიშნული ბრძანების გამოცემისას, რომლის საფუძველზეც ოჯახს გადაეცა ერთი ოროთახიანი და ერთი ოთხთახიანი საცხოვრებელი ფართი. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 8 აპრილის მიმართვა ადასტურებს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ლ. ჭ-ის მიიჩნევს იმ პირად, რომელსაც დევნილის სტატუსიდან გამომდინარე ერთხელ უკვე აქვს მიღებული საცხოვრებელი ფართი, ხოლო ს. ჭ-ის და ა. ჭ-ის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრებით, ვინაიდან მათი დედა – ნ. რ-ე, როგორც დევნილი პირი უზრუნველყოფილია გრძელვადიანი საცხოვრებლით, სახელმწიფოს მოეხსნა ვალდებულება დააკმაყოფილოს ისინი საცხოვრებელი ფართით, როგორც დამავალი შტოს შთამომავლები.

ქვედა ინსტანციის სასამართლობმა სადავო აქტის კანონშეუსაბამობის დადგენისას და მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფი-

ლების ძირითად არგუმენტად მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა შესწავლილი მოსარჩელის ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტი და მხოლოდ სარეგისტრაციო ნომერზე დაყრდნობით, უგულებელყოფილ იქნა ლ. ჭ-ის უფლება დაკმაყოფილდეს, როგორც ცალკე ოჯახი. ამასთან, სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ თუ დადასტურდება, სადავო აქტის გამოცემის პერიოდში მოსარჩელისა და სხვა პირების ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი, მოპასუხემ უნდა გაითვალისწინოს მოსარჩელის ოჯახის წევრები (მეუღლე და შვილები) პირთა რიცხოვნობის განსაზღვრისას, რადგან მოსარჩელის მეუღლის 2016 წელს ცალკე ოჯახად დაკმაყოფილება არ გულისხმობს მოსარჩელის, როგორც დევნილი პირის დაკმაყოფილების წინაპირობას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს მოსარჩელის და მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული პირების ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი, ასევე, მიღება-ჩაბარების აქტში პირთა რიცხოვნობა, მოსარჩელის მეუღლისა და შვილების გათვალისწინებით და სადავო აქტის გამოცემის დროისთვის და მიღებული ინფორმაციის შესწავლის შემდგომ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მოსარჩელეებისთვის კრიტერიუმების მინიჭების გარეშე გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს.

ამავე კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განმარტებულია, რომ დევნილის რეგისტრაციის ადგილი არის სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში აღნიშნული დევნილის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი დევნილობის პერიოდში დარეგისტრირდა, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა; ხოლო „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი — დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი რეგისტრაციის გარეშე ფაქტობრივად ცხოვრობს.

მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადასტურებულია, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 28 დეკემბრის №03-3433/ო ბრძანებით გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა განხორცი-

ელდა ორ სარეგისტრაციო ნომერზე რეგისტრირებული თერთმეტ-ნევრიანი ოჯახის, კერძოდ, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდნენ მ. ჭ-ი, ნ. ქ-ა, ა. ქ-ა, ლ. ქ-ა, არ. ჭ-ი, დ. გ-ე, გ. ჭ-ი, მ. ყ-ი, ალ. ჭ-ი, ი. ჭ-ი და ლ. ჭ-ი. ასევე დადგენილია, რომ მ. ჭ-ი, ნ. ქ-ა, არ. ჭ-ი, გ. ჭ-ი, ალ. ჭ-ი, ი. ჭ-ი და ლ. ჭ-ი რეგისტრირებული არიან ნომრით 061-05114, ა. ქ-ა და ლ. ქ-ა რეგისტრირებული არიან ნომრით 061-05289, ხოლო დ. გ-ე და მ. ყ-ი არიან ოჯახის არადგენილი წევრები. ამასთან საყურადღებოა, რომ მოსარჩელის მეუღლე და შვილები ზემოაღნიშნული ოჯახის შემადგენლობაში გათვალისწინებულნი არ არიან.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს დგენილი ოჯახის ცნების განმარტებას, რასაც ითვალისწინებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი. მოცემული ნორმის მიხედვით, დევნილი ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრებ, ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადგენილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი).

ამავე მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შინასამეურნეო საქმიანობა (საერთო საოჯახო მეურნეობა) არის ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ მიმართული საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელი ადგილის ერთობლივ გამოყენებას, მოვლა-პატრონობას, ოჯახისათვის საჭირო საარსებო საშუალებათა მოპოვებას და ამ საშუალებების (შემოსავლები და ხარჯები) ოჯახის საკეთილდღეოდ განკარგვა-განაწილებას.

მოცემულ შემთხვევაში ლ. ჭ-ი განმარტავს, რომ მისი ოჯახი არ შედგება სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 28 დეკემბრის №03-3433/ო ბრძანებით გათვალისწინებული პირებისაგან, არამედ მისი ოჯახის წევრები არიან: მეუღლე ნ. რ-ე, შვილები – ს. და ა. ჭ-ბი. ისინი ცხოვრობენ შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ...ის ქუჩა №1, შპს „...“ (...), თუმცა განცალკევებით ზემოაღნიშნულ ბრძანებაში დასახელებული პირებისაგან და ეწევიან დამოუკიდებელ შინასამეურნეო საქმიანობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთი, მართალია, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება, თუმცა აღნიშნული დანაწესი არ ათავისუფლებს მოსარჩელეს სარჩელის დასაბუთების, თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობის დამდგენი ფაქტობრივი გარემოებე-

ბის მითითებისა და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმდგენის ვალდებულებისაგან. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მტკიცების ტვირთი არის მათ მიერ მითითებული გარემოების სათანადო მტკიცებულებებით დადასტურება იმის თაობაზე, რომ წარმოდგენდნენ ცალკე ოჯახს და გააჩნდათ სადავო ბრძანებაში დასახელებული პირებისაგან განცალკევებული საოჯახო მეურნეობა, ხოლო ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. მოსარჩელები მხოლოდ მითითებით შემოიფარგლნენ, რომ არ არიან გასაჩივრებულ ბრძანებაში დასახელებული პირების ოჯახის წევრები, თუმცა საქმეში აღნიშნულის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის. მათ მიერ არათუ ცალკე ოჯახად ცხოვრების და დამოუკიდებლად შინასამეურნეო საქმიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი (არც მითითებული), არამედ ისიც კი არ მიუთითებიათ ქუთაისში, კ. ...ის ქ. №1-ში მდებარე ობიექტში – შპს „...ში“ (...) რა ფართი ჰქონდათ დაკავებული. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ უდავოდ დადგენილია, რომ მონიტორინგის ჯგუფის მიერ ქ. ქუთაისში, კ. ...ის ქ. №1-ში მდებარე ობიექტში – შპს „...ში“ (...), 2020 წლის 30 ივნისს ადგილზე აღწერის დროს არც ლ. ჭ-ი და არც მისი მეუღლე და შვილები ადგილზე არ იმყოფებოდნენ, ხოლო ოჯახის უფროსმა – მ. ჭ-მა ოჯახის წევრად მხოლოდ ლ. ჭ-ი დაასახელა. ამასთან საყურადღებოა, რომ ლ. ჭ-ი მონაწილეობდა, როგორც ბინების განაწილების მიზნით გამართულ კენჭისყრაში, ასევე მან მონაწილეობა მიიღო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაში და წერილობით გამოხატა თანხმობა იგი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებული ყოფილიყო, როგორც მ. ჭ-ის, ნ. ქ-ას, ა. ქ-ას, ლ. ქ-ას, არ. ჭ-ის, დ. გ-ის, გ. ჭ-ის, მ. ყ-ის, აღ. ჭ-ის და ი. ჭ-ის ოჯახის წევრი. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება რაიმე უკანონო სახის ზემოქმედება ლ. ჭ-ზე, რაც მას აიძულებდა მისი ნების საწინააღმდეგოდ ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების მიღებისას, გარდა იმისა, რომ არ გამოუკვლევია მოსარჩელეთა ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტი, ამასთან შეფასება არ მიუცია ლ. ჭ-ის მიერ მიღება-ჩაბარების აქტსა და საცხოვრებელი ფართის მიღების შესახებ წერილობით თანხმობაზე ხელმოწერისათვის.

დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის მე-3 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად დევნილ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განცხადებები დაკმაყოფილდა ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამის

სად, კონკრეტული საცხოვრებელი ფართები სადარბაზოებისა და სართულების მიხედვით გაუნაწილებათ, კომისიის მიერ ჩატარებული კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით.

ამავე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად კი, ამ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით, დევნილი ოჯახი ვალდებულია განაცხადოს წერილობითი თანხმობა, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, სამინისტროს მიერ შეთავაზებული კონკრეტული საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე. აღნიშნული თანხმობისა და კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, გასანაწილებელი ფართების დაკავების მსურველთა განაცხადების დაკმაყოფილების შესახებ, გამოიცემა მინისტრის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოადგენს განმცხადებლისა და მისი ოჯახის წევრების, კანონმდებლობის შესაბამისად, კონკრეტულ გასანაწილებელ საცხოვრებელ ფართ(ებ)ში განსახლების საფუძველს. ამ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს საცხოვრებელი ფართის კონკრეტულ მისამართს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ღონისძიებები ეფუძნება დევნილების გადაწყვეტილების ნებაყოფლობასა და თავისუფალი არჩევნების პრინციპს, რომლის გათვალისწინებით დევნილები საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში ნებაყოფლობით და ზეგავლენის გარეშე იღებენ ძირითად გადაწყვეტილებებს. საკასაციო სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში ლ. ჭ-ის მიმართ არ დასტურდება არანაირი სახით უკანონო მოქმედება, რამაც მას მიღება-ჩაბარების აქტსა და წერილობით თანხმობაზე ხელის მოწერა აიძულა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა. სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელების მიერ არათუ წარმოდგენილი არ არის ქუთაისში, კ. ...ის ქ. №1-ში მდებარე ობიექტში – შპს „...ში“ (...) ცალკე ოჯახად ცხოვრების დამადასტურებელი მტკიცებულებები, არამედ ასეთ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებაც კი არ არის განხორციელებული სარჩელსა და სასამართლო სხდომაზე გაკეთებულ ახსნა-განმარტებაში, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს განჩინებით და რომლითაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 28 დეკემბრის №03-3433/ო ბრძანების დანართი, იმ ნაწილში, რომელიც ეხება, მოსარჩელე ლ. ჭ-ის; ასევე, მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალა, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელეთა ოჯახთან დაკავშირებით კანონით დადგენილ ვადაში, ვინაიდან მოსარჩელეთა ქ. ქუთაისში, კ. ...ის ქ. №1-ში მდებარე ობიექტში – შპს „...ში“ (...) ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტის დადგენის გარეშე, არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონის დარღვევა და

გადაწყვეტილების მიღების ფაქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის გარეშე, რაც შესაძლოა სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი გამხდარიყო.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია, წინამდებარე დავის ფარგლებში განმარტოს კასატორის მიერ მითითებული სადავო საკითხი იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ რადგან მოსარჩელის მეუღლე ნ. რ-ე, როგორც დევნილი პირი დაკმაყოფილებულია გრძელვადიანი საცხოვრებლით, უნდა მოხდეს თუ არა ამ უკანასკნელის, ასევე მისი შვილების (დამავალი შტოს ნათესავები) – ა. და ს. ჭ-ების გათვალისწინება და აღნიშნულის მიხედვით განისაზღვროს ლ. ჭ-ისათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის მოცულობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ნიშნავს დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემას ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფას.

ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ დევნილი ოჯახი უზრუნველყოფილია გრძელვადიანი საცხოვრებლით, სახელმწიფოს ეხსნება დევნილის ან მისი ოჯახის წევრთა პირდაპირი დამავალი შტოს შთამომავლების საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების ვალდებულება, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ლ. ჭ-ის მეუღლე ნ. რ-ე, როგორც დევნილი პირი უზრუნველყოფილია გრძელვადიანი საცხოვრებლით და აღნიშნული განხორციელდა 2016 წელს, ანუ ჯერ კიდევ მოსარჩელესთან ქორწინებამდე. ასევე დადგენილია, რომ ლ. ჭ-ის და ნ. რ-ის შვილები, მოსარჩელები – ა. და ს. ჭ-ები დაიბადნენ 2017 წელს და 2019 წელს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმიდან გამომდინარე, მოსარჩელები ა. და ს. ჭ-ები, როგორც ნ. რ-ის პირდაპირი დამავალი შტოს შთამომავლები, ითვლებიან საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილებულად, თუმცა მოცემულ შემთხვევაში თუ დადგინდება, რომ ლ.

ჭ-ის ოჯახი არის ქ. ქუთაისში კ. ...ის ქ. №1-ში მდებარე ობიექტში – შპს „...ში“ (...) განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები დევნილი ოჯახი და მისი წევრები არიან ნ. რ-ე, ს. და ა. ჭ-სები, ეს ფაქტობრივი გარემოება გათვალისწინებული უნდა იქნეს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის დროს. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა, როგორც „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ოჯახის წევრებად არადევნილი პირებიც მოიაზრებიან, ასევე სადავო საკითხის ასეთივე მოწესრიგებაზე მიუთითებს დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის მე-4 მუხლის მე-10 პუნქტი, რომლის თანახმად, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დევნილი ოჯახ(ებ)ისათვის საცხოვრებელი ფართ(ებ)ის შეთავაზებისას, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: ა) საპირისპირო სქესის დაუქორწინებელი სრულწლოვანი დევნილები (მაგ: სრულწლოვანი და-ძმა, მარტოხელა მშობელი და სრულწლოვანი შვილი) არ უნდა განსახლდნენ საერთო ოთახში; ბ) არასრულწლოვანი ოჯახის წევრები, მეუღლეები და ერთი სქესის სრულწლოვანი დევნილები შესაძლებელია განსახლდნენ ერთ ოთახში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 9 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დეკნელი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-181(კ-22)

12 ოქტომბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ბ-ამ 2019 წლის 30 დეკემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართ და დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №04-2337/ო ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე მოპასუხისთვის, მოსარჩელის ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მო-

ითხოვა.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელე არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი, რომელიც 1993 წლიდან დღემდე ცხოვრობს ავარიულ და ნგრევად ობიექტში, ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №5-ში მდებარე ... „...“ შენობაში. 2010 წელს დაქორწინდა და ჰყავს მეუღლე და 2 შვილი. მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, ისინი ითხოვდნენ გრძელვადიან საცხოვრებელ ფართს. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს დევნილთა განსახლების ობიექტი, როგორც ნგრევადი და სიცოცხლისთვის საშიში, გათვალისწინებულ იქნა დასახურ ობიექტთა სიაში, ხოლო იქ მცხოვრები დევნილები მოხვდნენ ფართით უპირობოდ დასაკმაყოფილებელ ოჯახთა სიაში.

კასატორის მითითებით, 2019 წლის აგვისტოში მათ საცხოვრებელ ფართში იმყოფებოდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელმაც დააფიქსირა მოსარჩელის ნგრევად შენობაში ცხოვრების ფაქტი. 2019 წლის 11 დეკემბერს კი, მოსარჩელემ იმავე მისამართზე მიიღო სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2019 წლის 11 დეკემბრის №03/225 ნერილი და მასზე თანდართული, ნგრევად ობიექტში ფაქტობრივად არცხოვრების გამო, „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ“ იმავე სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №04-2337/ო ბრძანება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სადავო ბრძანებით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ეთქვა უარი გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე ოჯახის ფაქტობრივი საცხოვრებლის არსებობის საფუძვლით, რაც არასწორია. ამდენად, მოსარჩელემ სადავო აქტის ბათილად ცნობა და გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების შესახებ მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ბ.-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი. ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი. დევნილის სტატუსი აქვთ ასევე მინიჭებული ა. ბ.-ას შვილებს – ა. ბ.-ს და ი. ბ.-ს. დევნილი ოჯახის დროებით საცხოვრებელ ადგილად მითითებულია ქალაქი თბილისი, ..., ...ის ქ. №5, ... „...“ (...);

ა. ბ.-ამ 2018 წლის 5 ოქტომბერს ოჯახის სახელით შეავსო განაცხადი საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე, რომელშიც აღ-

ნიშნა, რომ მისი ოჯახი არ არის სოციალურ პროგრამაში და ოჯახის ამჟამინდელი საცხოვრებელი სტატუსი არის ყოფილი დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი. საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადების შეფასების ელექტრონული ფორმის თანახმად, ა. ბ-ას განაცხადი, კრიტერიუმების მიხედვით, შეფასდა 0 ქულით;

2019 წლის 11 ივნისს ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №5-ში, ... „...“ შენობაში განხორციელდა მონიტორინგი, სადაც მონიტორინგის თანამშრომლებს დახვდათ ოჯახის უფროსი წევრი – ი. ბ-ა და მისი მეუღლე – თ. ბ-ა. შვილი – ირ. ბ-ა და რძალი – ნ. მ-ი იმყოფებოდნენ სამუშაოდ. მათივე განმარტებით, მეორე შვილი – ა. ბ-ა და რძალი – ო. დ-ი ცხოვრობდნენ ქირით, მისამართზე: თბილისი, ... ქ. №12. დამატებითი ინფორმაციის გრაფაში მითითებულია, რომ 1994 წლიდან დღემდე ოჯახს დაკავებული აქვს ზემოაღნიშნული ფართი – 28 კვ.მ.. ოჯახის უფროსებს მშობლები გარდაცვლილები ჰყავთ. რძლის – ნ. მ-ის მშობლები კი ცხოვრობენ ქირით ...ის გამზირზე. რძლის და-ძმა ცხოვრობენ მშობლებთან ერთად. მეორე რძალი – ო. დ-ი არის ორმაგი მოქალაქე, მისი მშობლები და და ცხოვრობენ უკრაინაში;

2019 წლის 30 აგვისტოს საკითხის შემსწავლელი ორგანოს წარმომადგენლები დამატებითი მოკვლევის მიზნით, გამოცხადნენ ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №12-ში, ა. ბ-ას მიერ გასხვისებულ სახლში, სადაც გასაუბრება მოხდა ა. ბ-ასთან, ასევე, ვიზიტის დროს ადგილზე დახვდათ სტუმრად მისული დედა – თ.ბ-ა და ძმა – ირ. ბ-ა. გასაუბრებისას გაირკვა, რომ მამას – ი. ბ-ას საკუთრებაში ჰქონდა სახლი (თბილისი, ...ის ქუჩის მიმდებარედ), რომელიც ფინანსური პრობლემების გამო ოჯახმა გაყიდა და დარჩენილი დანაზოგით იყიდა ...ის ქუჩაზე მიწის ნაკვეთი. ოჯახმა დაიწყო მშენებლობა, რისთვისაც საქართველოს ბანკიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან აიღო სესხები და ააშენეს სახლი. ასევე გაირკვა, რომ ა. ბ-ას ოჯახს როგორც ბანკში, ასევე კერძო იპოთეკარებთან, შეექმნა ფინანსური პრობლემები, რის გამოც ოჯახი იძულებული გახდა 2019 წლის თებერვალში გაეყიდა ...ის ქუჩაზე მდებარე სახლი ვინმე თ. შ-ზე, რომელიც არის ა. ბ-ას დედის მხრიდან ნათესავი (შორეული), რომელთანაც მას აქვს ქირავნობის ხელშეკრულება გაფორმებული (ქირა 800 ლარი). დამატებით ა. ბ-ამ განმარტა, რომ ...ის ქუჩაზე ცხოვრობს მეუღლესა და შვილებთან ერთად;

საჯარო რეესტრის 2017 წლის 5 მაისის ამონაწერის თანახმად, დასტურდება, რომ ა. ბ-ას სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იყო ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №12-ში (ს/კ ...) მდებარე უძრავი ქონება, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძ-

ველზე იყიდა თ. შ-მ. საჯარო რეესტრის 2019 წლის 2 სექტემბრის ამონაწერის თანახმად კი, აღნიშნული უძრავი ქონება ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მ. მ-ის სახელზე.

დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის №39 სხდომის ოქმის თანახმად, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნის შესაბამისად, განხილულ იქნა საკითხი ყველაზე მწვავე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი 20 ნგრევადი ობიექტისა და სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე 5 ობიექტის, მათ შორის, ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №5-ში მდებარე ... „...“ დახურვის შედეგად, სიცოცხლისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ნგრევადი ობიექტებიდან მათში ფაქტობრივად მცხოვრებ დევნილ ოჯახთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ. ამავე ოქმის საფუძველზე, ა. ბ-ას უარი ეთქვა საცხოვრებელი დაკმაყოფილებაზე, ნგრევად ობიექტში ფაქტობრივად არცხოვრების გამო.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით (სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქცია) დამტკიცებულ დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესით დადგენილ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმებზე. კერძოდ, მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში). ამგვარი ობიექტების მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს სამინისტროს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით. ამასთან, ამავე წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია, რომ ამ წესის შესაბამისად, არ განიხილება იმ დევნილი ოჯახების განაცხადები, რომლებსაც, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი ფართი ან/და ერთჯე-

რადი ფულადი დახმარება გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ბოლო ეტაპზე განიხილება იმ დევნილი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომლებიც არ საჭიროებენ გრძელვადიან განსახლებას, მათ შორის, იმ დევნილი ოჯახების, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)მა საკუთარი სახსრებით შეიძინეს საცხოვრებელი ფართი.

სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება – უზრუნველყოს დევნილი ოჯახი გრძელვადიანი საცხოვრებელით, როგორც წესი, ხორციელდება კრიტერიუმების საფუძველზე, საჭიროებათა პრიორიტეტულობის პრინციპით, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, მათ შორის იმ შემთხვევაში, თუ შენობა, რომელშიც დევნილი ოჯახი ცხოვრობს წარმოადგენს ნგრევად საშიშს, ამ ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა, ოჯახის უსაფრთხოების მიზნით განხორციელდება მინიჭებულ ქულათა მიუხედავად, კრიტერიუმების გარეშე. შესაბამისად, დევნილი ოჯახის, ქულათა მიუხედავად, კრიტერიუმების გარეშე, დაუყოვნებლად გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფისათვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას დევნილი ოჯახის ნგრევად საშიშ შენობაში ფაქტობრივად ცხოვრება წარმოადგენს.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალებით დასტურდებოდა მოსარჩელის ოჯახის ფაქტობრივ მფლობელობაში, კერძოდ, ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №12-ში მდებარე საცხოვრებელის სახლის არსებობა. საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით და მოწმის ჩვენებით უარყოფილია მოსარჩელე ა. ბ-ას ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №5-ში ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტი და დადასტურებულია მის ოჯახთან ერთად, ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №12-ში ცხოვრება. აღნიშნული გარემოება დასტურდებოდა მონიტორინგის სამმართველოს მიერ შედგენილი ოქმებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მოსარჩელეებს უარი ეთქვათ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესახებ მოთხოვნაზე, პრიორიტეტი მიენიჭათ იმ დევნილ ოჯახებს, რომლებიც ფაქტობრივად ცხოვრობდნენ მათი რეგისტრაციის ადგილზე და სხვა თავშესაფარი არ გააჩნდათ.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის ნინაპირობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ბ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღების შედეგად სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ბ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ა. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №04-2337/ო ბრძანება და მოპასუხეს დაევალა მოსარჩელე ა. ბ-ას განცხადებასთან დაკავშირებით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არ დაეთანხმა მათ სამართლებრივ შეფასებას და მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებულ „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ წესზე“, რომლის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გრძელვადიანი საცხოვრებელ ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-5 მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. ამავე მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს: იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი

ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში). ამგვარი ობიექტების მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს სააგენტოს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანო სადავო აქტის გამოცემისას დაეყრდნო 2019 წლის 11 ივნისსა და იმავე წლის 30 აგვისტოს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში მოძიებულ ინფორმაციას, თუმცა განმარტა, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ სააგენტოს მიერ მონიტორინგის განხორციელებისას მოსარჩელე და მისი ოჯახი ქირით იყვნენ გასულები, არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ა. ბ-ა არ ცხოვრობს/არ უცხოვრია აღნიშნულ მისამართზე. მოსარჩელის განმარტებით, ქირით გადასვლა განპირობებული იყო მცირენლოვანი ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნით, თუმცა ქირის საფასურის გადახდის შეუძლებლობის გამო მას მოუწია მის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ...ის ქუჩაზე დაბრუნება. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული კ. ნ-იას ჩვენებაზე, რომელმაც განმარტა, რომ მოსარჩელის ოჯახი გარკვეული პერიოდით გადასული იყო ქირით, მაგრამ ამჟამად უწყვეტად ცხოვრობს ...ის ქუჩაზე.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ამ ეტაპზე არ იყო დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით ისე ეთქვა უარი საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფაზე, რომ არ იქნა გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. კერძოდ, საკითხის განხილვის ფარგლებში, სადავო აქტის მიღებამდე, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია მოსარჩელის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია, არ დაადგინა მოსარჩელის ოჯახის ქირით სხვა ბინაში ცხოვრება დროებითი იყო თუ არა, ასევე, არ გამოკითხა სადავო მისამართზე მცხოვრები პირები.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელის პოზიცია მონინალმდევე მხარის-

თვის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ ფაქტობრივად ცხოვრების დაუდასტურებლობის საფუძველით დაუსაბუთებელი იყო.

აღნიშნული გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ ა. ბ-ას განაცხადი განიხილა კრიტერიუმების გარეშე, ვინაიდან საქმე ეხებოდა ნგრევად ობიექტს. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში კი, გამოიკვეთა და დადასტურდა რამდენიმე საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, კერძოდ, მოსარჩელეს ქალაქ თბილისში, ...ის ქ. № 12-ში საკუთრებაში ჰქონდა უძრავი ნივთი, რომელიც დღეის მდგომარეობით გასხვისებულია, თუმცა მოსარჩელე ოჯახთან ერთად ფაქტობრივად გასხვისებულ სახლში აგრძელებს ცხოვრებას. ასევე დადგინდა, რომ ოჯახის შექმნის შემდეგ ა. ბ-ას აღარ უცხოვრია ...ის ქ. № 5-ში. ფაქტობრივი საცხოვრებლის დაზუსტების მიზნით, მონიტორინგი განხორციელდა აგრეთვე ...ის ქ. № 12-ში. აღნიშნულ მისამართზე მონიტორინგის თანამშრომლები შეხვდნენ განმცხადებელს. მისი განმარტებით, ის ოჯახთან ერთად ცხოვრობს ამავე ბინაში და იხდის ქირას – 800 ლარს, რაც იმის დასტურია, რომ მოსარჩელე ნგრევად ობიექტში არ ცხოვრობს. შესაბამისად, არც მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ექმნება საფრთხე. ამრიგად, მოკვლევის მასალების საფუძველზე, კომისიამ მიიღო გადანყვეტილება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ალტერნატიული საცხოვრებელი სახლის არსებობის საფუძველით. ამასთან, აღნიშნა, რომ მოსარჩელე არ ცხოვრობს ნგრევად ობიექტში და მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

კასატორის მითითებით, საქმეში წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალებით დასტურდება, რომ სამინისტრომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება შეისწავლა და გამოიკვლია და გადანყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო. სააგენტომ შეისწავლა ა. ბ-ას საქმე და დაადგინა, რომ პირი აუცილებელ და სასწრაფო განსახლებას არ საჭიროებს, რადგან ნგრევად ობიექტში არ ცხოვრობს. მას აქვს ალტერნატიული საცხოვრებელი, თუმცა აღნიშნული უარი ხელს არ უშლის სააგენტოს, რომ რიგითობით, კრიტერიუმების საფუძველზე, განიხილოს მისი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საკითხი. შესაბამისად, სამინისტროს გასაჩივრებული აქტი გა-

მოცემულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გაუქმებას და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ახალი გადაწყვეტილების მიღებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 9 ივნისის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად. ამასთან, მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს ა. ბ-ას დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის კანონიერების შეფასება, რადგან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემა იმთავითვე არ ნიშნავს ამ აქტის კანონიერებას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერების შეფასებისას, აქტის გამოცემა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების გარდა უნდა შემოწმდეს სხვა ასპექტებიც, მათ შორის – წარმოების ფორმალური ნესების დაცვა, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის ვალდებულების შესრულება, დაინტერესებული მხარეების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა, დამდგარი შედეგის საკითხის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებსა და ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობა და სხვა.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომ-

ლის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა არის დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემა ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა. ამასთან, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. გამონაკლისის სახით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში). ამგვარი ობიექტების მდგომარეობა კი უნდა დასტურდებოდეს სამინისტროს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საქსპერტო დასკვნით. ანალოგიურ მოწესრიგებას შეიცავს და დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხის განხილვისას დადგენილი კრიტერიუმების გარეშე ნგრევად ობიექტში მცხოვრები ოჯახებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას ითვალისწინებს დღეს მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. ამდენად, პალატა განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შენობა, რომელშიც დევნილი ოჯახი ცხოვრობს, წარმოადგენს ნგრევადსაშემს, უპირატესობა ენიჭება ოჯახის უსაფრთხოებას და კანონმდებლობა ითვალისწინებს ქულათა მიუხედავად, კრიტერიუმების გარეშე, დევნილი ოჯახის დაუყოვნებლივ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფას, რისთვისაც აუცილებელია დადასტურდეს დევნილი ოჯახის ნგრევადსაშემს შენობაში ფაქტობრივად ცხოვრება

და დროებით ადგილზე არ ყოფნა არ შეიძლება გახდეს განსახლებაზე უარის თქმის საფუძველი. საკასაციო პალატა ბუნებრივად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ შესაძლოა ნგრევად ობიექტში მცხოვრებ პირს, საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, დროის რალაც მონაკვეთში მოუწიოს ასეთი საცხოვრებლის დატოვება (ნათესაებთან თავის შეფარება, დაქირავებულ საცხოვრებელში გადასვლა და ა.შ.), თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ აღნიშნულ შემთხვევაში პირმა მიატოვა განსახლების ადგილი, არ წარმოადგენს ნგრევად ობიექტში მაცხოვრებელს და, შესაბამისად, არ უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფოს მიერ დევნილთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებისას.

განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია, რომ ა. ბ-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი, რომელზეც გაცემულია იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობა დევნილის სტატუსი აქვთ ასევე მინიჭებული ა. ბ-ას შვილებს: ა. ბ-ს (დევნილის მოწმობა ...) და ი. ბ-ს (დევნილის მოწმობა ...). აღნიშნული პირების დროებით საცხოვრებელ ადგილად მითითებულია ქ. თბილისი, ...ის ქუჩის №5, ე.წ. ... „...“ (...). მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ქ. თბილისში, ...ში, ...ის ქ. №5-ში მდებარე შენობა (... „...“) წარმოადგენს ნგრევად ობიექტს, მიმდინარეობს აღნიშნული ობიექტიდან მოსახლეობის გაყვანა და მათი გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დევნილი ოჯახის მონიტორინგის შედეგად დაადგინა, რომ მოსარჩელე ა. ბ-ა რეალურად არ ცხოვრობდა სადავო ფართში, რის გამოც უარი ეთქვათ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული კ. ნ-ას ჩვენებაზე, რომელიც განმარტავს, რომ მოსარჩელის ოჯახი გარკვეული პერიოდით გადასული იყო ქირით, მაგრამ ამჟამად უწყვეტად ცხოვრობს ...ის ქუჩაზე. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, ქირით გადასვლა განპირობებული იყო მცირეწლოვანი ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნით, თუმცა ქირის საფასურის გადახდის შეუძლებლობის გამო, მას მოუწია ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ...ის ქუჩაზე დაბრუნება.

საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებისა და მოწმეთა ჩვენებების (მოსარჩელის მეზობლების) საფუძველზე საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ სააგენტოს მიერ მონიტორინგის განხორციელებისას მოსარჩელე და მისი ოჯახი ქირით ცხოვრობდნენ, არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ა. ბ-ა არ ცხოვრობს/არ უცხოვრია ქალაქ

თბილისში, ...ის ქუჩის №5-ში მდებარე ... „...“ შენობაში. ამდენად, ა. ბ-ასთვის აღნიშნულ მისამართზე ფაქტობრივად არყოფნის გამო გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არ შეესაბამება საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ეფუძნება მხოლოდ ოჯახის გადამონმების მიზნით შედგენილი მონიტორინგის მასალებს, რომელიც საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ ასახავს რეალურ ფაქტობრივ მდგომარეობას, არ ემყარება განსახილველ საკითხზე არსებულ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რაც სასამართლოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების – სადავო საკითხის გადაუწყვეტლად აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ, ახალი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობაა მაშინ, როცა საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე, ამ ეტაპზე, არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული ფაქტობრივი გარემოების საწინააღმდეგო დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) კასატორის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, საქმის გარემოებების ხელახალი შესწავლისა და გამოკვლევისას მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებით, მათ შორის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, უნდა დაადგინოს, წარმოადგენს თუ არა ნგრევადი ობიექტი მოსარჩელის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, რამ გამოიწვია მონიტორინგის დროს დევნილის რეგისტრირებულ მისამართზე არყოფნა და საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, დევნილთა მიმართ შექმნას მათი ნებაყოფლობითი და ღირსეული განსახლებისათვის აუცილებელი პირობები, ხოლო „ბავშვის უფლებების შესახებ“ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციის მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მუშაობისას, აღნიშნულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს უპირატესი ყურადღება დაუთმოს ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. მითითებული აქტის – „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ (საქართველო კონვენციას შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 21.04.1994წ. დადგენილებით) მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი – სახელმწიფო თუ კერ-

ძო დანესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება (მათი უპირატესი გათვალისწინება) სავალდებულოა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოების, საჯარო დანესებულების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას. იმავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, ბავშვის უფლებებზე გავლენის მომხდენი გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს, ხოლო ქმედება უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების საფუძველზე. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიით ა. ბ-ასა და მის მეუღლესთან ერთად საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ მათ არასრულწლოვან შვილებს ა. და ი. ბ-ს. ამასთან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ოჯახი ელოდება მესამე შვილს. სადავო არ არის ის გარემოება, რომ ა. ბ-ას ოჯახი არის ნგრევად ობიექტში რეგისტრირებული და განსახლებას დაქვემდებარებული ოჯახი, რომლის გადაუდებელი განსახლების საჭიროების არარსებობა მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ ვერ დაასაბუთა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და სადავო საკითხის გადაწყვეტად მართებულად იქნა ბათილად ცნობილი. შესაბამისად, სააგენტოს კანონიერად დაევალა საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ, ახალი აქტის გამოცემა ა. ბ-ას დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხის გადასაწყვეტად. ამრიგად, მოცემულ საქმეზე მიღებული სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის კანონიერი და დასაბუთებული და მისი გაუქმების საფუძველები არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს ა. ბ-ას შუამდგომლობას საქმეზე მტკიცებულებების დართვის თაობაზე და დამატებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი

ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. ამდენად, საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს დაუშვებელია ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა, სასამართლო მოკლებულია ახალი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას, იგი არ წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და მტკიცებულებების მიღების შესაძლებლობას, რის გამოც ა. ბ-ას შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს და წარმოდგენილი მტკიცებულებები (№1099-22 და №ბ-1524-22 განცხადებებზე თანდართული მტკიცებულებები) დაუბრუნდეს მხარეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება;
3. ა. ბ-ას შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულებების დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს და წარმოდგენილი მტკიცებულებები (№1099-22 და №ბ-1524-22 განცხადებებზე თანდართული მტკიცებულებები) დაუბრუნდეს მხარეს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული
ოჯახის საცხოვრებელი დაკმაყოფილება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-438(2კ-22)

9 სექტემბერი, 2022 წელი ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: თ.ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ.ცინცაძე,
გ. მაკარიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-ემ 2020 წლის 11 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის სა-
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მო-
პასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით
უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ
დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველ-
ყოფის სააგენტოს 2020 წლის 21 თებერვლის №03/3280 გადაწყვე-
ტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის, ერთი თვის ვადა-
ში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-
ტის გამოცემის დავალება, მ. მ-ის ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვ-
რებელი სახლით უზრუნველყოფის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2021 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობ-
რივ დაკმაყოფილდა მ. მ-ის სარჩელი; სადავო საკითხის გადაუნ-
ყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრან-
ტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020
წლის 21 თებერვლის №03/3280 გადაწყვეტილება და მოპასუხეს
დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოე-
ბების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ
ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტის გამოცემის დავალება, სადავო საკითხთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2021 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო
ნესით გაასაჩივრეს მ. მ-ემ და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და

საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 დეკემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მ. მ-ისა და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივრები; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგინლად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. მ-ის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახი, ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 30 მაისის №131/48 გადაწყვეტილების შესაბამისად, გეგმური წესით განსახლდა გორის რაიონის სოფელ ქ...ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში.

1994 წელს მ. მ-ემ თვითნებურად მიატოვა გორის რაიონის სოფელ ქ...ში მდებარე საცხოვრებელი ბინა, საცხოვრებელი პირობების არარსებობის გამო.

2012 წლის 13 სექტემბრის საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, გორის რაიონის სოფელ ქ...ში (მეურნეობის დასახლება) მდებარე 75.00 კვ.მ ფართის მესაკუთრეს, 2012 წლის 13 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, წარმოადგენს ფ.ზ-ი.

მ. მ-ემ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, ბინით უზრუნველყოფის მოთხოვნით.

2016 წლის 14 აპრილის №03-01/03/10952 წერილით მ. მ-ეს ეცნობა, რომ სამინისტროს ეკომიგრანტთა დეპარტამენტმა ხულოს მუნიციპალიტეტთან ერთად შეისწავლა ოჯახის საჭიროებები. მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანებით შექმნილმა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელმა კომისიამ განიხილა განაცხადი და მიიღო გადაწყვეტილება, ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის არსებობის გამო, ბოლო ეტაპზე განიხილოს ოჯახის დახმარების შესაძლებლობა.

2016 წლის 14 აპრილის №03-01/03/10952 წერილი მ. მ-ემ 2016 წლის 11 მაისს ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2016 წლის 6 ივნისის №05-01/06/15189 წერილით მ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა (თუმცა სიტყვიერად მითითებულია, რომ საჩივარი კმაყოფილება ნაწილობრივ). ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ფარგლებში გამოვლინდა, რომ მ. მ-მ და მისი ოჯახი, როგორც სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული, ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 30 მაისის №131/48 გადაწყვეტილების შესაბამისად, გეგმური წესით განსახლდნენ გორის რაიონის სოფელ ქ...ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში, რომელიც მათ 1994 წელს თვითნებურად მიატოვეს. ამდენად, დეპარტამენტი ვერ განიხილავდა იმ პირთა განცხადებებს, რომლებსაც სახელმწიფო ან დონორი ორგანიზაციების მიერ დაზარალების გამო, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი სახლი ან სანაცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება. შესაბამისად, სამინისტროს არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი ადმინისტრაციული საჩივრის დასაკმაყოფილებლად.

2017 წლის 29 სექტემბერს (სამინისტროში წარდგენილია 2017 წლის 2 ოქტომბერს) მ. მ-ემ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. განცხადებასთან ერთად წარდგენილ იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმად, 1989 წელს დროებით გადაცემული ფართი (მდებარე: გორში, სოფელ ქ...ში, მეურნეობის დასახლებაში) დღეის მდგომარეობით გასხვისებულია და აღრიცხულია ჯ. ზ-ის სახელზე. მ. მ-ემ მოითხოვა განცხადების განხილვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება.

2017 წლის 2 ოქტომბრის №48437/01 განცხადების პასუხად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 6 ოქტომბრის №05-01/06/2407 წერილით მ. მ-ეს ეცნობა, რომ სამინისტროს არ აქვს სამართლებრივი საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად განიხილოს მისი განცხადება, ვინაიდან მასში მითითებული მოთხოვნა სამინისტროში განხილულ იქნა 2016 წელს და შედეგად, 2016 წლის 6 ივნისის გამოცემულ იქნა №05-01/15189 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულ პასუხზე 2017 წლის 17 ოქტომბერს მ. მ-ემ წა-

რადგინა ადმინისტრაციული საჩივარი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 23 ოქტომბრის №05-01/06/25259 წერილით მ. მეს ეცნობა, რომ სამინისტროს არ აქვს სამართლებრივი საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად განიხილოს მისი განცხადება, ვინაიდან მასში მითითებული მოთხოვნა სამინისტროში განხილულ იქნა 2016 წელს და შედეგად, 2016 წლის 6 ივნისს გამოცემულ იქნა №05-01/15189 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის №3ბ/861-18 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 6 ოქტომბრის №05-01/06/2407 და 2017 წლის 23 ოქტომბრის №05-01/06/25259 გადაწყვეტილებები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა მ. მ-ის 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადებასთან დაკავშირებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, მისთვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხის განხილვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ განიხილა მ. მ-ის 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადება, მასში ასახული გარემოების ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიჩნევის თაობაზე.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 21 თებერვლის №03/3280 გადაწყვეტილებით მ. მ-ის 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადებაში მითითებული გარემოება არ იქნა მიჩნეული ახლად აღმოჩენილად. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანების პირველი მუხლის პირვე-

ლი პუნქტით დამტკიცებული „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის“ მეორე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, მ. მ-ის ოჯახს უარი ეთქვა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე, როგორც დაზარალებული ეკომიგრანტი ოჯახის ერთხელ უკვე საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებაში სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანებით დამტკიცებული „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის“ (დანართი №1) მეორე მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, დეპარტამენტი არ განიხილავს იმ ეკომიგრანტი ოჯახების განაცხადებს, რომლებსაც სახელმწიფოს ან დონორი ორგანიზაციების მიერ დაზარალების გამო, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი სახლი ან სანაცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება. ბოლო ეტაპზე განიხილება იმ ეკომიგრანტი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)ს საკუთრებაში ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის გათვალისწინებით, ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ სხვა საცხოვრებელი სახლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ საცხოვრებელი სახლის მოცულობა რადიკალურად არ შეესაბამება ოჯახის წევრთა სულადობას.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 21 თებერვლის №03/3280 გადაწყვეტილებით, მ. მ-ის 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადებაში მითითებული გარემოება, მ. მ-ისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართის სხვა პირის საკუთრებად დარეგისტრირების თაობაზე, არ იქნა მიჩნეული ახლად აღმოჩენილ გარემოებად. ამავე გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს, როგორც ეკომიგრანტს, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ მისი ოჯახი სახელმწიფომ ერთხელ უკვე დააკმაყოფილა საცხოვრებელი სახლით. კერძოდ, სადავო გადაწყვეტილებით დგინდება, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 30 მაისის №131/48 გადაწყვეტილების საფუძველზე, მ. მ-ის ეკომიგრანტი ოჯახი, საცხოვრებელი სახლით ერ-

თხელ უკვე დაკმაყოფილებულად მიიჩნია. ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა, რომ ვინაიდან მ. მ-ისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართი 1994 წელს თვითნებურად იქნა მიტოვებული, არსებული მდგომარეობით, აღნიშნული უძრავი ქონების სხვა პირის საკუთრებად რეგისტრაციის ფაქტი, არსებით გავლენას ვერ იქონიებდა მ. მ-ის ოჯახის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ საკითხზე.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის კანონიერ ძალაში შესულ (საქმე №33/861-18) გადაწყვეტილებზე, რომლითაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა, მ. მ-ის 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადებასთან დაკავშირებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, განიხილოს მისთვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხი. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 დეკემბრის (საქმე №ბს-1262(კ)-18)) განჩინებით, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სააპელაციო პალატამ მართებულად შეაფასა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლი და დაავალა მოპასუხეს მ. მ-ის 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადებასთან დაკავშირებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, მისთვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხის განხილვა, რამდენადაც საქმეზე დადგენილია, რომ მ. მ-ის მიერ სამინისტროში 2017 წლის 29 სექტემბერს წარდგენილ განცხადებაში, მ. მ-ემ კონკრეტულად მიუთითა, თუ ვისზეა რეგისტრირებული მისთვის გადაცემული ფართი და წარადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. აღნიშნული კი წარმოადგენდა ისეთ ახალ გარემოებას, რაც საკითხის არსებითად განხილვის საფუძველი იყო“.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 21 თებერვლის №03/3280 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში მითითებული გარემოება, რომლითაც მ. მ-ის 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადებაში მითითებული გარემოება არ იქნა მიჩნეული ახლად აღმოჩენილად. პალატის განმარტებით, აღნიშნული დადასტურდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით და მოპასუხეს დაევალა, 2017 წლის 29 სექტემბერს მ. მ-ის მიერ წარდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რომლითაც ადასტურებდა 1989 წელს მათთვის დროე-

ბით გადაცემული ფართის გასხვისებას და ჯ. ზ-ის სახელზე აღრიცხვას) მიიჩნია, როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოება და განმეორებით ემსჯელა მოსარჩელის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულყოფილად არ გამოიკვლია მ. მ-ის, როგორც ეკომიგრანტის, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესაძლებლობის საკითხი. მოპასუხე, რომელიც წარმოადგენს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხზე პასუხისმგებელ უწყებას, ვალდებულია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გულისხმიერად და სრული პასუხისმგებლობით მიუდგეს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ზუსტად განსაზღვროს, ექვემდებარება თუ არა განხილვას ეკომიგრანტი ოჯახის განაცხადი. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ უძრავი ქონება, რომელიც ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 30 მაისის №131/48 გადაწყვეტილებით გადაეცა მოსარჩელის ოჯახს, სახელმწიფომ სხვა პირზე გაასხვისა. კერძოდ, 1989 წელს მ. მ-ისა და მისი ოჯახისათვის დროებით გადაცემული ფართი (მდებარე: გორში, სოფელ ქ...ში, მეურნეობის დასახლებაში), რომელიც მოსარჩელეს საჯარო რეესტრში არ ჰქონდა აღრიცხული საკუთრების უფლებით, სახელმწიფომ განკარგა სხვა პირზე – ჯ. ზ-ზე, რაც თავის მხრივ, გამოირიცხავს მოსარჩელისთვის მინიჭებული უფლების რეალიზებას და მ. მ-ისათვის, როგორც ეკომიგრანტისთვის, 1989 წლის 30 მაისის №131/48 გადაწყვეტილების საფუძველზე, გადაცემულ ქონებაზე მისი საკუთრების უფლების რეგისტრაციას. რაც შეეხება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციას, მ. მ-ისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართის 1994 წელს თვითნებურად მიტოვების თაობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მხრიდან საცხოვრებელი ფართის თვითნებურად მიტოვების ფაქტი, მხოლოდ იმ გარემოებაზე აპელირება, რომ მ. მ-მ და მისი ოჯახი აღნიშნულ უძრავი ქონებას საცხოვრებლად არ იყენებდა, არ წარმოადგენს საცხოვრებელი ფართის თვითნებურად მიტოვების შესახებ დასკვნის გაკეთების საკმარის საფუძველს. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია და მიიჩნია, რომ არ არსებობს მ. მ-ის დაკმაყოფილებულად მიჩნევის საფუძველით, მისთვის და მისი ოჯახისთვის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის კანონიერ ძალაში შესულ №33/861-18 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც განიმარტა, რომ მართალია, მ. მ-ის უკვე გადაცემული ჰქონდა ქონება გორში, სოფელ ქ...ში, როგორც ეკომიგრანტს, თუმცა ეს ქონება მას საჯარო რეესტრში არ ჰქონდა აღრიცხული საკუთრების უფლებით და აღნიშნულის სრული უფლება გააჩნდა, რამდენადაც, კანონმდებლობის თანახმად, უფლების დამდგენი დოკუმენტი შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს წარდგენილი სარეგისტრაციო სამსახურში, საკუთრების უფლების აღრიცხვის მიზნით. მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფომ მ. მ-ისათვის გადაცემული ქონება განკარგა სხვა პირზე, რაც გამორიცხავს მ. მ-ის, როგორც ეკომიგრანტის დაკმაყოფილებულად მიჩნევის შესაძლებლობას. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ უმსჯელია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე, ვერ დადასტურდა ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილად ჩატარება და სადავო აქტების კანონშესაბამისობა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ხოლო ეს გარემოებები იმდენად არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მათი შემოწმება და შეფასება სასამართლოსათვის შეუძლებელია და კონკრეტული გარემოებების გამოკვლევა და შეფასება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მართებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, კანონით დადგენილ ვადაში და წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. მ-ემ და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ.

კასატორის – მ. მ-ის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს უზენაეს სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილებებით უკვე დადგენილია, რომ შეუძლებელია, მ. მ-ის ოჯახი ჩაითვალოს დაკმაყოფილე-

ბულ ეკომიგრანტ ოჯახად. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დამატებითი გარემოებების კვლევა აღარ არის საჭირო. ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ უნდა ეხელმძღვანელოთ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით. სააგენტოს პირდაპირ უნდა დავალებოდა მ. მ-ის საცხოვრებლით დაკმაყოფილება. სააგენტო თავს არიდებს ეკომიგრანტი ოჯახის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და დაინტერესებულ პირს დაუსრულებლად უწევს მასთან მიმართებაში მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრება. ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გაითვალისწინა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი და სადავო აქტით მიიჩნია, რომ მ. მ-ის მიერ მითითებული გარემოება ვერ ჩაითვლება ახლად აღმოჩენილ გარემოებად. კასატორის განმარტებით, მოცემულ სადავო საკითხთან დაკავშირებით გამართული სასამართლო პროცესების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს უფლება. საქმეზე არ ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მბოჭავი, აღსრულებადი გადაწყვეტილების გამოტანა. ამდენად, კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს, მ. მ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

კასატორი – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 დეკემბრის განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, თუმცა არასწორად განმარტა იგი. ამდენად, სააპელაციო პალატის განჩინება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

კასატორის განმარტებით, სააგენტომ დეტალურად შეისწავლა და გამოიკვლია სადავო საკითხი, ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, საკითხის განხილვისას შემოწმდა მოსარჩელის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი. საქმეზე წარმოდგენილი არაერთი წერილობითი მტკიცებულება ცალსახად ადასტურებს მ. მ-ის ეკომიგრანტი ოჯახის 1989 წელს დაკმაყოფილებას, 1994 წელს მოსარჩელის მიერ მისთვის ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ადგილის თვითნებურად მიტოვებას და სხვაგან გადასვლას. კასატორი თვლის, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასკვნები ემყარება საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების

არასრულყოფილად შეფასებას, რაც გამორიცხავს ამ შეფასების საფუძველზე სარჩელის დაკმაყოფილებას. დადგენილია, რომ მ. მ-ის ოჯახი, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულად მიჩნევის გამო, ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 30 მაისის №131/48 გადაწყვეტილების შესაბამისად, გეგმური წესით, განსახლდა გორის რაიონის სოფელ ქ...ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში. ოჯახს იმავედროულად გადაეცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. აღნიშნული საცხოვრებელი ფართი წარმოადგენდა ცხოვრებისათვის ნორმალურ პირობებში არსებულ სამოთახიან ბინას. ამდენად, სახელმწიფომ ნაკისრი ვალდებულება შეასრულა – დააკმაყოფილა სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახი. იმ პერიოდისათვის არ არსებობდა საკუთრების ცნება. ამიტომ არ მოხდა მოსარჩელის სახელზე ბინის დარეგისტრირება. 1992 წლიდან კი, მოსარჩელეს უკვე თავისუფლად შეეძლო საკუთრების უფლების რეგისტრაცია, „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის პირველი თებერვლის №107 დადგენილების შესაბამისად. კასატორის განმარტებით, ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ 1994 წელს მ. მ-ემ თვითნებურად მიატოვა გორის რაიონის სოფელ ქ...ში მდებარე საცხოვრებელი ბინა. დაახლოებით 1994 წელს, მისი მამლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა სოფელ წ...ში, მის მეზობლად მდებარე მიტოვებულ საცხოვრებელ სახლში. აღნიშნული ინფორმაცია ასევე დასტურდება გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის პირველი ივნისის №728-11 წერილით, რომლის თანახმად, მ. მ-მ 1994 წლის 26 იანვარს საცხოვრებლად გადავიდა გორის რაიონის სოფელ წ...ში. გამგებლის წარმომადგენლის ინფორმაციით, სახლი, რომელშიც ოჯახთან ერთად ცხოვრობდა მ. მ-მ, ეკუთვნის ნ. დ-ს. გარდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა, ოჯახს ამავე სოფელში სარგებლობაში აქვს სხვა მიწის ნაკვეთებიც, სადაც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. მოსარჩელისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართის 1994 წელს თვითნებურად მიტოვების შემდეგ, აღნიშნული საცხოვრებელი ფართი დაიკავა სხვა ოჯახმა. ამასთან, სოფელ ქ...ში სხვა ეკომიგრანტი ოჯახებისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართები, მათ გადაეცათ საკუთრებაში.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „განსახლე-

ბის პროცედურის“ (დანართი №1) მეორე მუხლის მე-11 პუნქტზე, რომლის თანახმად, დეპარტამენტი არ განიხილავს იმ ეკომიგრანტი ოჯახების განაცხადებს, რომლებსაც სახელმწიფოს ან დონორი ორგანიზაციების მიერ, დაზარალების გამო, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი სახლი ან სანაცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება. კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, სამინისტროს არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, დაეკმაყოფილებინა მ. მ-ის მოთხოვნა. სადავო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, განმეორებით დადასტურდა, რომ ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე, მ. მ-ის ოჯახისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართი, 1994 წელს მიტოვებულ იქნა თვითნებურად, რომელშიც მოგვიანებით განსახლდა სხვა ოჯახი. აღნიშნული ფაქტი მ. მ-ის ოჯახისათვის ცნობილი იყო მაშინაც, როცა დევნილთა სამინისტროში განიხილებოდა 2016 წლის 11 მაისის №23463/01 ადმინისტრაციული საჩივარი. მ. მ-ის ოჯახი 1994 წლიდან დღემდე შეუზღუდავად ცხოვრობს სოფელ ნ...ში მდებარე საცხოვრებელ სახლში.

კასატორი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ 2016 წელს, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესახებ მ. მ-ის განცხადების განხილვისას, როგორც ადმინისტრაციული ორგანოსათვის, ისე განმცხადებლისათვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ სოფელ ქ...ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, რომელიც მოსარჩელემ თვითნებურად მიატოვა 1994 წელს, 2012 წლის 25 აგვისტოს საკუთრებაში დაირეგისტრირა სხვა პირმა. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო საქმის განხილვისას ვერ ჩათვლიდა მას, როგორც ახლად აღმოჩენილ გარემობას.

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს, რაც ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს. სასამართლოს მითითება, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და დადგენის თვალსაზრისით, არ გამომდინარეობს ფაქტობრივი მოცემულობიდან. ამასთანავე, ადმინისტრაციული ორგანოსთვის საკითხის ხელახლა განხილვის დავალება ვერ გახდება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი დაკმაყოფილების საშუალება. სახეზე არ არის გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველები. საქმეზე არ იკვეთება კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწ-

ყვეტილება. საქმის გარემოებების გამოსაკვლევადად, ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოკითხა განმცხადებელი, ასევე ჩაატარა მონიტორინგი, დათვალიერება და გამოკითხვა. აღნიშნული ადასტურებს რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება საკითხის სრულყოფილად შესასწავლად და გამოსაკვლევადად. სააგენტოს გადანყვეტილება მოსარჩელესთან მიმართებით არის კანონიერი და დასაბუთებული, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელი, როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. ამდენად, აღნიშნული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება, როლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 27 აპრილის განჩინებით მ. მ-ისა და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო 2022 წლის 31 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე მოსარჩელის ინტერესი უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან მისი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახის სათანადო სოციალურ უზრუნველყოფას - დადგენილი პროცედურის შესაბამისად, საცხოვრებლით დაკმაყოფილებას (განსახლებას).

„სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურა“ დამტიკიცებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანებით. აღნიშნული „პროცედურის“ მეორე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, კონკრეტული ეკომიგრანტი ოჯახის განაცხადის დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე გადანყვეტილებას იღებს ამ ბრძანების მე-5 პუნქტით შექ-

მნილი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისია. ამავე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, დეპარტამენტი, მონაცემთა ბაზის მეშვეობით, ახდენს განაცხადების დამუშავებას ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად და დამუშავებულ მასალას წარუდგენს კომისიას განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. მითითებული მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, დეპარტამენტი არ განიხილავს იმ ეკომიგრანტი ოჯახების განაცხადებს, რომლებსაც სახელმწიფოს ან დონორი ორგანიზაციების მიერ დაზარალების გამო ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი სახლი ან სანაცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება. ბოლო ეტაპზე განიხილება იმ ეკომიგრანტი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)ს საკუთრებაში ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის გათვალისწინებით ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ სხვა საცხოვრებელი სახლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ საცხოვრებელი სახლის მოცულობა რადიკალურად არ შეესაბამება ოჯახის წევრთა სულადობას.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. მ-ის ოჯახი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულია. ამ მიზეზით, აღნიშნული ოჯახი, ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 30 მაისის №131/48 გადაწყვეტილების შესაბამისად, გეგმური წესით განსახლდა გორის რაიონის სოფელ ქ...ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში.

მ. მ-ემ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და მოითხოვა ბინით უზრუნველყოფა. აღნიშნული განცხადების პასუხად, 2016 წლის 14 აპრილის №03-01/03/10952 წერილით მ. მ-ეს ეცნობა, რომ სამინისტროს ეკომიგრანტთა დეპარტამენტმა ხულოს მუნიციპალიტეტთან ერთად შეისწავლა ოჯახის საჭიროებები. მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანებით შექმნილმა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელმა კომისიამ განიხილა განაცხადი და მიიღო გადაწყვეტილება ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის არსებობის გამო, ბოლო ეტაპზე განიხილოს ოჯახის დახმარების შესაძლებლობა.

2016 წლის 14 აპრილის №03-01/03/10952 წერილზე მ. მ-ემ 2016 წლის 11 მაისს წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2016 წლის 6 ივნისის №05-01/06/15189 წერილით მ. მ-ეს ეცნობა, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარდგენილი და შესწავლილი მასალების გათვალისწინებით, დადგინდა მ. მ-ისა და მისი ოჯახის, როგორც სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულის, ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 30 მაისის №131/48 გადანყვეტილების შესაბამისად, გეგმიური წესით განსახლების ფაქტი გორის რაიონის სოფელ ქ...ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში, რომელიც მათ 1994 წელს თვითნებურად მიატოვეს. ამდენად, ვერ იქნებოდა განხილული იმ პირთა განცხადებები, რომლებსაც დაზარალების გამო, სახელმწიფო ან დონორი ორგანიზაციების მხრიდან, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი სახლი ან საცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება. შესაბამისად, სამინისტროს არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი, დაეკმაყოფილებინა ადმინისტრაციული საჩივარი, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესახებ.

2017 წლის 29 სექტემბერს მ. მ-ემ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. განცხადებასთან ერთად წარდგენილ იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმად, 1989 წელს დროებით გადაცემული ფართი (მდებარე: გორში, სოფელ ქ...ში, მეურნეობის დასახლებაში) დღეის მდგომარეობით გასხვისებულია და აღრიცხულია ჯ. ზ-ის სახელზე. მ. მ-ემ მოითხოვა განცხადების განხილვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. განცხადება სამინისტროში დარეგისტრირდა 2017 წლის 2 ოქტომბერს.

ზემოაღნიშნული განცხადების პასუხად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 6 ოქტომბრის №05-01/06/2407 წერილით მ. მ-ეს ეცნობა, რომ სამინისტროს არ აქვს სამართლებრივი საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად განიხილოს მისი განცხადება, ვინაიდან მასში მითითებული მოთხოვნა სამინისტროში განხილულ იქნა 2016 წელს და შედეგად,

2016 წლის 6 ივნისს გამოცემულ იქნა №05-01/15189 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამავე შინაარსის წერილი გაეგზავნა მ. მ-ეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 23 ოქტომბრის №05-01/06/25259 წერილით, 2017 წლის 17 ოქტომბრის ადმინისტრაციული საჩივრის პასუხად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის №33/861-18 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 6 ოქტომბრის №05-01/06/2407, 2017 წლის 23 ოქტომბრის №05-01/06/25259 გადაწყვეტილებები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა მ. მ-ის 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადებასთან დაკავშირებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, მისთვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხის განხილვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება, მ. მ-ის 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადებაში მითითებული გარემოების ახლად აღმოჩენილად მიჩნევის საკითხის დასადგენად. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, 2020 წლის 10 თებერვალს განხორციელდა მ. მ-ის ოჯახის მონიტორინგი, გორის რაიონის სოფელ წ...ში, ხოლო 2020 წლის 19 თებერვალს სააგენტოში ჩატარდა ზეპირი მოსმენა.

ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული წარმოებისას დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მ. მ-მ 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადებით ითხოვდა საცხოვრებლით დაკმაყოფილებას, ახლად აღმოჩენილი გარემოების გათვალისწინებით. ასეთ გარემოებად განმცხადებლის მხრიდან მიჩნეული იყო ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებდა მისი ოჯახისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართის (ს/კ ...) სხვა პირის საკუთრებაში გადასვლას.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზ-

რუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 21 თებერვლის №03/3280 გადაწყვეტილებით მ. მ-ის 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადებაში მითითებული გარემოება არ იქნა მიჩნეული ახლად აღმოჩენილად. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის“ მეორე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, მ. მ-ის ოჯახს უარი ეთქვა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე, დაზარალებული ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი ფართით ერთხელ უკვე დაკმაყოფილების გამო.

ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნით, წარმოების ფარგლებში განმეორებით დადასტურდა, რომ ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 30 მაისის №131/48 გადაწყვეტილების საფუძველზე, მ. მ-ის ოჯახისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართი 1994 წელს მიტოვებულ იქნა თვითნებურად და ფართში მოგვიანებით განსახლდა სხვა ოჯახი. აღნიშნული ფაქტი მ. მ-ის ოჯახისათვის ცნობილი იყო მაშინაც, როდესაც სამინისტროში განიხილებოდა მათი 2016 წლის 11 მაისის №23463/01 ადმინისტრაციული საჩივარი (შესაბამისი გარემოება დადასტურებულია ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის ამსახველი ზეპირი მოსმენის ოქმით). 1994 წლიდან დღემდე, მ. მ-ის ცხრასულიანი ოჯახი შეუზღუდავად ცხოვრობს სოფელ წ...ში მდებარე საცხოვრებელ სახლში.

სააგენტოს მოსაზრებით, 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადებაში მითითებული ფაქტი, სოფელ ქ...ში მდებარე საცხოვრებელი ფართის სხვა პირის საკუთრებად რეგისტრაციის თაობაზე, არ შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოჩენილ გარემოებად, ვინაიდან 2016 წლის 11 მაისის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული წარმოების ფარგლებში, მ. მ-ისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის უკვე ცნობილი იყო სახლის თვითნებურად მიტოვებისა და მისი სხვის მფლობელობაში არსებობის ფაქტი. ამ სახლის სხვა პირის საკუთრებად რეგისტრაციის ფაქტი არსებით გავლენას ვერ მოახდენდა მ. მ-ის ოჯახის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საკითხზე, რამდენადაც, სამინისტროს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 30 მაისის №131/48 გადაწყვეტილების საფუძველზე, მ. მ-ის ეკომიგრანტი ოჯახის ერთხელ უკვე დაკმაყოფილებას.

საქმეზე წარმოდგენილი 2012 წლის 13 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, საპრივატიზებო საფასურის გადახდის სანაცვლოდ, ჯ. ზ-ს გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს/კ ...).

2012 წლის 14 სექტემბერს მომზადებული საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დგინდება, რომ გორის რაიონის სოფელ ქ...ში (მეურნეობის დასახლება) მდებარე 75.00 კვ.მ ფართის მესაკუთრეს, 2012 წლის 13 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, წარმოადგენს ჯ. ზ-ი (ს/კ ...).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის №33/861-18 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მოპასუხეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გათვალისწინებით დაევალა მ. მ-ის საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხის განხილვა, თუმცა ახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად, მოპასუხემ ჩათვალა, რომ მ. მ-ის 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადებაში მითითებული გარემოება არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილს. შესაბამისად, მ. მ-ის ოჯახს კვლავ უარი ეთქვა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე, დაზარალებული ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი ფართით ერთხელ უკვე დაკმაყოფილების გამო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლზე, რომელიც ადგენს ერთსა და იმავე საკითხზე განცხადების ხელახლა წარდგენის წესს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძველად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ახლად აღმოჩენილი ან გამოვლენილი გარემოება შესაძლებელია გახდეს დაინტერესებული პირის საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დაშვებულია ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებაზე მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოსათვის იმ საკითხზე მიმართვის შესაძლებლობა, რომლის თაობაზეც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის საწინააღმდეგოდ. ამასთანავე, ადმინისტრაციულმა ორგანომ, შესაბამისი განცხადების საფუძველზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უნდა შეაფასოს, თუ რამდენად წარმოადგენს დაინტერესებული პირის მიერ მითითებული გარემოება ახლად აღმოჩენილს ან გამოვლენილს და შეიცვალა თუ არა სამართლებრივი მდგომარეობა მხარის სასარგებლოდ.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, მ. მ-ის მიერ 2017 წლის 2 ოქტომბერს საჯარო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენით ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნდა რეალური შესაძლებლობა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის ფარგლებში, არსებითად ემსჯელა დაინტერესებული პირის განცხადებაზე და მის საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის შედეგად, მიეღო ახალი გადაწყვეტილება, მ. მ-ის ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ეკომიგრანტების საცხოვრებლით უზრუნველყოფა, სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს პირისათვის ცხოვრების სტანდარტების შენარჩუნებაზე და უზრუნველყოფდეს, შესაბამისი უფლების სათანადოდ რეალიზებით, პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილ მონაწილეობას. საქართველოს კონსტიტუცია ხაზს უსვამს სოციალური უფლებებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას. კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების რეგულირების მიზანს ემსახურება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანებით დამტკიცებული „სტიქიური მოვლენე-

ბის შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურა“. აღნიშნული „პროცედურა“, პირთა განსაკუთრებულ წრესთან მიმართებაში ადგენს სოციალური დაცვის გარანტიებს და დეტალურად განსაზღვრავს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განსახორციელებელ ქმედებათა ერთობლიობას, რაც საფუძველად უნდა დაედოს შესაბამისი ოჯახის საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხის დადებითად გადაწყვეტას. ამასთანავე, „პროცედურა“ იმ შემთხვევაში გამოიციხავს ეკომიგრანტი ოჯახების განაცხადების განხილვის შესაძლებლობას, როდესაც შესაბამისი ოჯახები, დაზარალების გამო, ერთხელ უკვე უზრუნველყოფილნი არიან საცხოვრებელი („პროცედურის“ მეორე მუხლის მე-12 პუნქტი).

საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული „პროცედურით“ განსაზღვრულ სუბიექტთა განსაკუთრებული საჭიროებებიდან გამომდინარე, საცხოვრებელი უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ნორმების ქმედითობა, მათი სისრულეში მოყვანა უნდა პასუხობდეს სახელმწიფოს წინაშე მდგარ ამოცანებს. უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სათანადო კვლევის შედეგად უნდა უზრუნველყოს საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტა. მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან იმ გარემოებაზე მითითება, რომ წარსულში გამოცემული აქტის საფუძველზე, მოსარჩელე უკვე უზრუნველყოფილია საცხოვრებელით, წინააღმდეგობაში მოდის რეალურად არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან. საკასაციო პალატა საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნევს, რომ უძრავი ქონება, რომელიც ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 30 მაისის №131/48 გადაწყვეტილებით გადაეცა მოსარჩელის ოჯახს, სახელმწიფომ სხვა პირზე გაასხვისა. კერძოდ, 1989 წელს მ. მ-ისა და მისი ოჯახისათვის დროებით გადაცემული ფართი (მდებარე: გორში, სოფელ ქ...ში, მეურნეობის დასახლებაში), რომელიც მოსარჩელეს საჯარო რეესტრში არ ჰქონდა აღრიცხული საკუთრების უფლებით, 2012 წლის 13 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს/კ ...), საპრივატიზებო საფასურის გადახდის სანაცვლოდ, საკუთრებაში გადაეცა ფ. ზ-ს. 2012 წლის 14 სექტემბერს მომზადებული საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დგინდება, რომ გორის რაიონის სოფელ ქ...ში (მეურნეობის დასახლება) მდებარე 75.00 კვ.მ ფართის მესაკუთრეს, 2012 წლის 13 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, წარ-

მოადგენს ჯ. ზ-ი (ს/კ ...). სწორედ აღნიშნული ამონაწერი წარადგინა მ. მ-ემ ადმინისტრაციულ ორგანოში 2017 წლის 29 სექტემბერს, როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოება და იმ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ 1989 წელს მისი ოჯახისათვის დროებით გადაცემული ფართი, დღეის მდგომარეობით აღარ წარმოადგენს მისი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საგანს.

ამდენად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მითითებული გარემოებების მიუხედავად, ფაქტი უცვლელია – მოსარჩელე არ არის უზრუნველყოფილი მუდმივი საცხოვრებელი ფართით სახელმწიფოსაგან, როგორც ზემოაღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული განსაკუთრებული სუბიექტი. სახელმწიფომ თავადვე გაასხვისა საცხოვრებელი, რომლის წარსულში მოსარჩელისათვის გადაცემასაც თვლის მისი ოჯახის უზრუნველყოფად. მოპასუხემ სათანადო მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ დღეის მდგომარეობით, მოსარჩელე უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოსაგან სოციალურად უზრუნველყოფილად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ამტკიცოს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და მისი გამოცემით არ დარღვეულა მოსარჩელის კანონიერი უფლებები. მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ მოპასუხის მიერ მითითებული გარემოებები გასაჩივრებელი აქტის კანონიერებას არ ადასტურებს. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებით დგინდება, რომ სადავო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს, პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას. სათანადო მტკიცებულებებზე მითითების გარეშე, უსაფუძვლოა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ მ. მ-ის ოჯახმა 1994 წელს თვითნებურად მიატოვა ზემოაღნიშნული ფართი. ამასთანავე, იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოში შესაბამისი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენა მოსარჩელის მხრიდან პირველად დაფიქსირდა 2017 წლის 29 სექტემბერს, მხოლოდ ზეპირი განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ საცხოვრებელი ფართის გასხვისების ფაქტი მო-

სარჩელისათვის ცნობილი იყო ბევრად ადრე (სადავო საკითხის 2016 წელს გადაწყვეტის დროს), მოკლებულია საფუძველს. ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ არსებობს მ. მ-ის, როგორც ეკომიგრანტის საცხოვრებლით დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე და სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება. ამასთანავე, „...სასამართლოსათვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილება - უარი თქვას სადავო საკითხის მოწესრიგებაზე და აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს იმავე საკითხზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემა, არ წარმოადგენს უპირობო და შეუზღუდავ უფლებამოსილებას..“ (სუს 19.10.2017წ. №ბს-329-327(2კ-17) განჩინება). ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს: სახეზეა თუ არა შესაბამისი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გარემოებათა გამოკვლევის საჭიროების ნაცვლად, თავად სასამართლოს მხრიდან ფაქტობრივი გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასებისა და გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური კანონიერების შემოწმების აუცილებლობა. ამასთან, „...გარდა იმისა, რომ ასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება სასამართლოს მხრიდან სადავო საკითხის მატერიალური კანონიერების შეფასების შეუძლებლობას უნდა დაუკავშირდეს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამისი დავის სასამართლო წესით გონივრულ ვადაში დასრულების ინტერესი. საქმის გონივრულ ვადაში, ეფექტიანად განხილვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. საქმის განხილვის ვადის გონივრულობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის სირთულე, მოდავე მხარეების და შესაბამისი კომპეტენტური უწყებების ჩართულობა, ასევე საქმის განხილვის შედეგი დაინტერესებული მხარეებისათვის..“ (სუს 2020 წლის 17 სექტემბრის №ბს-

1198(კ-19) განჩინება).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით დავის გადაწყვეტა არ პასუხობს ზემოაღნიშნულ პრინციპებს. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო წესით სრულად შესაძლებელია სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. ამავე კოდექსის 33¹ მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 21 თებერვლის №03/

3280 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი, მ. მ-ის ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის თაობაზე. ამდენად, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, ხოლო მ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 დეკემბრის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. მ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 21 თებერვლის №03/3280 გადაწყვეტილება;
6. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მ. მ-ის ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი უზრუნველყოფის თაობაზე.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 298 20 75
www.supremecourt.ge